



ციხეხანი

№ 70 / 4 – 10 აპრილი / 2011

- უფაქტიანია თუ არა მთავრობის ანტიინფლაციური პოლიტიკა? **33. 12**
- ჰააბა: დიპლომატიური მარცხი მცირე სარგებლით **33. 18**
- ინტერვიუ ირაკლი ალასანიასთან **33. 20**
- ისრაელი ჰიზბულაშის სექცია **33. 28**
- ტურიზმის განვითარება, საკუთრების წართმევის სარჯზე **33. 30**
- რატომ ინგრევა ღვინო გარეჯი? **33. 34**
- ვიღრა უფლისწული თავს მოიკლავს **33. 39**
- ნაციონალური ამპარტავნების სუბლიმაცია **33. 43**
- რეცენზია: „ჭამა და სექსი“ **33. 46**

ფანი 2 ლარი

ISSN 1987-7528



33. 22

ჩეხეთში მიზნის ბეჭედი



UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0


UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0

UCNOBI FM 98.0



IB VB TBII TBI UTB





დაზიანებული ფრესკები დოღო გარეჯელის IX საუკუნის მონასტერში

ფოტო: გიორგი ბუხაიძე

ნომერში:

- 02 ლიბერალის ვებგვერდიდან
- 09 ბლოგი
- 10 მოკლედ
- 12 **ორი აზრი**
ეფექტიანია თუ არა საქართველოს მთავრობის ანტიინფლაციური პოლიტიკა?
ლადო პაპავა და მიშა თავხელიძე
- მსოფლიო**
- 14 სირია – არაბული საპროტესტო ტალღის კიდევ ერთი „მსხვერპლი“
- 15 **ლიბია**
NATO ლიბიაში - ოპერაცია „Unified Protector“
- 16 **ლიბია**
უხერხული მეგობარი

პოლიტიკა

- 18 დიპლომატიური მარცხი მცირე სარგებლით
- 20 **ინტერვიუ**
„სადაც პოლიტიკური დიალოგი წყდება, იქ იწყება იარაღის უღარუნი“
ირაკლი ალასანია
- მთავარი თემა**
- 22 რეზერვი მიზნის გარეშე
- ადამიანის უფლებები**
- 28 ებრაელი ბიზნესმენები სასამართლომ დამნაშავედ სცნო
- 30 **საკუთრების უფლება**
ტურიზმის განვითარება, საკუთრების წართმევის ხარჯზე
- საზოგადოება**
- 34 რატომ ინგრევა დავით გარეჯი?

მედიცინა

- 39 ვიდრე უფლისწული თავს მოიკლავს
- თვალსაზრისი**
- 43 ნაციონალური ამპარტავნების სუბლიმაცია
- 45 ირანელები საქართველოში
- მედიაკრიტიკა**
- 46 „ჭამა და სექსი“
- კულტურა**
- 48 მტკივნიარ, კარმენ!
- 50 **ტექნოლოგიები**
- რევიუ**
- 52 ნანკინელი ქრისტე, სამურაები და ჯაზი
- სპორტი**
- 55 ბუეინგის გაგება
- ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები**
- 56 გლდანში

გარეკანზე:

რეზერვი მიზნის გარეშე
ფოტო: ზურა ქურციკიძე



ქურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

დროსასხდენილი ეპატაჟი და დროული კოკულიზიმი

ეჰ, რატომ არაა ცოცხალი ირაკლი ჩარკვიანი, ყველაზე პრინციპული იყო და „დასტიონი“. ამდენი კრეტინიზმის ყურება ამოვიდა ყელში. მეტი საქმე არ აქვთ ქართველებს, არც პრეზიდენტს, რომელიც ასეთ იდიოტობებზე აკეთებს კომენტარებს და არც მწერლებს. მაგრამ ამ შემთხვევაში მიშას მირჩევნია ბურჭულაძე.

qeti

ისე ეპატაჟიც შეიძლება იყოს ნათელი და ბნელი. ის, რაც დეისაძემ გააკეთა ან მაგალითად, შამუგიამ უფრო სასარგებლო იყო ქართული საზოგადოებისთვის ვიდრე ეპატაჟური. გამოსვლაშიც ხომ უნდა იდოს რალაც შედეგი, რისი გამოწვევაც გინდა, გარდა იმისა, რომ საზოგადოების მწვავე რეაქცია გამოიწვიო. მე მგონი, რომელიმე კულტურულ კერძს რომ შეხებოდა ბურჭულაძე, უფრო კარგად გამოაფხიზლებდა საზოგადოებას.

Captain Mission

ვინ გვიშვება თავზე?

ვინ მფარველობს და მიხეილ სააკაშვილი. არ მგონია, ძნელი მისახვედრი იყოს. :) მოდელირებული ქრონიკის შემდეგ სააკაშვილი-არველადის სატელეფონო საუბრები არ გახსოვთ? მოდელირებული ქრონიკაც მიშას სცენარი არ იყო?

giorgi

გადავავადოთ ტელევიზორები. აბა, არველადისნარიუბები საესე ვართ და ვერ ვჯობნით, ფაქტია.

babisa

არაჩვეულებრივი წერილია, მაგრამ შთაბეჭდილება მრჩება, რომ, როგორც ბევრს ჰგონია გამსახურდია ცოცხალი და მის დაბრუნებას ელოდება, ისე უშედეგოდ ელოდებით თქვენც არველადის გადადგომას. რასაკვირველია, სამწუხაროდ!

თამუნა

პატრიარქის ბაზაფხული



„არანაირი განსხვავება არაა ირაციონალურად მოაზროვნე აგრესიული მორწმუნე ხარ თუ მათი ირაციონალურად და აგრესიულადვე მონინააღმდეგე“ – ასეა. ეგ ჯგუფი არ მინახავს, ძალიან გულდასასწყვეტი ამბავია. არ აქვს მნიშვნელობა, ვისზე აკეთებენ, ყოველთვის უსიამოვნოა.

babisa

ბოლო ორი წელია, შევამჩნიე ასეთი ტენდენცია, რომ მოდური გახდა ეკლესიის, პატრიარქის, საპატრიარქოს ირონიით და ხშირ შემთხვევაში, ზიზლით მოხსენიება. მგონია, რომ თქვენ მოდას ხარტ აყოლილი და არ გიცდიათ ჩაღრმავებოდი მართლმადიდებლური რელიგიის პრინციპებს და საფუძვლებს, ეჭვი მაქვს, არც პატრიარქის საშობაო თუ სააღდგომო ეპოსტოლე წაგითხზავთ გულდასმით. თუ ამას გააკეთებთ, მიხვდებით, რომ არც ჩვენი რელიგია და არც ჩვენი პატრიარქი არ გვასწავლის გულზეხელბედაკრეფილ ჯდომას და ზეციდან ღვთიური მანანას ლოდინს. იქნებ რალაცნაირად ეცადოთ და დაფიქრდეთ, არ გინდათ ეს ცინიზმი, მადლობა.

ლიკა ახობაძე

სასწაულმოქმედი ბაქტერია



მთავარი მიზეზი სწორედ ისაა, რომ იმ ადამიანებს, ვინც ამ სტატიაში გყავთ ციტირებული, აზრად არ მოსდის გაციების ან სხვა მსუბუქი ავადმყოფობის დროს ექიმთან მივიდეს. რატომ? იმიტომ რომ ამის საშუალება არ აქვს. აი, ეს არის მთავარი პასუხი ამ შეკითხვაზე. რეცეპტული სისტემაც რომ არსებობდეს და მუშაობდეს, ადამიანი მაინც ვერ მივა ექიმთან, ამიტომ ეს რეცეპტები გვერდზე დარჩება.

ერეკლე

მე ვთვლი, რომ დროულია ამაზე დაფიქრება და არამარტო დაფიქრება. მე არ ვარ ექიმი, მაგრამ არ მიყვარს ანტიბიოტიკი. ჩვენი ექიმები ერთი ხელის მოსმით ნიშნავენ ყველაფერზე ისე, რომ ანალიზის გაკეთებასაც არ გთხოვენ მგრძნობელობაზე, მე მგონი პროფესიონალიზმის დეფიციტია ან უფრო – გულგრილობის. უმიზეზოდ დანიშნული ანტიბიოტიკი უფრო ბევრ დაავადებას იწვევს


ekaterine

მოლაპარაკება ბუნდოვანი შედეგით

არ მესმის, რა პრობლემა რუსეთისთვის იმიჯი? რუსეთმა დიდი ხანია ამ სიტყვის უსარგებლობა აღიარა და მიზანმიმართულად მიინვეს ნინ. დიდი ქვეყანაა და ცხადია, ზანტად და მოუქნელად აკეთებს ყველაფერს. თან საჭირო სტრატეგიებიც არ გააჩნია, მაგრამ თავისი „სამართლიანი“ ამოცანებისაკენ ნინ მიდის დევიზით: цель оправдывает средство.

ხათუნა

რამდამტორამში: მთავარი რედაქტორი შორენა შვერდიაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი სოფო ქავაძე / კავასია და კონფლიქტები სოფო ბუკია / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ახალი ამბები ნანა საჯია / ვებგვერდის რედაქტორი ნინო ჯაფარიძე / შტრანსლიტში: მია ნიკლაური, მარია ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, ნინო რობაქიძე, ნათია გულიაშვილი / კონტრაბანდში: მარე მალენი, გიორგი ცხადია, მანანა ვარდიაშვილი, ნინია კაკაბაძე, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, კახა თოლორაძე, ლექსო ჩქარუელი, დიანა ჩაჩუა, ნათია ახალაშვილი, ნინო ბექაშვილი, დანიელ ნიჩი, ნიკო ნერგაძე / რამდამტორი: ფოტორედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია / კორექტორი თამარ ლონდაძე / ბამომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / კლიენტთა მომსახურების მენეჯერი ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია / ბამომცემლობა: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge სხვა ბამომცემლობა: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. წერნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია. ბეჭდვა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02. გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი. www.liberali.ge



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) მიერ, ევროკავშირის (EU) ფინანსური მხარდაჭერით, ერთობლივად განხორციელდა პროექტი „ხალხის მანიფესტი“ – ნამდვილი დემოკრატია არ ნიშნავს მხოლოდ არჩევნის უფლებას, არამედ არჩეულის იძულებას, იზრუნოს ხალხის ინტერესებზე“.

პროექტი მიზნად ისახავდა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონიტორინგისა და კონტროლის კუთხით, მოქალაქეთა და ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების უნარ-ჩვევების გაზრდას, ადგილობრივი პრობლემების მოგვარების პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გამჭვირვალობისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას და ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების აღმოფხვრის პროცესში პოლიტიკური პარტიების/სუბიექტების პასუხისმგებლობის გაზრდის ხელშეწყობას.

ცნობიერების ამაღლების მიზნით, ორგანიზაციებმა განახორციელეს რამდენიმე აქტივობა. ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენდა სტატიათა კონკურსი, რომლის ფარგლებშიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრები აქტიური მოქალაქეების მიერ დაინერა 48 სტატია თემებზე – „მე და ჩემი თვითმმართველობა“, „თვითმმართველობა ხალხის სამსახურში?!“, „მე რომ ვიყო საკრებულოს წევრი...“.

კონკურსის შედეგად, გამოვლინდა შვიდი საუკეთესო სტატიის ავტორი. ავტორთა ნახალისებისა და დაინტერესებისათვის კონკურსით გათვალისწინებული იყო ფულადი ჯილდო პირველი სამი საპრიზო ადგილისათვის. წარმოგიდგინთ, გამარჯვებული ავტორების სტატიებს.



ნინო ჩახვაძე

ქ. ლანჩხუთი
იურისტი
გაზეთი „ლანჩხუთის მოამბე“ –
მბეჭდავ-დამკაბადონებელი

ზვიად ბიაზვილი

ქ. გურჯაანი
საერთაშორისო ურთიერთობების
სპეციალისტი
ტელევიზია „გურჯაანი“
პროექტების მენეჯერი

ნანა ნილოსანი

ქ. ლანჩხუთი
კორესპონდენტი
გაზეთი „ლანჩხუთის მოამბე“ –
მბეჭდავ-დამკაბადონებელი

თვითმმართველობა - ხალხის სამსახურში?!

ნინო ჩახვაძე, გაზეთ „ლანჩხუთის მოამბის“ ჟურნალისტი



აქედან გამომდინარე, მართვაც და მართვის ობიექტიც ურთიერთშორის უნდა გულისხმობდეს ყოველივე ზემოთ თქმულს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითმმართველობა და ხალხი გაღმა-გამოღმა დარჩებიან ჩატყხილ ხიდზე შემდგარნი და მათ შორის ურთიერთობა არ შედეგება.

თანამედროვე სინამდვილეში, როცა ჩვენს საზოგადოებაში მრავალი შეჭირვებული და უპოვარი ცხოვრობს, როცა ამდენი უსახლკარო და ქუჩას შეხიზნული ოჯახებია (ლანჩხუთის სინამდვილეში ბებია და შვილიშვილები თვეების მანძილზე საზოგადოებრივ ტუალეტში ცხოვრობდნენ), როცა ვერ მივალნიეთ სოციალურად დაუცველი ოჯახების რეაბილიტაციას და აურაცხელია სამუშაოს მაძიებელი საზღვარგარეთის ქვეყნებში, მაშინ ადგილობრივი თვითმმართველობის როლი და ფუნქცია დეგრადირებულია.

საერთოდ, როცა თვითმმართველობაზე ვსაუბრობთ, წინა პლანზე უფრო წამოწეულია მისი უფლებამოსილებები სახელმწიფო სისტემაში, ხოლო მთავარი, რაც მის ფუნქციასა და როლს ეხება, შედარებით უკანა რიგზეა გადატანილი.

რატომ? იქნებ, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ ყველა უარყოფითი მხარის მიზეზი. იქნებ აქ იღებს სათავეს ხალხთან დაშორებულობა, რომ ჩვენ არ გვესმის მათი, იმათ კიდევ – ჩვენი.

ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც ხალხის რჩეული, პირველ ყოვლისა, უნდა იყოს ხალხის სამსახურში და არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის ლაქია და თბილი სავარძლების მოყვარე. სშირად ხდება ისე, რომ თვითმმართველობაში მოსული პიროვნება უცხოა იმ თემისათვის, სადაც ის აირჩიეს. აქ ისმის კითხვა: თუ უცხო იყო, მას რატომ აირჩიესო?

მაგრამ საქმე ასე არ არის და ეს ყველა კარგად იცის. წინასაარჩევნო პერიოდი ქმნის ისეთ ატმოსფეროს, რომ არჩევნების შედეგები არასასურველი იყოს, რაც თავს მოგვიანებით იჩენს, თორემ არჩევნების დასრულების მომენტში, უფრო მეტიც, ერთი-ორი თვე ხალხი არჩევნების შედეგებით კმაყოფილია.

თვითმმართველობა დროთა განმავლობაში, თანდათანობით ემიჯნება ხალხს და იგი თავის უფლებამოსილებითაც და როლითაც, უბრალოდ, ხელისუფლებას წარმოადგენს და არა ამომრჩეველთა ქომავს.

როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ თავიდან ავიცილოთ არასასურველი თვითმმართველობა?

პირველ ყოვლისა, უშუალოდ ხალხმა, ამომრჩეველმა უნდა წამოაყენოს საკუთარი კანდიდატი და არა რომელიმე პარტიამ, მმართველი იქნება იგი თუ ოპოზიციური. სახალხო კანდიდატი ხალხის ნდობით იქნება აღჭურვილი და ასეთი პიროვნებების მოსვლა თვითმმართველობაში უპირობოდ შექმნის სახალხო თვითმმართველობას, დემოკრატიულსა და თავისუფალს.


თვითმმართველობა – ხალხის სამსახურში?!

კარგი იქნება, გავითვალისწინოთ წინადადება და სტატისის სათაურიც სხვანაირად აჟღერდება, იგი ლოზუნგისა და პათეტიკის იერს მიიღებს. ასე მაგალითად: თვითმმართველობა – ხალხის სამსახურში!

ევროკავშირის მხარდაჭერით მომზადებული სტატისის შინაარსზე პასუხისმგებელია სტატისის ავტორი. მასში გამოთქმული მოსაზრებები არ ეკუთვნის ევროკავშირს.

მე ხომ სახეჯელოს ნეჰი ვიყო

ზვიად ბიაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, ტელევიზია „გურჯაანის“ პროექტების მენეჯერი



საქართველოში დემოკრატიის და სამოქალაქო ცნობიერების განვითარების მიზნით, აუცილებელია, სახელმწიფო ორგანოები გამჭვირვალედ და კანონის სრული დაცვით მუშაობდნენ. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ხელისუფლების წყარო არის ხალხი. ხალხი გარკვეული ვადით ირჩევს ხელისუფლებას, რომელმაც უნდა გადაჭრას და მოაგვაროს მოსახლეობის პრობლემები.

დღეს საქართველო გარდამავალი დემოკრატიის ქვეყანაა, სადაც, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ხელისუფლებას მოსახლეობა ირჩევს. კონსტიტუციის ახალ რედაქციაში გაჩნდა ახალი მუხლი, რომელიც უშუალოდ ადგილობრივ თვითმმართველობას ეთმობა და, შესაბამისად, გარკვეული უფლება-მოვალეობები მიენიჭა. განსაკუთრებით ეს ეხება საკრებულოებს, რადგან საკრებულოს უფრო მეტი უფლებები აქვს, ვიდრე ადგილობრივი ხელისუფლების სხვა შტოებს. ამიტომ ამ ინსტიტუტს ადგილობრივ დონეზე მოსახლეობისთვის მთელი რიგი სასიკეთო ცვლილებების ნახალისება და შემდეგ იმპლემენტაცია შეუძლია.

იმისთვის, რომ საკრებულოს წევრი გახდე, აუცილებელია, პირველ რიგში, გქონდეს სუფთა წარსული და საზოგადოებაში გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობდე.

მე რომ საკრებულოს წევრი ვიყო, ყველანაირად დავიცავდი საკრებულოს, როგორც ინსტიტუტის, პრესტიჟს და თუკი ჩემი კოლეგის რაიმე უკანონო ქმედებას დავინახავდი, აუცილებლად ხმას ავიმალღებდი, რადგან ამას თუ უბრალო მოქალაქე გაიგებდა, მას ზოგადად საკრებულოზე შექმნებოდა

ცუდი წარმოდგენა. საკრებულოში აუცილებლად დავაყენებდი საკითხს, რომ ოპონენტი დეპუტატების ერთმანეთთან პოლემიკა კორექტულობის ზღვარს არ გასცდენოდა და ვინც ამას დაარღვევდა, გარკვეული ჯარიმა დაეკისრებოდა.

აუცილებლად გავიდოდი მოსახლეობაში და გავიგებდი, რა პრობლემების წინაშე დგანან ისინი და, რაც მთავარია, ამას ერთგვარადი სახე არ ექნებოდა. შევეცდებოდი, მაქსიმალურად ჩამერთო მოსახლეობის ყველა ფენა საკრებულოს მუშაობაში. ამ მიზნის განხორციელებისთვის, ჩემს გარშემო შევარჩევდი აქტიურ მოქალაქეებს, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით და ხელს შეეწყობდნენ საკრებულოს სხდომებზე მათ დასწრებას. განსაკუთრებით ბიუჯეტის ფორმირების და პრიორიტეტების განსაზღვრის საკითხში მათი შეხედულებების და შენიშვნების ლობირებას მოვასხდებოდი. მხარს დაუჭერდი მოსახლეობის ყველა ფენის და ასაკობრივი ჯგუფის ჩართვას და მათ ინფორმირებას საკრებულოს მუშაობაში. ასაკობრივ ჯგუფებში მნიშვნელოვან ყურადღებას მივაქცევდი ახალგაზრდების იმ ნაწილს, ვისაც ჯერ კიდევ არ აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. საკრებულოში დავაყენებდი საკითხს იმის შესახებ, რომ სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები მოგვეწვია ჩვენთან და მიგვეწოდებინა მათთვის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა არის ადგილობრივი ხელისუფლება, როგორ მუშაობს და რა უფლება-მოვალეობები გააჩნია მას. ეს მნიშვნელოვნად აამაღლებდა მათ სამოქალაქო პასუხისმგებლობას და მომავალში, როდესაც ისინი გახდებოდნენ სრულფასოვანი და არჩევნებში ხმის უფლების მქონე მოქალაქეები, უფრო გააზრებულ არჩევანს გააკეთებდნენ და არჩეული ორგანოების მუშაობაში აქტიურად ჩაერთვებოდნენ. ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით, ხელს შეეწყობდნენ სკოლებში მოდელირებული საკრებულოს სხდომების ჩატარებას. გულდასმით მოვუსმენდი და აუცილებლად მოვიინშნავდი იქ გამოთქმულ

შენიშვნებს და აზრებს.

ჩემი საკრებულოსთან მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი აუცილებლად იქნებოდა მედიასთან ურთიერთობა. ყოველთვის აქტიურად ვითანამშრომლებდი ჟურნალისტებთან, რადგან მათთან ურთიერთობის გარეშე შეუძლებლად მიმანჩია ყველა ზემოთ ნახსენები ღონისძიების ჩატარება და აქედან პოზიტიური შედეგის მიღება. აუცილებლად მივიღებდი მონაწილეობას სატელევიზიო და რადიო გადაცემებში და ვუპასუხებდი მოსახლეობის კითხვებს. ასევე აქტიურად ვითანამშრომლებდი ბეჭდურ მედიასთანაც და აქტიურად მივანვდიდი უფრო დეტალურ ინფორმაციას როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი სახით საკრებულოს სხდომაზე განხილული თემების შესახებ. საკრებულოში დავაყენებდი საკითხს იმის თაობაზე, რომ მედიისთვის ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიების თუ სხდომის შესახებ ინფორმაცია ავტომატურ რეჟიმში გვეცნობებინა, ხოლო თუ რაიმე კითხვა გაჩნდებოდა ჟურნალისტების მხრიდან, იარსებებდა ამაზე პასუხისმგებელი საკონტაქტო ადამიანი, რომელიც შეძლებდა პასუხის გაცემას და დამატებითი ინფორმაციის თუ განმარტების გაკეთებას. ხელს შეეწყობდნენ საკრებულოს სხდომებზე ჟურნალისტთა დასწრებას, ასევე სხდომის მაქსიმალურ გამჭვირვალობას.

სანამ რაიმე ინიციატივას მხარს დაუჭერდი, აუცილებლად ვკითხავდი აზრს ამ კონკრეტულ საკითხში ჩემზე კომპეტენტურ ადამიანს. რაც მთავარია, აქტიურ მონიტორინგს ვაუწყებდი გამგეობის საქმიანობას. გარდა ამისა, მოქალაქეებისგან მოვისმენდი მოსაზრებას, თუ რამდენად დადებითად აფასებენ გამგეობის მუშაობას და როგორ უწყურებენ კონკრეტული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე პროექტების მიზნობრიობას. **□**

ვეროკავშირის მხარდაჭერით მომზადებული სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი. მასში გამოთქმული მოსაზრებები არ ეკუთვნის ვეროკავშირს.

მე ხომ სახეჯელოს ნეჯი ვიყო...

ნანა წილოსანი, გაზეთ „ლანჩუთის მოამბის“ ჟურნალისტი



როცა საკრებულოს უფლებამოსილებებს, ფუნქციებსა და როლს გავეცანი, დავრწმუნდი, რომ ეს არის კარგად შექმნილი, გააზრებული, ლოგიკური თვალსაზრისით გაანალიზებული იურიდიული დოკუმენტი.

მაგრამ...

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყველა იურიდიულ დოკუმენტს მაშინ აქვს გამართლება, როცა ის მოქმედებაში არა ცალმხრივად, არამედ მიზანმიმართულად და შედეგიანად.

საკრებულოს წევრის მიზანი, ჩემი აზრით, უნდა იყოს საკუთარი პატრიოტიზმის გამოვლენა და არა იმ პორტფელის მოპოვება, რასაც ასე სათუთად უფრთხილდება ჩვენში ზოგიერთი შემთხვევითი დეპუტატი. ამიტომ, როცა გინდა, გახდე საკრებულოს წევრი, პირველ ყოვლისა, საკუთარ აზროვნებაში უნდა გაატარო შენი შესაძლებლობების მაქსიმუმი. უნდა იცნობდე ხალხს, რიგით ადამიანებს, მათ სულიერ თუ ფიზიკურ ყოფას; ფლობდე ფაქტობრივ ინფორმაციას მათი ყოველდღიური ცხოვრებიდან და პრიორიტეტი მიანიჭო იმ სოციალურ პრობლემებს, რომლებიც უმთავრესია ჩვენს ცხოვრებაში.

როცა საკითხი ისმება ასე — მე რომ ვიყო საკრებულოს წევრი... — თავდაპირველად გავიაზრებდი ჩემს შესაძლებლობებს, თუ რით შემიძლია ვემსახურო საკუთარ მუნიციპალი-

ტეტს? რას გავაკეთებდი მისი კეთილდღეობის ამალღებისათვის?

საკრებულოს წევრი კარგად უნდა ერკვეოდეს მუნიციპალიტეტში შექმნილ ყველა პრობლემაში, მათ შორის, მთავარი მაინც სოციალური საკითხებია, რომელთა გადაუჭრელობამ მრავალგზის ჩაგვაგდო გამოუვალ სიტუაციაში.

რა აინტერესებს ხალხს?

პირველ საფეხურზე საკმარისია, თუნდაც ოჯახის ერთი შრომისუნარიანი წევრი მაინც იყოს დასაქმებული, რომ საარსებო მინიმუმის მესამედი მაინც მოიპოვოს საკუთარი შრომით, თორემ სახელმწიფოსაგან მიღებული (და აქაც მოუნესრიგებელი სიტუაციაა) დახმარება ვერაფერი იმედია ისეთი ოჯახებისათვის, სადაც ოთხი-ხუთი, ან სულაც მეტი წევრი ცხოვრობს და თვიდან თვემდე მხოლოდ სახელმწიფო დახმარებას ელოდებიან.

სოციალური პრობლემების შემსუბუქებისათვის მთავარია ეკონომიკური ბალანსის მოგვარება.

დღეს შექმნილი ვითარება სწორედ ადგილობრივი ეკონომიკური ბერკეტების უგულვებლყოფისა და უსუსურობის შედეგია. თუ არ განვითარდა ეროვნული წარმოება, ადგილიდან არ დაიძრა ადგილობრივი სანარმოო რესურსები, თუ არ გვექნება საკუთარი ბაზარი და იმპორტზე მეტი ექსპორტი, მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება და სოციალურ კონფლიქტამდე მიგვიყვანს.

ამიტომ, მე რომ საკრებულოს წევრი ვიყო, სათავეში ჩავუდგებოდი მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ აღორძინებას და ამ საქმეში ჩავრთავდი თითოეულ მოქალაქეს, ამომრჩევებს, საკუთარი და საზოგადოებრივი კეთილდღეობით დაინტერესებულ ადამიანებს.

დღეს, როცა ჩვენს საზოგადოებაში არსებობს სოციალურ ფენათა დისბალანსი, გვეყავს მხოლოდ სილატაკის ზღვარზე მყოფი უმრავლესობა და თითო-ოროლა მდიდარი, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანა კრიზისულ სიტუაციაში ჩავარდნილი.

დამეთანხმებით, იქ, სადაც გამორიცხავენ საშუალო ფენის არსებობას, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი გარდაუვალაა.

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა მოსახლეობისათვის უნდა იყოს გამჭვირვალე; ამდენად, მე როგორც საკრებულოს არჩეული წევრი, პერიოდულად მივანვდიდი ინფორმაციას ჩემს ამომრჩევებს და გავაცნობდი მათ საკრებულოს მუშაობას დადებით და უარყოფით მხარეებს.

საკრებულოს დეპუტატის პორტფელი ნიშნავს არა კაბინეტურ მუშაობას, არამედ ხალხში გასვლას, მათი ტკივილების მოსმენას და ჩივილზე რეაგირებას ხალხის სასარგებლოდ. ამდენად, თავად ამომრჩეველიც იქნება ჩართული საკრებულოს მუშაობაში და, საჭირო შემთხვევაში, მისი მხარდამჭერი და ნდობით აღჭურვილიც.

მოკლედ წერილში ძნელია ისაუბრო ყველა იმ ასპექტზე, რაც სათაურად გამოტანილ ფრაზას პასუხს გასცემდა, ამიტომ მეც მრავალწერტილით დავასრულებ ჩემს სათქმელს. მე რომ საკრებულოს წევრი ვიყო... **■**

ევროკავშირის მხარდაჭერით მომზადებული სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი. მასში გამოთქმული მოსაზრებები არ ეკუთვნის ევროკავშირს.

8 ბანკითაჩეხადი ქვეყანა ათასნაჯიის მიზნების მისაღწევად

ირინა ალიაშვილი



კატაიაღუ ბაბი (მალი), როქეია ქაბირ (ბანგლადეში), იზაბელ ნავარო (ჟურნალისტი), ელზა რივიერა ურბინა (ნიკარაგუა), ლეონორ მაგტოლის ბრიონეს (ფილიპინები), მირანდა ახვლედიანი (საქართველო)

„ოქსფამი“ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელსაც მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში ჰყავს წარმომადგენლობა, მათ შორის, საქართველოშიც. „ოქსფამი“ საქართველოში უკვე 15 წელზე მეტია, მუშაობს და ბევრ საინტერესო პროექტს ახორციელებს.

2009 წელს „ოქსფამმა“ წამოიწყო პროექტი, რომელშიც რვა ქალი გაერთიანდა. ისინი 8 განვითარებად სახელმწიფოს წარმოადგენენ. პროექტს სამხრეთ ამერიკიდან – ნიკარაგუა, აზიიდან – ინდოეთი, ბანგლადეში, ტაილანდი და ფილიპინები, აფრიკიდან – მალი და მალაი,

ხოლო ევროპიდან – საქართველო წარმოადგენს. ამ რვა ქალბატონს მსოფლიოს 2/3-ის სახელით უნევთ საუბარი განვითარებული ქვეყნების ლიდერებთან. ამ პროექტში საქართველოს წარმომადგენელი ქალბატონი მირანდა ახვლედიანია, რომელიც წარმოადგენს კოალიციას „მომავალი სიღარიბის გარეშე“. მას ჟურნალი „ლიბერალი“ ესაუბრა.

რა მიზნით შეიქმნა პროექტი?

ამ ჯგუფის მიზანია, განვითარებულ სამყაროს შეახსენოს, რომ განვითარებადი ქვეყნებისთვის, საჭიროა დონორუ-

ლი დახმარების განწევა და იმ პირობის შესრულება, რომელიც მათ 1970 წელს დადეს. ამ შეთანხმების მიხედვით, განვითარებული ქვეყნები თავიანთი შიდა ეროვნული პროდუქტის 0.7%-ს განვითარებადი ქვეყნების განვითარებას უნდა ახმარდნენ. ანუ ეს არის ოფიციალური საერთაშორისო დახმარება განვითარებისთვის, მაგრამ ამ პირობას ძალიან ბევრი სახელმწიფო არ ასრულებს. საამისოდ უამრავი მიზეზი არსებობს; მაგალითად, გლობალური ეკონომიკური კრიზისი, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები და ა.შ. ჯგუფის შექმნის მიზანიც ზუსტად

ეს იყო, რომ ჩვენ შევხვედროდით განვითარებული ქვეყნების მთავრობებს და შეგვეხსენებინა მათთვის ეს პირობა, რომ კრიზისი მხოლოდ მათი ქვეყნებისთვის არაა კრიზისი, ჩვენს ქვეყნებში ბევრად უფრო მძიმე ვითარებაა, ვიდრე მანამდე იყო და რომ ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევა შეუძლებელია აღნიშნული დახმარების გარეშე.

რა წარმოადგენს ჯგუფის მთავარ აქტივობებს?

ჯგუფის ერთ-ერთ მთავარ აქტივობას წარმოადგენს განვითარებული ქვეყნების მთავრობებთან შეხვედრები და ვიზიტები. ორი ძირითადი მიმართულება, რომელზეც ჯგუფი მუშაობს, არის ჯანდაცვა და განათლება. ჩვენ განვითარებულ სამყაროს და ჩვენი ქვეყნების მთავრობებს მოუწოდებთ, რომ საერთაშორისო დახმარება, ძირითადად, უნდა მოხმარდეს ჯანდაცვას და განათლებას და რომ ეს არის სიღარიბის დაძლევის წინაპირობა. ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ჯანდაცვისა და განათლების გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის განვითარება და ეკონომიკური წინსვლა.

ვინ არის ამ იდეის ოპონენტი და რას უპირისპირებენ ისინი თქვენს საქმიანობას?

არიან ექსპერტები, რომლებიც ფიქრობენ რომ საერთაშორისო დახმარება ფუჭად დახარჯული დახმარებაა. რომ მაღალი კორუფციის პირობებში (მაგალითად, აფრიკის ქვეყნებში), ეს დახმარება, ფაქტობრივად, იკარგება, მაგრამ ჩვენ განსხვავებული მოსაზრება გვაქვს და მიგვაჩნია, რომ ეს დახმარება ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნებისთვის.

საქართველოს წარმომადგენლობა თუ ახდენს გავლენას ზოგადად სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მდგომარეობაზე?

მე არ მიმაქვს მონაცემები სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებიდან. მე წარმოვადგენ კოალიციას „მომავალი სიღარიბის გარეშე“, რომელიც 2005 წელს „ოქსფამის“ მხარდაჭერით შეიქმნა, მასში 50-მდე არასამთავრობო ორგანიზაციაა გაერთიანებული. ჩემი პრეზენტაციები მოიცავს ამ ორგანიზაციების მიერ იდენ-

ტიფიცირებულ პრობლემებს და ვხელმძღვანელობ იმ კვლევებით, რომლებსაც კოალიცია ატარებს ჯანდაცვის სფეროში. რეალურად, შეიძლება განვითარებული ქვეყნის მთავრობებს ისედაც ჰქონდეთ ინფორმაცია ჩვენი ქვეყნების შესახებ, მაგრამ ჩემ მიერ მიწოდებული მონაცემები არის არასამთავრობო სექტორის მიერ დანახული რეალობა. ამაში გამოიხატება ჩვენი სამოქალაქო აქტივობა და რეალურად ეს აჩვენებს განვითარებული ქვეყნების ლიდერებს, რომ საქართველოში დემოკრატია არის და ვითარდება.



მირანდა ახვლედიანი (საქართველო), როქია ქაბირ (ბანგლადეში) და მერი რობინსონი (ირლანდიის მეშვიდე პრეზიდენტი და პირველი პრეზიდენტი ქალი)

რა კონკრეტული შეხვედრები განახორციელეთ 2009 წლიდან მოყოლებული დღემდე?

2009 წლიდან მოყოლებული ჩვენ შევხვდით გერმანიის ეკონომიკისა და განვითარების მინისტრს, რომელსაც ვესაუბრეთ საერთაშორისო ფინანსურ დახმარებაზე. ასევე, შევხვდით ჰოლანდიის პრინცესა მაქსიმას, რომელიც არის ძალიან საინტერესო ადამიანი იმ თვალსაზრისით, რომ იგი გაეროს ელჩია, ეკონომიკური განათლება აქვს და ბევრი რამ იცის განვითარებადი ქვეყნების პრობლემების შესახებ. ასევე, შევხვდით ბელგიის პრემიერ-მინისტრ ივ ლეტერმს. მაშინ

ბელგია ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა იყო. გვექონდა ძალიან საინტერესო შეხვედრა ათასწლეულის განვითარების მიზნებთან დაკავშირებით ევროპარლამენტში, სადაც წარმოვადგინეთ პრეზენტაციები ჩვენი ქვეყნების ჯანდაცვისა და განათლების სისტემების შესახებ. ჩატარდა ასევე მნიშვნელოვანი შეხვედრები ესპანეთში, ეს შეხვედრები იყო როგორც ესპანეთის პარლამენტში, ისე ესპანეთის დედოფალთან, მის უდიდებულესობა სოფიასთან, რომელთანაც საინტერესო საუბარი გაიმართა ჩვენი ქვეყნების შესახებ, გვექონდა ვიზიტი ჩილეს ექსპრეზიდენტთან, ქალბატონ მიშელ ბაჩელეტთან, ესპანეთის ვიცე-პრემიერთან, რომელიც ასევე ქალბატონია. შეხვედრებს თან ერთვოდა მედია-კამპანია ყველა ქვეყანაში.

რას ისმენენ თქვენგან განვითარებული ქვეყნების ლიდერები საქართველოს შესახებ?

ჩვენ ჩვენი საქმიანობა გაგვაქვს საერთაშორისო დონეზე და ამის შესახებ ვესაუბრებით განვითარებული ქვეყნების ლიდერებს. ეს არის, ასე ვთქვათ, პრობლემის ხედვა ძირიდან. ბოლო წლების მანძილზე ვიყავი ჯანდაცვის ომბუდსმენი, ვიცი უამრავი კონკრეტული ადამიანის პრობლემა. არა მხოლოდ ქალაქებში, არამედ რეგიონებშიც. შესაბამისად, მხოლოდ სტატისტიკა და მშრალი ციფრები არ არის ჩემი პრეზენტაციის თემატიკა. მე თითოეული მოქალაქის კონკრეტულ, ადამიანურ ისტორიას ვყვები.

სამომავლოდ რის გაკეთებას გეგმავთ?

ჩვენი პროექტის ლოგიკური დასასრული იქნება „დიდი რვიანის“ ქვეყნებთან შეხვედრა. ჯერჯერობით ამგვარი შეხვედრა ვერ მოხერხდა. თუმცა ახლო მომავალში მსგავსი ტიპის შეხვედრა იგეგმება და ვიმედოვნებ, წარმატებული იქნება. ჩვენ შევძლებთ მათ დარწმუნებას, რამდენად მნიშვნელოვანია ჩრდილოეთის ქვეყნების თანადგომა სამხრეთის ქვეყნების განვითარებისა და ათასწლეულის მიზნების მისაღწევად.



სხვაში, სადას ძებნები ვეხ ძებნენ

ალექსანდრე ელისაშვილის ბლოგი

დამთხვევების მჯერა, უცნაური დამთხვევებისაც, მაგრამ ასეთი დამთხვევები მოცუბენ (განა რა გასაკვირია, კაცმა რომ თქვას). ერთი ასეთი უცნაურობა ამ რამდენიმე დღის წინ დავანამდვილე და მისი თქვენთვის გაზიარება განვიზრახე.

ამ ცოტა ხნის წინ ფეხით ჩავუყევი მიხეილ ჯავახიშვილის დაღმართს, დღემდე ელბაქიდეს, რომ ეძახიან. ხიდისყურთან პატარა ბაღში ცარიელ უბიუსტო კვარცხლბეკს დავაკვირდი და აღმოვაჩინე, რომ ამ პატარა ბაღში, დაჟინებული მცდელობების მიუხედავად, ძეგლები ვერ ძლებენ.


ამ აზრის გასამყარებლად ბაღის „მონუმენტურ“ ისტორიას ბოლოდან თავისაკენ გავყევით: დღესაც უძველეს კვარცხლბეკს ანერია, რომ აქ დაიდგმება სოფიკო ჭიაურელის ბიუსტიო. თუმცა ეს ქანდაკება ამ კვარცხლბეკზე არ დაიდგა. აქ დასადგმელად გამზადებული კომპოზიცია სიონის მიმდებარე ბაღში დადგეს.

კაცმა რომ თქვას, სოფიკო ჭიაურელის ძეგლის ჯავახიშვილის დაღმართის ბაღში დადგმა დიდი მკრეხელობა იქნებოდა, ვინაიდან დღევანდელ ცარიელ პედესტალზე მარი ბროსეს ქანდაკება იდგა. ახლა უფრო მარტივად ვიტყვი – 1994 წელს ჯავახიშვილის დაღმართის უსახელო ბაღში მარი ბროსეს ძეგლი საზეიმოდ გაიხსნა (მოქანდაკე ჯუნა მიქატაძე). 10 წლის თავზე, 2004 წელს ბრინჯაოს ძეგლი მოიპარეს. დარჩა მხოლოდ კვარცხლბეკი და სწორედ ამ კვარცხლბეკზე მხოლოდ ორიოდე წლის წინ მიაკრეს დაფა, რომ სოფიკო ჭიაურელის ქანდაკება მაინცდამაინც აქ უნდა დაიდგასო.

ჟურნალისტ სოფიო თოდუას ყოჩალი საპროტესტო სტატიის შემდეგ, კიდევ კარგი, ეს გადაწყვეტილება შეიცვალა. თუმცა მხოლოდ ეს არაა.

1981 წლის დეკემბერში საქართველოში ფართოდ აღინიშნა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შექმნის მე-60 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით 25 დეკემბერს თბილისში ელბაქიდის დაღმართის უსახელო სკვერში საზეიმოდ გაიხსნა, მაშინდელი პრესის ენით თუ ვიტყვით, „რევოლუციის მგზნებარე რაინდის, ლეგენდარული სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ხელმძღვანელის“ ფელიქს ძერჟინსკის ძეგლი (მოქანდაკე მელიქიშვილი). 9 წლის შემდეგ ძია ფელიქსის ძეგლმა თბილისის სხვა საბჭოური ქანდაკებების ბედი გაიზიარა. თუმცა არც ესაა ბოლო. მანამდე ამავე სკვერში სულხან-საბა ორბელიანის ძეგლი იდგა. მოქანდაკე სიხარულიძის მონუმენტი 1959 წლის 24 ოქტომბერს გაიხსნა, თუმცა ძეგლების



გადატან-გადმოტანა არც კომუნისტებისთვის იყო უცხო და მალე ქანდაკება მთანმინდაზე, ბესიკის ბაღში დადგეს. თუ რატომ, ეს ამ ეტაპზე ჩემთვის უცნობია (როდესაც დავაზუსტებ, აუცილებლად გაუწყებთ). ასეთი უცნაური თავგადასავალი აქვს ჯავახიშვილის დაღმართზე მდებარე უსახელო სკვერს, სადაც ძეგლები ვერ ძლებენ. 



ქუთაისის ახმედბაიხი ტახატი

გარე ძალების მიერ „კარგად დაგეგმილ, ორგანიზებულ და დაფინანსებულ ტერორისტულ“ აქტად შეაფასა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ქუთაისში არშემდგარი ტერაქტი.

პრეზიდენტმა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა მას შემდეგ მოინვია, რაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ 31 მარტს განაცხადა, რომ პოლიციამ ქუთაისში ტერორისტული აქტები აღკვეთა. სამინისტროს ცნობით, ტერაქტი სამ შენობასთან – იმერეთის რეგიონის ადმინისტრაციულ სამხარეო შენობასთან, იუსტიციის სახლთან და ლეიბორისტული პარტიის ოფისთან იგეგმებოდა.

„ჩვენ კიდევ უფრო მეტად უნდა გავაძლიეროთ უსაფრთხოების ზომები, იმ ფონზე, როცა გარე ძალები საქართველოს სტაბილურობისა და მშვიდობის შერყევას ცდილობენ“, – განაცხადა პრეზიდენტმა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე.

შსს-ს ცნობით, დაკავებულია გალის რაიონში მცხოვრები სამი პიროვნება: „დაკავებულების თქმით, მათ დავალებული ჰქონდათ, აეფეთქებინათ ბომბი ქ. ქუთაისში, იმერეთის რეგიონის ადმინისტრაციულ სამხარეო

შენობასთან, იუსტიციის სახლთან და ლეიბორისტული პარტიის ოფისთან,“ – ნათქვამია განცხადებაში.

დაკავებულების ჩვენებებზე დაყრდნობით, შსს აცხადებს, რომ მათ ასაფეთქებელი ნივთიერება ოჩამჩირეში რუსეთის ფედერაციის ოფიცერმა, ვინმე ვალოდიამ გადასცა. „ბრალდებულების მიერ ფოტოსურათზე ამოცნობილი იქნა რუსი ოფიცერი, რომლის დავალებითაც ისინი მოქმედებდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაადგინა მისი ნამდვილი ვინაობა, იგი არის რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის უფროსი ლეიტენანტი, 1985 წლის 29 იანვარს, ჩელიაბინსკის ოლქში, ქ. კორეკინოსში დაბადებული ალექსეი სერგეის ძე უშაკოვი, რომელიც რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე მუშაობს მესაზღვრეთა ნაბაკევის განყოფილებაში ოპერანშემუშავების თანამდებობაზე. სამხედრო ნაწილი 2141“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

სისხლის სამართლის საქმე აღძრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18-323 მუხლით (ტერორისტული აქტის მომზადება).

მოსახლეობის აღწერა აფხაზეთში

აფხაზეთის სტატისტიკის სამსახურმა თებერვალში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის წინასწარი შედეგები გამოაქვეყნა. აღწერის თანახმად, რეგიონის მოსახლეობა 242 826 ადამიანს შეადგენს. აფხაზეთში 2003 წელს ჩატარებული აღწერის თანახმად, რეგიონში 214 000 ადამიანი ცხოვრობდა. აფხაზეთში საინფორმაციო სააგენტო „აფს-ნიპრესის“ ცნობით, აღწერის საბოლოო შედეგები, მათ შორის, მონაცემები მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ ამ წლის ბოლოსთვის გახდება ცნობილი.

ქაზაიას ნაჯახელი საჩიხი დასჯალა

საქართველოს ეროვნული ნაკრები ევრო-2012 წლის შესარჩევი ეტაპის მატჩში, ისრაელის ეროვნულ ნაკრებთან 1:0 დამარცხდა. ამ წაგებით დასრულდა ნაკრების წაუგებელი, ათმატრიანი სერია. F ჯგუფში 9 ქულით საქართველოს ნაკრებმა მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. ისრაელის ნაკრებმა კი – 10 ქულით მესამე ადგილზე. მეორე ადგილზეა ხორვატიის ნაკრები 10 ქულით, პირველზე კი საბერძნეთია 11 ქულით.

ხალაფი საბაიჰო სუჯათო მინისსიხა მინსოვა



ბრიტანეთის ხელისუფლების ცნობით, ლიბიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მუსა კუსამ, კადაფის მთავრობა დატოვა და ბრიტანეთს აფარებს თავს. მინისტრი ოთხ-

შაბათს ლონდონში ტუნისიდან ჩავიდა. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის – უილიამ ჰეიგის – თქმით, კუსა თანამდებობიდან გადადგა. ჰეიგმა სხვებსაც მოუწოდა კადაფის რეჟიმის დატოვებისკენ. ტრიპოლიში ოფიციალურმა პირებმა უარყვეს ცნობა, რომ კუსა გადადგა. მათი განცხადებით, ის ლონდონში „დიპლომატიური მისიით“ იმყოფება.

მუსა კუსა კადაფის მთავრობის გავლენიანი ფიგურა იყო, სწორედ მას მიაწერენ ლიბიის დაბრუნებას საერთაშორისო თანამეგობრობაში, მრავალწლიანი სანქციების შემდეგ.

ღაღიშისასია-ღაღაჩასია აფხაზეთში

რუსეთის საგარეო სამინისტრომ რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთის ტერიტორიას შორის არსებული საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის სამუშაოს საკითხების განხილვა დაიწყო. რუსული მედიის მიხედვით კრემლი აფხაზეთისგან ტერიტორიის 160 კვ.კილომეტრის რუსეთისთვის დათმობას მოითხოვს.

აღნიშნული მოლაპარაკებები იმ ხმაურის ფონზე მიმდინარეობს, რომელიც გაგრის რუსეთისთვის გადაცემის შესახებ გავრ-

ცელებულმა ინფორმაციამ გამოიწვია. რამდენიმე დღის წინ „აფხაზეთის სახალხო ერთობის ფორუმმა“ განაცხადა, რომ აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლება აპირებს რუსეთს გაგრის ნაწილი დაუთმოს.

თბილისი რუსეთსა და აფხაზეთს შორის საზღვრის დემარკაცია-დელიმიტაციის საკითხზე მიმდინარე მოლაპარაკებებს არალეგიტიმურად მიიჩნევს. საგარეო საქმეთა სამინისტროში ამბობენ, რომ არ არსებობს საზღვარი რუსეთსა და აფხაზეთს შორის.

6-ბაღიანი მინისძჳხა საბაიხნეთში

ბერძნულ კუნძულ გრეტაზე მინისძვრა მოხდა. 6.2-ბაღიანი მინისძვრის შედეგად გამოწვეული ბიძგები ეგვიპტესა და თურქეთშიც იგრძნობოდა.

ადგილობრივი მედიის ცნობით, რყევები ძლიერი იყო, თუმცა აქამდე ზიანისა და მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

„მინისძვრა ყველაზე მეტად იგრძნობოდა ეგეოსის არკად წოდებულ რეგიონში, რომელიც სეისმურად ძალიან აქტიური

ზონაა“, – ამბობს სეისმოლოგიის უნივერსიტეტის პროფესორი მანოლის სკორდილისი.

2008 წელს 6.5-ბაღიანი მინისძვრამ ათენიდან 120

კილომეტრში ორი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, 200-მდე ადამიანი კი დაშავდა.



ჩისხვაბი

40%-ით

გაიზარდა საქართველოს საგარეო ვაჭრობა.

121-ე

ადგილზეა ქართული მშპ მსოფლიოს რეიტინგში.

16%-ით

შემცირდა პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში 2010 წელს.

20

მილიონ დოლარად გაყიდვან ელიზაბეტ ტელიორის პორტრეტს.

სიტაბები



„ლიბიაში ინტერვენცია „ხოცვა-ჟლეტის“ შესაჩერებლად იყო აუცილებელი“.

ბარაკ ობამა ლიბიაში აშშ-ის სამხედრო ძალის გაგზავნის თაობაზე

„ფეხბურთის ლიგას სჭირდება ტრანსლაცია. ლიგის ყველა ძირითადი თამაში უნდა იყოს ტრანსლირებული საზოგადოებრივ არხზე“.

პრეზიდენტი სააკაშვილი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრსა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან შეხვედრისას

„შაგამ რუსეთ-საქართველოს სარჩელის განხილვა მხოლოდ შეაჩერა“.

საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი მინაშვილი საქართველო-რუსეთის სასამართლო პროცესის შესახებ

„დაისჯება ყველა, ვინც ოფიციალური პირის მოქრთამვას შეეცდება. მნიშვნელობა არ აქვს, ვისი მონვევით იქნება ის“.

პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური ებრაელი ბიზნესმენების დაკავების საქმეზე



ლადო პააშავა

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი

ქართულ ენაში არის ორი სიტყვა, ეფექტური და ეფექტიანი. ეფექტიანი ნიშნავს შედეგზე ორიენტირებულს, ხოლო ეფექტური – თვალშისაცემს.

რაც შეეხება სახელმწიფოს ანტიინფლაციურ პოლიტიკას, ეს საკითხი ორ ნაწილად უნდა გაიყოს. ფასების დონის პრობლემა დაკავშირებულია, ერთი მხრივ, ეროვნული ბანკის საქმიანობასთან, ხოლო მეორე მხრივ – საქართველოს მთავრობის საქმიანობასთან. ეს ორი ინსტიტუტი ერთმანეთისგან გაყოფილია, როგორც კანონით, ისე – შინაარსის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ანტიინფლაციური პოლიტიკის შესაფასებლად, ცალ-ცალკე უნდა შევაფასოთ როგორც ეროვნული ბანკის, ასევე საქართველოს მთავრობის საქმიანობა.

2010 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოს ეროვნული ბანკი ცდილობს, გაატაროს მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და შეზღუდოს ფულადი მასის ოდენობა, რაც ინფლაციის უმთავრესი მიზეზია. ინფლაცია თავისთავად მონეტარული ფენომენია და როდესაც იზრდება ფულის მასა, ბუნებრივია, იზრდება ინფლაციაც. ამ ეტაპზე ეროვნული ბანკის პოლიტიკა არის ეფექტიანი, ანუ შედეგზე ორიენტირებული.

რაც შეეხება მთავრობის პოლიტიკას, შეიძლება ითქვას, რომ ის არის, ეფექტური, თუმცა არა ეფექტიანი. მთავრობა ცდილობს, პიარის ტიპის ეფექტის მომტანი ღონისძიებების გატარებას. ამის მაგალითია ვაუჩერების დარიგება, რაც თავისი ბუნებით არის მოსახლეობისთვის დამატებითი ფულის მიცემა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი მოსახლეობის 50%-ზე მეტის შემოსავალი არის საარსებო მინიმუმზე ნაკლები, ეს ნიშნავს იმას, რომ ეს ხალხი, უწინარეს ყოვლისა, ამ ფულს დახარჯავს სასურსათო და მედიკამენტების ბაზარზე, რაც ამ ორი სასაქონლო ჯგუფისათვის ფასების ზრდას იწვევს.

სოფლის მეურნეობის სავალალო მდგომარეობის პირობებში ტურიზმის განვითარებაზე აქცენტების აღება ნიშნავს ჩამოსული ტურისტების ხარჯზე ქვეყნის შიგნით საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდას. ეს კი შედეგად მათ გაძვირებას გამოიწვევს. შეიძლება დავასკვნათ, რომ, სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობას ანტიინფლაციური პოლიტიკა არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, ეროვნული ბანკი ატარებს მკაცრ ფულად საკრედიტო პოლიტიკას, რითაც ის წინააღმდეგობას გაუწევს ინფლაციას, მაგრამ ვერ შეაჩერებს სურსათსა და მედიკამენტებზე ფასების ზრდას. ■



ეფექტიანია თუ ეფექტური მთავრობის ანტიინფლაციური პოლიტიკა

■ 2010 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოს ეროვნული ბანკი ცდილობს, გაატაროს მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და შეზღუდოს ფულადი მასის ოდენობა, რაც ინფლაციის უმთავრესი მიზეზია. ინფლაცია თავისთავად მონეტარული ფენომენია და როდესაც იზრდება ფულის მასა, ბუნებრივია, იზრდება ინფლაციაც. ამ ეტაპზე ეროვნული ბანკის პოლიტიკა არის ეფექტიანი, ანუ შედეგზე ორიენტირებული.



მიმა თავხელიძე
ჟურნალისტი

არ ვიცი, საერთოდ, აქვს თუ არა საქართველოს მთავრობას ანტიინფლაციური პოლიტიკა, ყოველ შემთხვევაში, მე მსგავს პოლიტიკას ვერ ვამჩნევ.

ანტიინფლაციური პოლიტიკა იქნებოდა ბიუჯეტის ხარჯების შემცირება და ამ გზით დეფიციტთან გამკლავება. მართალია, საბიუჯეტო ხარჯები 2009 წლიდან მოყოლებული ნელ-ნელა მცირდება და ხარჯები 2011-ში, წესით, შარშანდელზე ნაკლები უნდა იყოს, თუმცა ეს საკმარისი არ არის.

ასევე არასწორად მიმაჩნია, მთავრობის შეხედულება სახელმწიფო ხარჯებით ეკონომიკის სტიმულირების შესახებ. ეს მიდგომა, დაახლოებით, იგივეა, რასაც ობამა აკეთებს შეერთებულ შტატებში. არ ვიზიარებ ამ მიდგომას. ეკონომიკის სახელმწიფო ხარჯებით სტიმულირებას შეიძლება, ეფექტი ჰქონდეს მოკლევადიან პერსპექტივაში, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ის კონტრპროდუქტიულია. ამ სტიმულირების დასაფინანსებლად ეროვნული ბანკი, ფაქტობრივად, ზრდის ფულად მასას, რომელიც მერე აფინანსებს მთავრობის ბიუჯეტის დეფიციტს.

ფოტო: ანდრას ლაბორი / REUTERS

ახა საჩხთვედოს ზღაპრიანი პოლიტიკა?

■ ეკონომიკის სახელმწიფო ხარჯებით სტიმულირებას შეიძლება, ეფექტი ჰქონდეს მოკლევადიან პერსპექტივაში, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ის კონტრპროდუქტიულია. ამ სტიმულირების დასაფინანსებლად ეროვნული ბანკი, ფაქტობრივად, ზრდის ფულად მასას, რომელიც მერე აფინანსებს მთავრობის ბიუჯეტის დეფიციტს.

ეროვნული ბანკის მენეჯმენტი ამბობს, რომ ის ამკაცრებს მონეტარულ პოლიტიკას, მაგრამ რეალურად ფულადი მასა იზრდება. აგრეგატი M2, რომელიც ფულის მასას აღრიცხავს, შარშან 30%-ით გაიზარდა, რაც ინფლაციის მთავარი მიზეზია. მთავრობაში და ეროვნულ ბანკში კი ირწმუნებიან, თითქოს ინფლაციის მიზეზი საკვებ პროდუქტებზე ფასების ზრდაა. ჯერჯერობით არ ჩანს არაფერი, რაც საშუალებას მომცემდა მეტყვა, რომ ეს ზრდა არ გაგრძელდება.

რაც შეეხება საბიუჯეტო დანახარჯების შემცირებას, სამწუხაროდ, ჩვენს ბიუჯეტში ვერ ვიპოვე პუნქტი, რომელიც შეიძლება მკვეთრად შეამცირო, ანუ ეფექტის მოსახდენად ხარჯები ყველა მიმართულებით არის შესამცირებელი.

მთავრობამ უნდა ხარჯოს იმდენი, რამდენი ფულიც აქვს. შესაბამისად, აღარ იქნება საჭირო ჭარბი ფულის შემოსვლა ეკონომიკაში. ეროვნული ბანკი მთლად მთავრობის კონტროლქვეშ არ არის, მაგრამ ესმარება მას. ეროვნული ბანკი ორიენტირებულია არა მკაცრი მონეტარული პოლიტიკის წარმოებაზე, არამედ ეკონომიკის ზრდაზე, რაც ეროვნული ბანკისთვის მოქმედების არასწორი მიზანია. ■



სირია

სიჩიან - ახაბუდი სავხოტესტო ტანლის ხილავ ახთი "მსხვეჩი"

ახლო აღმოსავლეთში აგორებული საპროტესტო ტალღა სირიას მოედო. მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტარული რეჟიმი სასტიკი რეპრესიებით ცდილობს მასთან გამკლავებას.

ვასო კუჭუხიძე

Amnesty International-ის მონაცემებით, სირიაში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეტაკებებს უკვე 300-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა. ადგილობრივი ადამიანის უფლებათა დამცველები შიშობენ, რომ ლიბიის სცენარი მეორდება და მსოფლიო საზოგადოებას აქტიური ჩარევისაკენ მოუწოდებენ.

ქვეყანაში მწვავე ეთნიკური დაპირისპირებაა ქურთ, არაბ და თურქ მოსახლეობას შორის, რასაც სუნიტებსა და მმართველ ალავიტებს შორის რელიგიური უთანხმოებაც ემატება. აქამდე, ავტორიტარული რეჟიმი რეპრესიების საშუალებით წარმატებით ახერხებდა დაპირისპირებული მხარეების კონტროლს. მთავრობაში შიშობენ, რომ სა-

პროტესტო აქციების გამო კონტროლის მექანიზმი შესუსტდება. ამან კი შესაძლოა, სირიას მრავალწლიანი სამოქალაქო ომი მოუტანოს.

2011 წლის 31 მარტს Wall Street Journal-ისთვის მიცემულ ინტერვიუში სირიის პრეზიდენტმა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენები ახალი ეპოქის დასაწყისად შეაფასა. ბაშარ ალ-ასადმა არაბი ხალხის პოლიტიკური ცნობიერების ამღვლელებს გაუსვა ხაზი და რეფორმების აუცილებლობაზე ისაუბრა. თუმცა იმავე ინტერვიუში სირიის პრეზიდენტმა კატეგორიულად გამორიცხა საკუთარ ქვეყანაში მსგავსი გამოსვლების ალბათობა.

თუმცა სირიის რამდენიმე ქალაქში

გამოსვლები უკვე 26 იანვარს დაიწყო. სპეცსამსახურებმა დემონსტრანტები სასტიკად დაარბიეს. მას შემდეგ, ოპოზიციამ რამდენჯერმე სცადა ხალხის ქუჩაში გამოყვანა, მაგრამ ყველა მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. ქვეყნის ყველაზე დიდ ოპოზიციურ მოძრაობას, მუსლიმურ საძმოს ნახევარ მილიონზე მეტი წევრი ჰყავს, მაგრამ მასშტაბური გამოსვლების ჩატარებას ხელს შიშის ფაქტორი უშლის. სირიაში დღესაც კარგად ახსოვთ 1982 წელი, როცა მუსლიმური საძმოს წინააღმდეგ ხელისუფლების სასტიკი რეპრესიებს 35 ათასამდე ადამიანი შეეწირა.

თუმცა 16 მარტს გამოსვლების ახალმა ტალღამ მაინც მოიცვა ქვეყანა. თი-



საპროტესტო აქციები სირიაში

ლიზია

NATO ციხიაში - ოჯახსა „Unified Protector“

31 მარტიდან ლიბიის მოქალაქეების დაცვის ოპერაციას „ნატო“ ხელმძღვანელობს.

ვასო კუჭუხიძე

თქმის ყველა დიდ ქალაქში მიმდინარე დემონსტრაციებს სპეცსამსახურები იოლად ვეღარ უმკლავდებიან. შეტაკებებში დაღუპულთა თუ დაშავებულთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. მთავრობა დათმობებზეც მიდის – 24 მარტს შეიქმნა კომიტეტი, რომელმაც სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და „საგანგებო კანონის“ გაუქმებას უნდა გაუწიოს ზედამხედველობა. 26 მარტს ციხიდან გათავისუფლდა ის 270 დემონსტრანტი, რომელიც ბოლო 2 თვის გამოსვლების დროს დააპატიმრეს. 29 მარტს კი პრეზიდენტმა პრემიერი მუჰამედ ალ-ოთარი და მისი მთავრობა დაითხოვა.

სხვა არაბულ ქვეყნებში მიმდინარე გამოსვლების მსგავსად, სირიელთა პროტესტიც ეკონომიკური და პოლიტიკური უთანასწორობითაა გამოწვეული. დემონსტრანტები ითხოვენ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას, ასაღდა კლანის გადადგომას, რომელიც უკვე 40 წელია მართავს ქვეყანას და რაც მთავარია, 1963 წელს ბაასისტური მთავრობის მიერ მიღებული „საგანგებო კანონის“ გაუქმებას, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში დღესაც იკრძალება ოპოზიციური პარტიები და საპროტესტო აქციები. ■

გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციის საფუძველზე, 2011 წლის 24 მარტს ლიბიის სამხედრო კამპანიაში ოფიციალურად ჩაერთო „ნატო“. მართალია, რეზოლუცია N1970 მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვას „ყველა საშუალების გამოყენებით“ ითვალისწინებს, მაგრამ „ნატო“-ს ოპერაცია „Unified Protector“ ამ ეტაპზე მხოლოდ საჰაერო და საზღვაო მხარდაჭერით შემოიფარგლება და ლიბიის ტერიტორიაზე ქვეითთა გადასხმას არ აპირებს.

პირველი შვიდი დღე „ნატოს“ მისია კოალიციური ძალების მიერ წარმოებულ ოპერაცია „ოდისეა, განთიადი“-ს პარალელურად მიმდინარეობდა, თუმცა 31 მარტიდან მთელი კამპანია „ნატოს“ განკარგულებაში გადავიდა. ცნობილია, რომ ალიანსს მოქმედების 90-დღიანი გეგმა აქვს, თუმცა ეს გეგმა შეიძლება შეიცვალოს – ოპერაცია მხოლოდ მაშინ დასრულდება, როდესაც ამას გაერო მიიჩნევს მიზანშეწონილად.

ოპერაციის დაწყებამდე ალიანსის წევრებს შორის სერიოზული უთანხმოება იყო, თუ რა ფორმით უნდა მომხდარიყო კონფლიქტში ჩართვა. განსაკუთრებულ წინააღმდეგობას ქმნიდა თურქეთი, რომელიც მაქსიმალურად არიდებდა თავს ოპერაციაში მონაწილეობას. სიტუაციის განსამუხტავად ანკარაში რასმუსენის ვიზიტზე კი გახდა საჭირო. საბოლოოდ, ისლამისტების დიდი ზენოლის მიუხედავად, თურქეთის მეჯლისმა მაინც მოახდინა მონაწილეობის რატიფიცირება.

სამხედრო ოპერაციის წინააღმდეგი იყო გერმანიაც. „ნატოს“ გენერალუ-

რი მდივნისა და გერმანიის წარმომადგენლის ერთ-ერთი შეხვედრის დროს ურთიერთობა ისე დაიძაბა, რომ ამ უკანასკნელმა დარბაზი დატოვა. საბოლოოდ ბუნდესტაგი მაინც დათანხმდა „ნატოს“ ოპერაციას ლიბიაში, თუმცა კატეგორიულად გაუსვა ხაზი, რომ ის თავად არ მიიღებს მონაწილეობას საბრძოლო ქმედებებში.

„ნატოს“ ჩართვას ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთიც. უარის ძირითად მიზეზად სარკოზი არაბულ სამყაროში ამ ორგანიზაციის არაპოპულარულობას ასახელებდა. საფრანგეთის პრეზიდენტის განცხადებით, ალიანსის მიმართ სიძულვილი მუსლიმურ ქვეყნებში უამრავ მოხალისეს უბიძგებს კადაფის მხარეს იბრძოლონ. ანალიტიკოსთა განცხადებით კი, საფრანგეთს უბრალოდ არ სურს ლიბიის კამპანიაში წამყვანი როლის ხელიდან გაშვება. სწორედ სარკოზი გახლდათ ლიბიაში ინტერვენციის ძირითადი ინიციატორი და ოპერაცია „ოდისეა, განთიადის“-ს წამყვანი ძალა. ალიანსის ჩართვამ კი საფრანგეთის როლის შემცირება გამოიწვია.

ოპერაციის „ნატო“-სთვის გადაბარება და ლიბიის მოქალაქეების დაცვის ვალდებულების თანაბრად განაწილება ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივაა. ვაშინგტონს არ სურს ოპერაციის სამხედრო და ფინანსური ვალდებულებები ამერიკას დაანევს, როგორც ეს ერაყისა და ავღანეთის შემთხვევაში მოხდა. აშშ-ის ამ ინიციატივას ალიანსის წევრი პატარა ქვეყნების გარდა, ბრიტანეთმა და იტალიამაც დაუჭირა მხარი. ■



სილვიო ბერლუსკონი, ნიკოლა სარკოზი, დიმიტრი მედვედევი, ბარაკ ობამა, პან გი მუნი და მუამარ კადაფი დიდი რვიანის შეხვედრაზე, იტალია, 10 ივლისი 2009

ფოტო: ©/REUTERS

ლიხია

უხეხედი მებობაი

იარაღი, რომლითაც ორი კვირის წინ დიდი ბრიტანეთი ლიბიას ფულის სანაცვლოდ ამარაგებდა, ახლა ამავე ქვეყნის წინააღმდეგ გამოიყენება. „ახლო აღმოსავლეთის ცოფიანი ძაღლი“ ევროპელ მოკავშირეებს ორპირობაში ადანაშაულებს.

დიანა ჩაჩუა

იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით მუამარ კადაფის ლამპედუზას კუნძულზე თავშესაფარს სთავაზობს. იტალიელი პრემიერის თქმით, ის ერთადერთი პოლიტიკოსია, რომელსაც ლიბიელი დიქტატორის დარწმუნება შეუძლია. მან კოალიციას ტრიპოლიში წასვლა და კადაფისთან პირადად შეხვედრაც შესთავაზა. ბერლუსკონის აზრით, ეს „შექმნილი სიტუაციიდან ღირსეული გამოსვლის გზა იქნებოდა კაცისთვის, რომელიც 42 წლის მანძილზე მართავდა ლიბიას“.

ბერლუსკონი და კადაფი დიდი ხნის მეგობრები არიან. თუმცა ლიბიაში არასაფრენი ზონის გამოცხადების შესახებ გაეროს რეზოლუციის შემდეგ იტალია

ერთ-ერთი ის ქვეყანა იყო, რომელმაც კადაფის ზურგი აქცია და ლიბიაში თვითმფრინავები გაგზავნა.

ამას მოყვა 2008 წელს იტალიასა და ლიბიას შორის დადებული მეგობრობის ხელშეკრულების შეჩერება, რომელიც თანამშრომლობის სხვა ფორმებთან ერთად არააგრესიულ პარტნიორობას და ასევე იტალიის კოლონიური მმართველობის პერიოდში ლიბიისთვის მიყენებული ზარალის 5 მილიარდ დოლარად ანაზღაურებას გულისხმობდა.

ლიბიის კრიზისამდე ბერლუსკონის და კადაფის კოლეგიალურ ურთიერთობაზე უფრო მეტი – ახლო მეგობრობა აკავშირებდათ. ეს ნებისმიერი საერთაშორისო შეხვედრის დროს თვალშისაცემი იყო. როცა სხვა კოლეგები გრაციოზულად

ართმევდნენ ერთმანეთს ხელს, კადაფი და ბერლუსკონი დიდი ხნის უნახავი კლასიკური უტყაპუნებდნენ ხელებს ერთმანეთს. არაბული ლიგის ერთ-ერთ შეხვედრაზე ბერლუსკონი კადაფის ხელზე ემთხვია, რაც იტალიაში, ჩვეულებრივ, რომის პაპის მიმართ პატივისცემის გამოხატვის ფორმაა. ქალები, სექსუალური თამაშები და ორგიები ამ ორი ლიდერის კიდევ ერთი საერთო ინტერესი იყო.

საჰაერო თავდასხმების დაწყების შემდეგ კადაფის ყველაზე მეტად სწორედ იტალიამ გაუცრუა იმედები.

„შოკირებული ვარ, მე მილაღატეს, არც კი ვიცი, რა ვუთხრა ბერლუსკონის“, – ამბობდა მუამარ კადაფი.

მიუხედავად იმისა, რომ კოალიცია საჰაერო შეტევებისთვის იტალიის სა-



კადაფი და ბრაუნი



კადაფი და შირაკი



კადაფი და ობამა



კადაფი და პუტინი

ხმელეთო ზონას იყენებს, იტალია კოალიციაში ერთ-ერთი ყველაზე პასიური მოთამაშეა. იტალიური თვითმფრინავები ლიბიაში მხოლოდ ფრენით შემოიფარგლებიან და დღემდე არც ერთი სტრატეგიული ობიექტი არ დაუბომბავთ.

იტალიისგან განსხვავებით, დიდი ბრიტანეთი კადაფის საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოსთვის გადაცემის მომხრეა.

თავიდან ლიბიელი ლიდერი ბრიტანეთში საქულველი ფიგურა იყო, ირლანდიის რესპუბლიკური არმიის დამფინანსებლად, აივონ ფლეჩერის მკვლელად და ლოქერბის დაბომბვის ხელშემწყობად აღიქვამდნენ. შემდეგ ტონი ბლერმა ტაქტიკა შეცვალა და ლიბიელი ბრიტანელების საუკეთესო მეგობრად იქცა.

საჰაერო დაბომბვების დაწყების დღემდე იარაღით ვაჭრობის წინააღმდეგ კამპანიის (CAAT) ბაზაში ბრიტანელების იარაღის ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ შემსყიდველად და „პრიორიტეტულ ქვეყნად“ ლიბია სახელდებოდა. კადაფის სავაჭრო კალათაში ჭურვები, მასების საკონტროლო მასალები, ცრემლსადენი გაზი, შაშხანები და სხვა მასალები ინახებოდა.

კადაფი ასევე აფინანსებდა ირლანდიის რესპუბლიკურ არმიას, მუშათა რევო-

■ თავიდან ლიბიელი ლიდერი ბრიტანეთში საქულველი ფიგურა იყო, ირლანდიის რესპუბლიკური არმიის დამფინანსებლად, აივონ ფლეჩერის მკვლელად და ლოქერბის დაბომბვის ხელშემწყობად აღიქვამდნენ.

ლუციურ პარტიას, ვანესა რედგრეივის ტროცკისტების სექტას, პოლიტიკოს ნიკ გრიფინს და სხვა ნეო-ნაცისტებს.

დიდ ბრიტანეთში ლიბიელი ლიდერის ფულზე არც აკადემიური დანესებულებები ამბობდნენ უარს. ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების სკოლამ (LSE) კადაფის შვილისგან საიფისგან 1,5 მილიონი ფუნტის ოდენობის დონაცია მიიღო. LSE-ის ყოფილი დირექტორი ენტონი გიდენსი ლიბიას „ჩრდილოეთ აფრიკის ნორვეგიას“ უწოდებდა და Guardian-ის ფურცლებზე შემდეგ განცხადებებს აკეთებდა: „რეალურ პროგრესს ლიბიაში მხოლოდ კადაფის წასვლის შემდეგ უნდა ველოდოთ? მე ამის საპირისპიროს ვფიქრობ“.

საიფ კადაფი სადოქტორო ხარისხზე სწორედ LSE-ში მუშაობდა. სასწავლებელში ახლა საიფის წინააღმდეგ გამოძიება ტარდება – მუამარ კადაფის ვაჟს პლაგიატობაში ადანაშაულებენ. ლიბიაში არეულობების დაწყების შემდეგ მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან სასწავლებელში მოულოდნელად მილიონების წარმომავლობის ნამდვილი წყაროც „აღმოაჩინეს“. ის არა რომელიმე სკანდინავიელი სოციალ-დემოკრატი, არამედ ლიბიელი მუამარ კადაფი აღმოჩნდა.

საფრანგეთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ბენგაზიში განთავსებული აჯანყებულთა ეროვნული საბჭო ალიარა და დღის წესრიგში ლიბიაში საჰაერო ოპერაციების საჭიროება დააყენა. მუამარ კადაფიმ ეს გადანყვეტილებები საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის „ფსიქიკური აშლილობებით“ ახსნა.

კადაფის კრიტიკას მალე საიფის საჯარო განცხადებები მოყვა, რომლითაც გაირკვა, რომ კადაფის ოჯახი სარკოზის საპრეზიდენტო კამპანიას აფინანსებდა.

„სარკოზიმ ჯერ მის საპრეზიდენტო კამპანიაში დახარჯული თანხები დაგვიბრუნოს. მასხარა სარკოზიმ ლიბიელ ხალხს ის ფული უნდა დაუბრუნოს, რომლის სანაცვლოდაც საფრანგეთი ლიბიელებს უნდა დახმარებოდა. ამის დამდასტურებელი ფაქტები გვაქვს და მათ მალე გამოვაქვეყნებთ“.

ლიბიის ოპერაციებმა დღის წესრიგში აშშ-ის სელექციური პოლიტიკაც დააყენა. ზუსტად ერთი წლის წინ მუამარ კადაფი ბარაკ ობამას მუსლიმური სამყაროს მადლს და მეგობარს უწოდებდა.

„ის მუსლიმი და მის პოლიტიკას მხარი უნდა დაუჭიროთ. ის მშვიდობას ემხრობა. ჩვენს ორ ქვეყანას შორის არანაირი უთანხმოება აღარ არსებობს“, – აცხადებდა 2010 წლის აპრილში მუამარ კადაფი.

ყველა გავლენიანმა მეგობარმა პოლკოვნიკს ზურგი აქცია. ახლა 68 წლის დიქტატორის საერთაშორისო მოკავშირეებად მხოლოდ ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყნის ავტორიტარი მმართველი რჩება. „თუ მსოფლიო შეიშლება, არც მე დავრჩები ვალში“, – დაბომბილი ტრიპოლიდან უთვლის კადაფი ყოფილ მეგობრებს. **□**

საქართველო VS რუსეთი

დიპლომატიური მახსნი მსიხა სახბეზით

ჰააგის სასამართლომ საქართველოს სარჩელი წარმოებაში არ მიიღო და ამით პოლიტიკურ ორომტრიალს გაეროდა.

ოლესია ვართანიანი, „რადიო თავისუფლება“ სპეციალურად „ლიბერალისტვის“

ჰააგის სასამართლო საათზე მეტ ხანს კითხულობდა საქართველოსა და რუსეთის საქმის შესახებ გადაწყვეტილებას. დარბაზში ისეთი სიჩუმე იყო, სკამის ფრთხილი გაჭრიალებაც კი ისმოდა. დაძაბულ გარემოს მხოლოდ გაზაფხულის ნიავე არღვევდა, რომელიც სასამართლოს ბნელ დარბაზში ღია ფანჯრიდან იჭრებოდა. დარბაზში მხოლოდ ჭაღარათმიანი, სათვალისანი მოსამართლის ხმადაბალი საუბარი ისმოდა. ის მაგიდის სანათის შუქზე ჰააგის სასამართლოს დიდი ხნის ნანატრ გადაწყვეტილებას კითხულობდა.

მოსამართლემ დააკმაყოფილა რუსეთის მოთხოვნა, არ გაგრძელდეს მოსკოვთან დაკავშირებული საქართველოს სარჩელის განხილვა იმას თაობაზე, რომ რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში 90-იან წლების პირველ ნახევარსა და 2008 წლის აგვისტოში ქართველი მოსახლეობის ეთნიკურ წმენდას ახორციელებდა.

სასამართლოს პრეზიდენტის, ჰინსაში ოვადას თქმით, წინასწარი მოსმენების დროს, ქართულ მხარეს არ წარმოუდგენია საკმარისი მტკიცებულებები, რომ რუსეთმა აფხაზეთში ეთნიკური წმენდა განახორციელა. სამხრეთ ოსეთის მოვლენებთან დაკავშირებით, მოსამართლემ აღნიშნა, რომ მან და მისმა კოლეგებმა უნდა შეწყვიტონ ამ საქმის მოსმენა იმის გამო, რომ საქართველოს ჰააგის სასამართლოში სარჩელის შეტანისას, ერთი მნიშვნელოვანი პირობა არ შეუსრულებია – აგვისტოს ომის დღეებში მას არ ჰქონია მცდელობა მოსკოვთან დიპლომატიური კონტაქტები მოე-

ძებნა, რომ ამ გზით შეწყვეტილიყო ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა.

მარტივად რომ ვთქვათ, სასამართლოს ამ საქმის განხილვის გასაგრძელებლად სჭირდებოდა საქართველოს ხელისუფლების მიერ აგვისტოს ომის დღეებში გაკეთებული თუნდაც ერთი განცხადება, რომელიც დაამტკიცებდა, რომ თბილისი მოსკოვს მოლაპარაკებებს სთავაზობდა. დიალოგის მიმართ იგივე გულგრილობაში სასამართლომ მოსკოვიც დაადასაშულა.

„ეს საქმე გახდება სერიოზული პრეცედენტი საერთაშორისო იურისტებისა და ქვეყნების მმართველებისთვის“, – ამბობს ბრიტანული ორგანიზაციის Redress-ის იურისტი სერგეი გოლუბოვი, რომელიც სამი წელია ყურადღებით ადევნებს თვალს გახმაურებულ საქმეს „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“.

„სასამართლომ დანვრილებით განიხილა ის განცხადებები, რომლებსაც ქართველი და რუსი ჩინოვნიკები აგვისტოს ომის დროს აკეთებდნენ და დაადგინა, რომ არც ერთი მხარე არ ცდილობდა კონფლიქტის დიპლომატიური გზით მოგვარებას. ეს კი აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ ჰააგის სასამართლო შეუდგეს ამ საქმის გამოძიებას,“ – განმარტავს გოლუბოვი.

საქართველომ ჰააგაში სარჩელი 2008 წლის 12 აგვისტოს შეიტანა, ანუ აგვისტოს ომის მეხუთე დღეს. ზოგმა თბილისის ამ გადაწყვეტილებაში პოლიტიკური სარჩული დაინახა. საქმე ისაა, რომ არც რუსეთი და არც



საბჭოთა კავშირი აქამდე ჰააგის სასამართლოში მოპასუხის სტატუსით არ ყოფილან წარმოდგენილი. მოსკოვმა თბილისის სარჩელის საპასუხოდ გადაწყვიტა სასამართლოში მიელო მონაწილეობა, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ თბილისის პრეტენზიების სამართლებრივი მიზანშეუწონლობა

დაემტკიცებინა.

2008 წელს ჰააგის სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს მოთხოვნა და რუსეთს რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით გაეროს კონვენციის დაცვისკენ მოუწოდა. ამის შემდეგ იყო წინასწარი წერილობითი და ზეპირი განხილვები, რომლებიც თითქმის 2 წელს გაგრძელდა. ყველა ამ განხილვას პასუხი უნდა გაცეცხეთ ერთ საკვანძო კითხვაზე – უნდა

გააგრძელოს თუ არა სასამართლომ ამ საქმის განხილვა? თუ ეს არ შედის მის იურისდიქციაში?

სერგეი გოლუბოკი ამბობს, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ნიშნავს იმას, რომ ჰააგის სასამართლომ ამჯობინა გაერიდოს პოლიტიკურ ორმომტრიალს.

„შედეგად, სასამართლომ ეს საკითხი განსახილველად ძალიან დელიკატურად ისევ პოლიტიკოსებს დაუ-

ბრუნა: „სამართალი ვერ გიშველით. თავად გადაწყვიტეთ ეს საკითხი“. სასამართლომ უარი თქვა ცხელი პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტაზე. ეს ტენდენციაა, რომელსაც სხვადასხვაგვარად შეიძლება მივუდგეთ. ეს ბევრ ფაქტორთანაა დაკავშირებული. იმაზეც, რომ მოსამართლეების უმრავლესობა წარსულში დიპლომატი იყო და ისინი არ ცდილობენ, იყვნენ აქტივისტები ან რაღაც ამის მსგავსნი“, – ამბობს გოლუბოკი.

თბილისმა და მოსკოვმა დიდი თანხები დახარჯეს იმისთვის, რომ ამ საქმეში მსოფლიოს საუკეთესო იურისტები ჩაერთოთ. თითოეული მხარისთვის სასამართლოს განაჩენი გადაწყვეტი იყო.

ჰააგაში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი თინა ბურჯალიანი აღიარებს, რომ საბოლოოდ, ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის სასარგებლოდ არ არის გამოტანილი. თუმცა, მისი თქმით, ქართული მხარე სასაზღვრეო არ მიეცემა და სამართლის მისაღწევად ბრძოლას სხვა საერთაშორისო სასამართლოებში გააგრძელებს. მისი თქმით, თბილისი ჰააგის სასამართლოს რეკომენდაციებს გაითვალისწინებს და სარჩელს თავიდან შეიტანს.

„არასოდეს მქონია ილუზია, რომ ეს იოლი ბრძოლა იქნებოდა. და ის ასეთივე აღმოჩნდა. რუსეთი ყველაფერს გააკეთებს, რომ პასუხისმგებლობა აირიდოს. ჩვენ კი ჩვენი მხრიდან ყველაფერ შესაძლებელს გავაკეთებთ, რომ რუსეთმა ეს ვერ მოახერხოს“, – განაცხადა თინა ბურჯალიანმა.

სამართლის სპეციალისტები ამბობენ, რომ ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილების ასობით ფურცელზე საქართველოც და რუსეთიც იპოვიან მათთვის სასარგებლო პოზიციებს.

ქართულმა მხარემ უკვე გამოხატა კმაყოფილება იმის შესახებ, რომ სასამართლომ აღიარა საქართველოს და რუსეთს შორის არსებული კონფლიქტი და რომ თბილისის მოპასუხე მოსკოვია და არა – ცხინვალი და სოხუმი. **■**



გორის შესახველი, 2008 წლის აგვისტო

■ სასამართლოს ამ საქმის განხილვის გასაგრძელებლად სჭირდებოდა საქართველოს ხელისუფლების მიერ აგვისტოს ომის დღეებში გაკეთებული თუნდაც ერთი განცხადება, რომელიც დაამტკიცებდა, რომ თბილისი მოსკოვს მოლაპარაკებებს სთავაზობდა.

"სადას ჰოლიტიკური დილოგი წყდება, იქ იწყება იახალის ზღაპარი"

ინტერვიუ „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატიების“ ლიდერთან, ირაკლი ალასანიასთან

„ეს პროცესი არის პოლიტიკური ნების და სიმტკიცის გამოცდა. გაიმარჯვებს ის, ვისაც ეყოფა წინდახედულება. არ შეიძლება ყოველთვის ერთი მხარე იყოს გამარჯვებული, ორივე მხარეს მოგვიწევს ერთმანეთისკენ ნაბიჯის გადადგმა“.

ბრიუსელის კონფერენციაზე თქვენ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილეს, ფილიპ გორდონს შეხვდით. რა საკითხები განიხილეთ მასთან?

ვისაუბრეთ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესზე.

საერთაშორისო თანამეგობრობის და ევროპის პრიორიტეტები საქართველოსთან და პარტნიორობთან მიმართებაში იცვლება. ახლა მათი პირველი პრიორიტეტია, ხელი შეუწყონ და შეცვალონ საარჩევნო გარემო ჯერ არშემდგარ დემოკრატიებში.

ამერიკელი და ევროპელი მეგობრების პოზიცია არის ძალიან ნათელი. მათ სურთ, რომ საარჩევნო გარემოს რეფორმაზე მოლაპარაკებები კონკრეტული, ხალხისთვის ხელშესახები და თვალსაჩინო შედეგით დასრულდეს.

ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ თქვით, რომ „აშშ-სთვის მთავარი ამოცანა არის დაეხმაროს საქართველოს ამ პროცესის კონკრეტულ შედეგამდე მისაყვანად“. რა შედეგებს ელოდება აშშ როგორც ხელისუფლებისგან, ასევე ოპოზიციისგან?

მათ აქვთ მოლოდინი, რომ ჩვენ შევთანხმდებით თვისებრივად ახალ საარჩევნო გარემოზე, რაც რამდენიმე კომპონენტისგან შედგება.

პირველ რიგში, ეს არის შეთანხმება ამომრჩეველთა სიების დადგენის ფორმაზე, მეორე არის საარჩე-



ფოტო: ლ. ცხეველი / სტრატეგია აღმაშენებელი

ვნო სისტემა, რომელიც მისაღები უნდა იყოს პოლიტიკური პარტიების უმრავლესობისთვის. ასევე, ვისაუბრეთ პოლიციისა და უსაფრთხოების სამსახურების დეპოლიტიზაციაზე, ანუ მათი საარჩევნო სისტემისგან გამიჯვნაზე და იმაზე, თუ როგორ უნდა განვითარდეს ქვეყანაში დამოუკიდებელი სატელევიზიო მედია.

განიხილეთ თუ არა მოლაპარაკებების

პროცესში აშშ-ის როლი, ერევა თუ არა აშშ ამ პროცესში?

აშშ და ზოგადად სხვა საერთაშორისო წარმომადგენლები მოლაპარაკების პროცესს ესწრებიან, მაგრამ ეს არის ქართული პროცესი. ჩვენ, პოლიტიკურ პარტიებს, უნდა გვეყოს პოლიტიკური გონიერება, რომ შეთანხმებამდე მივიდეთ. ამას ამერიკა და ევროპა ვერ გააკეთებს.

რა მოხდება, თუ ოპოზიციური რვიანი და მმართველი პარტია ვერ შეთანხმდა?

თუკი შედეგს ვერ მივაღწიეთ, რისი გამოორიცხვაც არ შეიძლება, ეს იქნება საქართველოსთვის უკიდურესად მძიმე.

ხელისუფლება გაამყარებს ავტორიტარულ რეჟიმს, ქვეყანა წავა ტოტალიტარული სისტემის ჩამოყალიბებისკენ, საზოგადოებას და პოლიტიკურ ძალებს არ ექნებათ სივრცე პოლიტიკური მოლაპარაკებებით შედეგების მისაღწევად და ძალადობრივი პოლარიზაციის პროცესი დაიწყება.

ამიტომ, როგორც ოპოზიციამ, ასევე ხელისუფლებამაც, დიდი წინდახედულება უნდა გამოიჩინოს და მოძებნოს ერთმანეთისკენ ნაბიჯის

ანუ ჩვენ გვაქვს მეტი პასუხისმგებლობა სერიოზულად მივუდგეთ ამ მოლაპარაკებას. სადაც პოლიტიკური დიალოგი წყდება, იქ იწყება იარაღის ფლარუნი, რაც დაუშვებელია.

მაღე გაირკვევა, აქვს თუ არა პოლიტიკური ნება სააკაშვილს, თავის საკუთარ ხალხს და საზოგადოებას დაუთმოს სამართლიანი არჩევნები.

მაჟორიტარი პარლამენტარების თაობაზე მთავრობის არგუმენტი, რომ ყველა რეგიონს უნდა ჰყავდეს პირდაპირ არჩეული წარმომადგენელი პარლამენტში, რატომ არ იზიარებთ ამ მოსაზრებას?

პირიქით, უფრო ძლიერი, წარმომადგენლობის მომხრე ვართ. ჩვენ რეგიონული, პროპორციული სისტემა შევთავაზებთ, რომელშიც ყველა რე-

გიონეტრულად არჩევნების ჩატარებაზე, არამედ ბიომეტრული სიების დადგენაზე.

მაგალითად, ინდოეთში მილიარდ ორასმილიონიანი მოსახლეობის აღწერას თერთმეტი თვე დაეთმო. ეს მაგალითი ნათელს ხდის, რომ ხელისუფლება უბრალოდ იტყუება, როცა ამბობს, რომ რესურსი არ ჰყოფნის სიების დასადგენად.

უბრალოდ, არ არის პოლიტიკური ნება, რომ დადგინდეს ამომრჩეველის ზუსტი სია.

რა მოლოდინები გაქვთ მოლაპარაკებებისგან, რა შედეგს ელოდებით?

ეს პროცესი არის პოლიტიკური ნების და სიმტკიცის გამოცდა. გაიმარჯვებს ის, ვისაც ეყოფა წინდახედულება და პოლიტიკური

■ ამერიკელი და ევროპელი მეგობრების პოზიცია არის ძალიან ნათელი. მათ სურთ, რომ საარჩევნო გარემოს რეფორმაზე მოლაპარაკებები კონკრეტული, ხალხისთვის ხელშესახები და თვალსაჩინო შედეგით დასრულდეს. მათ აქვთ მოლოდინი, რომ ჩვენ შევთანხმდებით თვისებრივად ახალ საარჩევნო გარემოზე.

გადადგმის პოლიტიკური ძალა.

საარჩევნო მოლაპარაკებების ჩიხში შესვლაში „ოპოზიციური რვიანი“ და მმართველი პარტია ერთმანეთს ადანაშაულებს. მაგალითად, პავლე კუბლაშვილი ამბობდა, რომ მოლაპარაკებები ჩაშლისკენ ოპოზიციის „ულტიმატუმების ენას“ მიჰყავს.

ბატონ კუბლაშვილს ეტყობა, პრინციპული პოლიტიკური პოზიცია ულტიმატუმი ჰგონია. ულტიმატუმი იყო პრეზიდენტის განცხადება მოლაპარაკების დასაწყისშივე, როდესაც მან განაცხადა, რომ მაჟორიტარულ სისტემასთან დაკავშირებით დათმობები არ განიხილება.

როდესაც საპირისპირო პოლიტიკურ ძალას არ ჰყოფნის მოლაპარაკების რესურსი, მეორე მხარეს,

გიონს ეყოლება წარმომადგენელი. იმ რეგიონებს, სადაც 50 ათასზე მეტი მცხოვრებია, ეყოლება ორზე მეტი წარმომადგენელი. რა თქმა უნდა, ასევე გათვალისწინებული გვაქვს წარმომადგენლობა მთიან რაიონებში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა მცირეა.

საარჩევნო რეფორმაზე გამართულ მოლაპარაკებებში ოპოზიცია ითხოვდა ბიომეტრული მონაცემების გამოყენებას არჩევნებში, რაზედაც მმართველმა პარტიამ მონაცემების თბილისში გამოყენება შემოგთავაზათ. რატომ არ მიიღეთ ეს შეთავაზება?

ჩვენ ვერ მოვისმინეთ სამართლიანი ახსნა იმისა, თუ რატომ ვერ აკეთებენ ბიომეტრულ სიებს მთელ საქართველოში. აქ არ არის საუბარი

სიმტკიცე. არ შეიძლება ყოველთვის ერთი მხარე იყოს გამარჯვებული, ორივე მხარეს მოგვიწევს ერთმანეთისკენ ნაბიჯის გადადგმა და რვიანი ამისთვის მზად არის. სააკაშვილის პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული, თუ რა ნაბიჯებს გადადგამს ნაციონალური მოძრაობა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ყველას ერთად კიდევ ერთხელ მოგვეცა შანსი, მთელ მსოფლიოს, პირველ რიგში კი საკუთარ თავს, დავუდასტუროთ, რომ ცვლილება შეგვიძლია არაძალადობრივად.

ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ. **■**

ესაუბრა ნანა საჯაია.

ხაზახვი მიზნის ბაიუშე

მთავრობას სარეზერვო სამსახურის კონცეფცია არ აქვს. რეზერვისტთა მომზადების პროგრამა ფიქტიურია. თუმცა სახელმწიფო მაინც განაგრძობს ათიათასობით რეზერვისტის გაწვევას და ამაში მილიონობით ლარის ხარჯვას.

მაია ნიკლაური

4 აპრილს, დღის 8 საათზე, ლოკო-მოტივის სტადიონზე რამდენიმე ასეული 27-დან 40 წლამდე მამაკაცი შეიკრიბა. სამედიცინო დათვლიერების გავლის შემდეგ ისინი გარე სამყაროს 18 დღით მონყდებიან.

ეს უკვე რეზერვისტების მეხუთე ნაკადის გაწვევაა აგვისტოს ომიდან ორწლიანი პაუზის შემდეგ. თავდაცვის უწყებამ 2010 წლის ოქტომბერში სავალდებულო სარეზერვო სამსახური კვლავ აღადგინა.

საქართველოს პრეზიდენტმა, რომელმაც ომის დროს სარეზერვო სამსახურის მუშაობა მკაცრად გააკრიტიკა და „ყველაზე სუსტი რგოლი“ უწოდა, მისი აღდგენის აუცილებლობა ასე ახსნა: „საქართველოს ტოტალური თავდაცვა სჭირდება, რომლის დროსაც ყველა სოფელს უნდა შეეძლოს თავის დაცვა, რადგანაც, რუსეთს არ აუღია ხელი თავის ამოცანაზე, მთელი ქვეყნის ოკუპაცია მოახდინოს“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა გასული წლის 28 ივლისს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებთან და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობასთან შეხვედრაზე.

2010 წლის ივლისში პარლამენტმა სარეზერვო სამსახურის შესახებ კანონში ცვლილებები შეიტანა. უნდა შექმნილიყო პრინციპულად ახალი სარეზერვო სისტემა, რომელიც აგვისტოს ომის დროს გამოვლენილ ხარვეზებს მთლიანად აღმოფხვრიდა. ჯერჯერობით,

მთავარი ცვლილება ისაა, რომ ყოველწლიური სავალდებულო 18 დღიანი მოსამზადებელი კურსი 45 დღემდე გაიზარდა. სამინისტროს უკვე შეუძლია, წელიწადში რამდენჯერმე გაიწვიოს რეზერვისტი.

ახალი სარეზერვო პროგრამა უკვე ამოქმედდა, თუმცა თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდზე რეზერვისტთა მომზადების ახალი პროგრამის შესახებ ინფორმაცია არ არის. „ლიბერალმა“ ეს ინფორმაცია ვერც უშუალოდ თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურთან ურთიერთობის შედეგად მოიპოვა.

რას ასწავლიან რეზერვისტებს და რაში იხარჯება ამ საქმისთვის გამოყოფილი მილიონობით ლარი?

ოფიციალური ინფორმაციის არარსებობის პირობებში, სარეზერვო პროგრამაზე წარმოდგენის შექმნა მხოლოდ რეზერვიდან დაბრუნებულთა მონათხრობით თუ შეიძლება.

რეზერვისტები, რომლებსაც „ლიბერალი“ ესაუბრა, კვების, ჰიგიენის და აღჭურვილობის პრობლემებზე მეტად სწორედ იმაზე წუხან, რომ სარეზერვო სამსახურში 18 დღე ფუჭად გაატარეს.

„კავკასიური სახლის“ დირექტორი 27 წლის გიორგი კანაშვილი, წელს პირველად გაიწვიეს რეზერვში:

„მაგალითად, ჩვენს ასეულს კავშირგაბმულობის ნიუანსებს უხსნიდნენ და ას კაცზე მხოლოდ ერთი კავშირგაბმულობის აპარატი გვქონდა. ბევრმა ჩვენგან-



მა ამ აპარატისთვის თვალის მოკვრაც ვერ შეძლო. საინჟინრო ლექციაზე გვასწავლიდნენ, რა ტიპის სანგრები უნდა გაითხაროს და უცებ აღმოაჩინეს, რომ ბარები არ გვექონდა. კომპასით გადაადგილებას გვისწავლიდნენ და კომპასი არ გვექონდა. რუკას ზეპირად გვასწავლიდნენ. რუკა არ გვექონდა და გვეუბნებოდნენ – ეს ფერი აღნიშნავს ამას, ის ფერი – იმას. ლამის ერთი მთლიანი დღე ჰიმნის რიტმში სიმღერის სწავლებას დაეთმო“, – ჰყვება გიორგი კანაშვილი.



რეზერვისტების წვრთნა, კოჯორი, ივლისი 2007

ფოტო: ზურა ჟურაბიანი

31 წლის თორნიკესთვის 18 დღიანი სარეზერვო სამსახურის მთავარი მოგონება მისი ასეულის ჰიმნია:

„საქართველო დედამიწის ყვავილნარია... საქართველო არნივების დედა-მშობელი, ერეკლეს და სააკაძის წარმომშობელი. – ამ სიმღერას რა დამავინყებს“, – ამბობს თორნიკე.

ასეულის ჰიმნთან ერთად, მან მართით გადაადგილების ერთი – ჭადრაკული სახეობა, იარაღის დაშლა-აწყობა და დილის 6 საათზე ადგომა ისწავლა.

„ავტომატიდან ორჯერ გასროლას თუ სროლის ცოდნა ჰქვია, მაშინ ჩათვალეთ, რომ ვიცი, – ჰყვება თორნიკე, – ერთხელ 27 ტყვია დავხარჯე, მეორედ – 18. სულ ეს იყო. ყუმბარმტყორცნელთა ასეულში ვიყავი, თუმცა ყუმბარმტყორცნიდან არც ერთხელ არ მისვრია. მაინტერესებს, თუ ომი იქნება, როგორც გამოცდილ ყუმბარმტყორცნელს ისე გამინვევენ?“ – ხუმრობს თორნიკე.

თორნიკეს ოცეულს თითქმის ყოველ

დღე საკლასო მეცადინეობები ჰქონდა. ამ დროს ოცეულის წევრები მინდორში გადიოდნენ, საბურავებზე სხდებოდნენ და ისმენდნენ ლექციას. მაგალითად, თემაზე – რა არის კალაშნიკოვი.

„ეს ლექციები, დაახლოებით, ერთ საათს გრძელდებოდა, დანარჩენი დრო სადილამდე უსაქმურად ვისხედით, სხვადასხვა თემაზე ვლაპარაკობდით. იარაღი ყველას გვექონდა, მაგრამ ტყვიები – არა. თან, მკაცრად გაგვაფრთხილეს, იარაღის დაკარგვა



ფოტო ინფორმაციის ცენტრი

რეზერვისტების ლექცია

თავდასაცმის საბინის ხარჯი 2002-2011 წლებში

ჯამი	ბიჯაჯა
2011 წელი	661 000 000 ლარი
2010 წელი	749 500 000 ლარი
2009 წელი	879 000 000 ლარი
2008 წელი	1 547 000 000 ლარი
2007 წელი	605 000 000 ლარი
2006 წელი	392 500 000 ლარი
2005 წელი	368 100 000 ლარი
2004 წელი	169 396 400 ლარი
2003 წელი	34 000 000 ლარი
2002 წელი	57 000 000 ლარი

სისხლის სამართლის დანაშაულია, ამიტომ ზოგიერთები იარაღის დაკარგვის შიშით ტულეტშიც ავტომატით შედიოდნენ. ცუდი არ იყო, კარგი მოგონებები დამრჩება, მაგრამ არ მესმის, რაში გამოადგება ეს ჩემი 18 დღიანი რეზერვში ყოფნა ჩემს ქვეყანას“, – ამბობს თორნიკე.

„ისეთ რამეებს გვასწავლიდნენ, რაც ომში მაინც არ გამოგვადგება. თვითონ გვეუბნებოდნენ, რომ არ გამოგვადგებათო. მაგალითად, გვასწავლიდნენ, რამდენს იწონის ავტომატი, კავშირგაბმულობის აპარატი. რომ ვეკითხებოდით, როგორ უნდა გამოვიყენოთ – გვეუბნებოდნენ, რომ ამის სწავლება პროგრამაში არ შედისო. ამ ყველაფერს 18 დღე განვევა რაში სჭირდება? რომ შეექმნათ რაღაც ჯგუფები და სამსახურის შემდეგ, საღამოობით რომ გვევლო, ეგ

დროც ეყოფოდა“, – ჰყვება 29 წლის ვალერი რუსთავიდან.

კიდევ ერთი პრობლემა, რაზეც რეზერვისტები ყურადღებას ამახვილებენ, რეზერვში განვეულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებაა.

„ზედაპირულად გვამონებდნენ. აგვიღეს მხოლოდ სისხლის ანალიზი. ზოგიერთებმა ჯანმრთელობის ცნობებიც აჩვენეს, მაგრამ უმეტესობა არ გაითვალისწინეს. ჩემს ასეულში ერთ ბიჭს დისკოზი ჰქონდა, რომელიც ძალიან გაუმწვავდა, ფეხზე ძლივს დგებოდა და სულ კარავში იყო. ფიზიკური დატვირთვა არ შეიძლებოდა და სახლშიც არ უშვებდნენ“, – ამბობს გიორგი კანაშვილი, რომელიც ალგეთის პოლიგონზე მსახურობდა.

32 წლის ზაზა, რომელმაც წერთ-ნა უჯარმის ბაზაზე გაიარა, ამბობს,

რომ სამსახურში პრობლემები შეექმნა, რადგან სარეზერვო სამსახურში 2 დღით ადრე გაინვიეს: „2 დღეში რას მოვასწრებდი, ელემენტალურად, სამსახურში ხომ უნდა გადამებარებინა საქმეები ამდენი ხნით რომ წავედი?“

34 წლის ზურა ტაქსის მძღოლად მუშაობს და დღეში 15 ლარი შემოსავალი აქვს. „გამოდის, რომ ცოლ-შვილი 18 დღე უპატრონოდ დავტოვე. აბა რა უნდა მექნა?“ – ამბობს იგი.

საქართველოში რეზერვისტთა განვების პროგრამა პირველად 2004 წელს ამოქმედდა. თავდაპირველად, იგი არასავალდებულო იყო და რეზერვისტთა ბანაკებში ნებაყოფლობით ეწერებოდნენ.

იმავე წლის ზაფხულში პირველი სარეზერვო შეკრება ოსიურის სამხედრო ბაზაზე მმართველი გუნდის წევრებმა გაიარეს. პარლამენტის დეპუტატებისა და სხვა მაღალჩინოსნების სირბილს, ვარჯიშს, კვებას, თეორიულ მომზადებას დღე-ღამის ყველა მონაკვეთში ტელეკამერები იღებდნენ.

სარეზერვო სამსახურის ერთ-ერთი მიზანი ისიც იყო, რომ არმიისადმი ხალხის დამოკიდებულება შეეცვალა და ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთება გაელევიებინა.

2005 წელს რეზერვისტთა ბატალიონების შექმნა სამხედრო სფეროში ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოცხადდა. პრეზიდენტის განკარგულებით, იმ წელს თავდაცვის უწყებას 20 ათასი რეზერვისტი უნდა მოემზადებინა.

ნაციონალურ არხებზე გაჩნდა სარეკლამო კლიპები მონოდებით – „წამო რეზერვში, მაგარი!“ ერთ-ერთ კლიპში ახალგაზრდა კაცი შუა გზაზე ტოვებს თავის ძვირადღირებულ ავტომანქანას და ჯავშანტრანსპორტიორზე გადაინაცვლებს, სადაც რეზერვისტთა ბანაკში მიმავალი ახალგაზრდები სხედან. სტუდენტებს სამი სარეზერვო შეკრების გავლის სანაცვლოდ სამხედრო ბილეთის აღებას პირდებოდნენ, რაც მათთვის დამატებითი სტიმული იყო.

გარდა სამხედრო დანიშნულებისა პირველ წლებში განსაკუთრებით აქტიური იყო რეზერვისტების, როგორც

სტიქიური უბედურებებისა და კატასტროფების დროს დამხმარეთა მომზადება.

ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკში გაჩენილ ხანძრის ჩაქრობაში რეზერვისტები მონაწილეობენ; ქუთაისში მაგისტრალურ წყალსადენზე მომხდარი ავარიის დროს რეზერვისტები ვედროებითა და ავზებით მოსახლეობას სასმელი წლით ამარაგებენ; დასავლეთ საქართველოში წყალდიდობის დროს რეზერვისტები სტიქიით დაზარალებულებს ეხმარებიან – 2004-2006 წლებში ეს კადრები ყველა არხით გადაიციმვდა.

უკვე 2006 წლის აგვისტოში პრეზიდენტი „მოსალოდნელი გარე საფრთხეების თავიდან ასაცილებლად“ 100 ათასი რეზერვისტის მომზადებას ითხოვს. ამავე წლის სექტემბერში ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ცვლილებები შედის, ქვეყანა ტერიტორიული თავდაცვის პრინციპიდან საყოველთაო, ანუ ტოტალური თავდაცვის პრინციპზე გადადის, რაც გარე აგრესიის შემთხვევაში თავდაცვისუნარიანობის მზაობას გულისხმობს. ამ წელს სარეზერვო სამსახური სავალდებულო ხდება.

„მე მაქვს უფლება, შევბუღება ავიღო და ეს შევბუღება ნებისმიერ ადგილას გავატარო. მე გავატარებ მას რეზერვისტებთან ერთად. მე ვიქნები რიგითი რეზერვისტი ორი კვირის განმავლობაში“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2006 წლის ზაფხულში.

პარალელურად, „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსული საქართველოს ხელისუფლება, რომელმაც სრულიად არაქმედითუნარიანი არმია ჩაიბარა, წარმოუდგენლად ზრდის ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტს. 2007 წელს სტოკჰოლმის მშვიდობის კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემებით, საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა სამხედრო ხარჯების ზრდის თვალსაზრისით.

2008 წლის აგვისტოს ომამდე ერთი თვით ადრე კი საქართველოს სამხედრო ბიუჯეტმა თავის ისტორიაში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია და 1 მილიარდ 500 მილიონი ლარი შეადგინა.

30ს ქებას სჩქუხჩქო სამსახური

- ▶ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ „სარეზერვო სამსახურის შესახებ კანონში“ 2010 წლის 21 ივლისს ცვლილება შევიდა. 27-დან 40 წლამდე ასაკის მამაკაცი ვალდებულია, სავალდებულო სარეზერვო განვება მოიხადოს. თუ 2008 წლამდე სავალდებულო რეზერვში განვება წელიწადში ერთხელ მხოლოდ 18 დღით ხდებოდა, საკანონმდებლო ცვლილებით ეს ვადა 45 დღემდე გაიზარდა. თანაც ერთი წლის განმავლობაში ერთი და იგივე პირი სანგრთხელ შეკრებაზე შეიძლება რამდენჯერმე გამოიძახონ.
- ▶ თუ პირველი განვების შემდეგ პირი არ გამოცხადდება კომისარიატში, კანონის შესაბამისად, ის 500 ლარით დაჯარიმდება. ჯარიმის გადახდის შემდეგ კი იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში 10 დღის ვადაში ამ პირის შესახებ გადაწყვეტილებას სასამართლო მიიღებს.
- ▶ სამხედრო სარეზერვო სამსახური რეზერვისტს შრომის სტაჟში ჩათვლება. სარეზერვო სამსახურის გავლის პარალელურად, მას უნარჩუნდება სამუშაო ადგილი და ხელფასი.
- ▶ სამხედრო სარეზერვო სამსახურის გადავება შესაძლებელია, თუ განვეული პირის კმაყოფაზე ოჯახის შრომისუუნარო წევრია, რომელიც საჭიროებს მუდმივ მზრუნველობას და არ ჰყავს სხვა კანონიერი მომვლელი, რომელსაც მისი მოვლა შეუძლია. ასევე თუ მის კმაყოფაზე არასრულწლოვანი ან/და ობოლი და-ძმა. თუ მისი საქმიანობა დაკავშირებულია სეზონურ სამუშაოსთან.
- ▶ აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების მიერ სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლა ერთჯერად სავალდებულოა. თუ ეს პირები საკუთარი სურვილით გაივლიან სარეზერვო სამსახურს დამატებით ორი ვადით, მათ სამხედრო ვალდებულება მოხდილად ჩათვლება და 27 წლის ასაკის მიღწევამდე ჩაირიცხებიან ინდივიდუალურ რეზერვში.

სამსახური სპეციფიკა სამსახურთან თავსებადობა:

- ▶ ქალები
- ▶ სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური შემადგენლობა
- ▶ საზღვაო ფლოტის შემადგენლობა
- ▶ პედაგოგები და ექიმები, რომლებიც მუშაობენ სოფლად
- ▶ საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების სისტემაში მომუშავე პირები
- ▶ თბილისის მეტროპოლიტენის თანამშრომლები
- ▶ მოსამართლეები
- ▶ პირები, რომლებმაც მოიხადეს არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახური
- ▶ საზღვარგარეთ სასწავლებლად ან სამუშაოდ მყოფი პირები
- ▶ დიპლომატიური თანამდებობის პირები
- ▶ სასულიერო პირები
- ▶ საქართველოს პარლამენტის წევრები
- ▶ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურისათვის უფარგისად ცნობილი პირი
- ▶ პირი, რომელმაც სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალებში იმსახურა
- ▶ პირი, რომელიც სისხლის სამართლის მიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის არის ნასამართლევი
- ▶ პირი, რომელიც გადის არასამხედრო, ალტერნატიულ, შრომით სამსახურს
- ▶ ასპირანტი
- ▶ პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს სამეცნიერო ხარისხი და ვნევა პედაგოგიურ ან სამეცნიერო მუშაობას
- ▶ ერთადერთი ვაჟი ოჯახში, რომლის ერთი წევრი მაინც დაიღუპა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში ან სამხედრო სამსახურის გავლისას.
- ▶ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული წევრადელი, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი გაათავისუფლებს სამხედრო ვალდებულებისგან.

თუმცა, მათ, ვინც მოიხდა არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახური, საზღვარგარეთ იმყოფება სასწავლებლად ან სამუშაოდ, დიპლომატებს, სასულიერო პირებს, პარლამენტის წევრებს და ქალებს უფლება აქვთ, ნებაყოფლობით გაიარონ სამხედრო სარეზერვო სამსახური.

2005-2008 წლებში სახელმწიფოს ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან სარეზერვო სამსახურის მომზადებაზე 180 მილიონი ლარი დაიხარჯა.

პირველი სერიოზული გამოცდა რეზერვისტებისთვის 2008 წლის აგვისტო იყო.

„8 აგვისტოს დილით კომისარიატში დამიბარეს. უკვე საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა, თბილისიდან გორის ბაზაზე რომ მიგვიყვანეს. ბრძანებას ველოდებოდით და ვერაფერს ვაკეთებდით. ბევრმა რეზერვისტმა იარაღის ხმარებაც არ ვიცოდით. ცუდი ისაა, რომ ბიჭები მტერთან ბრძოლაში კი არა, უაზრო შეცდომების გამო დაიღუპნენ. გორის ბაზაზე გაუფრთხილებლობით რამდენიმე რეზერვისტს ჟანგბადის ბალონი აუფეთქდა. არ იცოდნენ, რომ ტყვიისგან გაზეთილი ხელებით ჟანგბადის ბალონს არ უნდა შეხებოდნენ. ბევრი ფსიქოლოგიურად არ იყო მზად. ზოგი შიშისგან უაზროდ ხარჯავდა ტყვიებს. სრული ქაოსი იყო. ჩვენმა მეთაურებმაც არ იცოდნენ, რა უნდა ექნათ. მათ ბრძანებებს შავ ჯიპებში მსხდარი სამოქალაქო პირები აძლევდნენ“, – იხსენებს 38 წლის ვასო, რომელიც ომის დროს რეზერვისტად 105-ე ბატალიონში მსახურობდა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, 9 რეზერვისტი დაიღუპა.

ომის აქტიური ფაზის დასრულების შემდეგ, პირველსავე განცხადებებში პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავად აღიარა, რომ სარეზერვო სამსახური „სუსტი რგოლი იყო“, თუმცა პრეზიდენტმა აქვე დასძინა, რომ ის გულისხმობდა მეთაურებს და არა რიგითებს.

აგვისტოს ომის შემსწავლელმა დროებითმა საპარლამენტო კომისიამ თავის საბოლოო დასკვნაში მიუთითა, რომ საომარმა მოქმედებებმა გამოავლინა რეზერვისტთა სისტემის „სრული არაადეკვატურობა ყველა დონეზე“.

„სამწუხაროდ, სარეზერვო სისტემის შესახებ პროგრამამ ვერ იმუშავა“, – განაცხადა კომისიისთვის მიცემულ ჩვენებაში თავდაცვის იმდროინდელმა მინისტრმა დავით კეზერაშვილმა.

„რეზერვისტთა სისტემა არის სუსტი ნერტილი, რომელიც ამ წუთში გააჩნია შეიარაღებულ ძალებს. მათ მართვაში და მენეჯმენტში შეიქმნა პრობლემები. ეს მთლიანად გაერთიანებული შტაბის ლაფსუსია და მე არ გავუზრბივარ ამ პასუხისმგებლობას. ერთ თვეში რეზერვისტთა ახალი კონცეფცია შემოვა და მასში გათვალისწინებული იქნება ყველა უარყოფითი მხარის გამოსწორება“, – იმავე კომისიის განუცხადა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა ზაზა გოგავამ.

ომის შემდეგ საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის, სამხედრო სფეროში: შეჩერდა რეზერვში განვების პროგრამა; ერთბაშად 30 პროცენტით შემცირდა არმიის დაფინანსება. საგრძნობლად იკლო სამხედრო პროპაგანდა ტელეეთერშიც.

ხელისუფლების წარმომადგენლები საჯარო გამოსვლებში აცხადებენ, რომ რუსეთის მხრიდან ღია აგრესიის საფრთხე ამ ეტაპზე არ არსებობს. თუმცა, ეროვნული უსაფრთხოების ახალი კონცეფციის თანახმად, რუსეთი, რომელსაც ოკუპირებული აქვს ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, უკვე ოფიციალურად გამოცხადდა ქვეყნის მთავარ საფრთხედ.

2008 წლის შემდეგ, ყველა ერთხმად აცხადებდა, რომ ცვლილებები სარეზერვო სამსახურსაც უნდა შეხებოდა. 2008 წლიდანვე თავდაცვის სამინისტრომ რეზერვისტთა ახალი კონცეფციის მომზადება დაიწყო.

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ომის შემდეგ დაითხოვა ეროვნული გვარდიის მთელი ხელმძღვანელობა, შეაჩერა რეზერვის კანონის მოქმედება და ახალი ხედვის მომზადება ნაციონალური მოძრაობის წევრს, პარლამენტარ ზურაბ არსოშვილს დააავალა. არსოშვილმა არსებულ კანონზე დაყრდნობით შეიმუშავა კონცეფცია და ხელისუფლებას შესთავაზა, აქცენტი გაკეთებულიყო ე.წ. აქტიური რეზერვის მომზადებაზე და სავალდებულო განვევას მხოლოდ გარკვეული ცენზის მქონე მოქალაქეები დაქვემდებარებოდნენ. მაშინ სამხედრო



რეზერვისტები საომარი მოქმედებების დღეებში, გორი 2008 წლის 9 აგვისტო

ფოტო: შუა, თეზიანიძე

■ აგვისტოს ომის შემსწავლელმა დროებითმა საპარლამენტო კომისიამ თავის საბოლოო დასკვნაში მიუთითა, რომ საომარმა მოქმედებებმა გამოავლინა რეზერვისტთა სისტემის „სრული არაადეკვატურობა ყველა დონეზე“.

ექსპერტებმა კონცეფცია მოიწონეს და რეზერვის ახლებურ ხედვას „პროგრესული“ უწოდეს.

თუმცა, არსოშვილის პროგრამა საბოლოოდ არ მიიღეს.

კონკრეტულად რა ოფიციალური დოკუმენტის თუ კონცეფციის საფუძველზე მოქმედებს დღევანდელი რეზერვი, უცნობია. სამხედრო ექსპერტები აცხადებენ, რომ ასეთი დოკუმენტი საერთოდ არ არსებობს და სამინისტრო სპონტანურად თავად განსაზღვრავს სამოქმედო გეგმას. არ არის ინფორმაცია იმის თაობაზეც, თუ რა თანხები იხარ-

ჯება სარეზერვო პროგრამაში.

2010 წლის ოქტომბერში თავდაცვის სამინისტროში აცხადებდნენ, რომ ახალი სარეზერვო კონცეფციის შესახებ მსჯელობა საპარლამენტო კომიტეტთან ერთად მიმდინარეობდა. თუმცა მუშა პროცესის პარალელურად 3 ოქტომბერს პირველი სარეზერვო განვევები მაინც დაიწყო.

„სამხედრო სარეზერვო სისტემას, რომელსაც აქამდე გვარდიის დეპარტამენტი აკეთებდა, უკვე შეიარაღებული ძალების სახმელეთო სარდლობა აკეთებს. მოქმედი ბრიგადები და ბატალიონე-

ბი თვითონ ამზადებენ რეზერვისტებს, რაც ხარისხობრივად უფრო კვალიფიციური მომზადებაა, რაც უფრო დიდ შედეგს მოგვცემს“, – განაცხადა თავდაცვის მინისტრმა ბაჩო ახალაიამ 2010 წლის 28 ოქტომბერს.

მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის უწყების ყოველი ახალი მინისტრი პირობას დებს მედიასთან ითანამშრომლოს, საქართველოში ის ყველაზე დახურული უწყებაა და მინისტრის ეს განცხადება ერთადერთი ოფიციალური ინფორმაციაა რეზერვისტთა ახალი პროგრამის შესახებ. **■**

ისხაიდი ბიზნესმენები სასამართლომ დაბნეუვად სსსო

გაცდება თუ არა ფუქსისა და ფრენკელის საქმე მართლმსაჯულებას?

ნათია ახალაშვილი



ფოტო: ვარსა ქორიანიძე

თბილისის საქალაქო სასამართლომ ისრაელი ბიზნესმენები რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი დამნაშავედ სცნო საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილისთვის ქრთამის შეთავაზებაში. მოსამართლის გადაწყვეტილებით, ფუქსს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, ფრენკელს კი - 6 წლითა და 6 თვით. ორივე მათგანს ამ სასჯელის გარდა, ჯარიმის გადახდაც დაეკისრა, 500 ათასი ლარისა და 100 ათასი ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაკავებულებს გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებაზე უარი უთხრა და მათთან ერთად, წინასწარი პატიმრობა დაუსწრებლად ფუქსის ბერძენ პარტნიორს, იოანის კარდასოპულოსსაც შეუფარდა.

დაკავებულთა ადვოკატის, არჩილ კობლაშვილის თქმით, ფუქსი და ფრენკელი ქართული სასამართლოსგან სწორედ ამგვარ გადაწყვეტილებას ელოდნენ.

„ტრამექსი“ VS საქართველო

საქართველოს სახელმწიფოს ფუქსისა და კარდასოპულოსის კომპანია „ტრამექსთან“ მრავალწლიანი და მრავალმილიონიანი დავა აქვს. დავის მიზეზი ქართული

მხარის მიერ „ტრამექსთან“ 1993 წელს დადებული ხელშეკრულების სამ წელიწადში გაუქმებაა, რითიც „ტრამექსისა“ და „საქნავთობის“ ერთობლივ კომპანია „ჯი-თი-აი“-ს საქართველოში ნავთობისა და გაზის მოპოვების, გადამუშავებისა და ტრანზიტის ექსკლუზიური მრავალწლიანი უფლება ჩამოერთვა.

2003 წლამდე საქართველოს ხელისუფლება „ტრამექსს“ ჰპირდებოდა, რომ კონტრაქტის შეწყვეტის სანაცვლოდ კომპენსაციას გადაუხდიდა. სააკაშვილის მთავრობამ კი ამ ვალდებულებაზე უარი თქვა. ფუქსმა და კარდასოპულოსმა საქართველოს მსოფლიო ბანკთან არსებული საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრში (ICSID) უჩივლეს.

2010 წლის მარტში, ICSID-ში დავა დასრულდა. საერთაშორისო ცენტრმა საქართველოს სახელმწიფოს „ტრამექსის“ მეპატრონეებისთვის 98 მილიონი აშშ დოლარის გადახდა დააკისრა.

„უკვე მიღწეულ შეთანხმებების შესაბამისად, ნება მიბოძეთ ოფიციალურად მოგინვიოთ თქვენ ბათუმში 2010 წლის 14 ოქტომბერს, რათა დავასრულოთ მორიგება და ხელი მოვანეროთ მას“, – ნათქვამია

საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ბლანკზე დაბეჭდილ წერილში, რომელსაც პრემიერ-მინისტრის ხელმოწერა და ბეჭედი ახლავს.

დაცვის მხარის მტკიცებით, გილაურმა ბიზნესმენები ბათუმში მიიწვია, რათა კომპენსაციის გადახდის დეტალებზე ესაუბრათ. თუმცა ბათუმში 14 ოქტომბერს ჩასულ ისრაელ ბიზნესმენებს პრემიერ-მინისტრი თვალთ არ უნახავთ. ისინი, მათთვის სრულიად მოულოდნელად, რესტორანში დააკავეს.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, „ოფიციალური მოწვევა“ საქართველოს ხელისუფლების იმ გეგმის ნაწილი იყო, რომელიც ფუქსის ქვეყანაში შემოტყუებას და მის დაკავებას ისახავდა მიზნად. ბრალდების მხარის მთავარი სამხილი ფარული ვიდეო-ჩანაწერი იყო, რომელშიც კარგად ჩანდა, როგორ ესაუბრება რონი ფუქსი საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს – ვინმე ავთანდილ ხარაიძეს და მას ფულს სთავაზობს. ქრთამი ხარაიძეს იმის სანაცვლოდ უნდა აეღო, თუ მთავრობას დაარწმუნებდა, ფუქსისთვის კომპენსაციის რაც შეიძლება დიდი ნაწილი გადაერიცხათ.

პროკურატურის ვერსიით კი, ფუქსი და

კარდასოპულოსი, ზევ ფრენკელის დახმარებით, ავთანდილ ხარაიძეს ქრთამს იმისთვის სთავაზობდნენ, რომ მას ხელი-სუფლება „დაეყოლებინა“, არბიტრაჟის გადანყვეტილება არ გაესაჩივრებინა.

განსასჯელების მტკიცებით, ისინი ფინანსთა მინისტრის მოადგილესთან მოლაპარაკებებისას მხოლოდ საქართველოში ინვესტიციის სახით დასაბრუნებელ თანხაზე საუბრობდნენ, მოლაპარაკებების ინიციატივა კი ქართული მხრიდან მოდიოდა.

„სასამართლოს ნათლად შეუძლია დაინახოს, რომ წარმოდგენილ ჩანაწერებში მე არ ვსაუბრობ ქრთამზე ან ე.წ. „აქცაგზე“ და ასეთი სიტყვა არასოდეს ყოფილა ხსენებული ჩემთან საუბარში,“ – აღნიშნა საბოლოო სიტყვაში რონი ფუქსმა.

„ნებისმიერი ადამიანი, ბიზნესმენი თუ ინვესტორი, რომელიც შეეცდება კორუფციულ სქემებში შესვლას, სახელმწიფო მოხელის მოქრთამვას, აუცილებლად დაისჯება შესაბამისად. მნიშვნელობა არ აქვს, პრემიერ-მინისტრის მოწვევით იქნება თუ სხვისი“, – ასე გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური პარლამენტში სამთავრობო კვირეულის ფარგლებში გამართულ დებატებზე ოპოზიციის შეკითხვას ისრაელი ბიზნესმენების საქმის შესახებ.

„ასეთი ბიზნესმენები ჩვენ არ გვჭირდება და ნუ ჩამობრძანდებიან აქ ქრთამების გადასახდელად და ქვეყნისთვის თანხების გამოსაძალად“, – განაცხადა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა.

ისრაელი-სამართლები

ბიზნესმენების დაკავებისთანავე დაიწყო დიპლომატიური პრობლემები ისრაელსა და საქართველოს შორის.

ოქტომბერშივე შიმონ პერესმა პირადად დაურეკა მიხეილ სააკაშვილს და იმედი გამოთქვა, რომ გამოძიება სამართლიანად წარიმართებოდა.

მოგვიანებით ებრაელი კოლეგისგან ოფიციალური წერილი საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემაც მიიღო, რომელშიც ავიგდორ ლიბერმანი ბიზნესმენების სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას ითხოვდა. ებრაელი მედია წერდა, რომ წერილში ლიბერმანი ბიზნესმენებზე ბრალდებებს გამოგონილს უწოდებდა.

თებერვალში საქართველო ისრაელის ანტიტერორისტული ცენტრის მიერ გამოქვეყნებულ სამიში ქვეყნების ნუსხაში მოხვდა.

ბოლო ერთი თვის განმავლობაში, ებრაული მხარის დიპლომატიური დემარშის გამო ისრაელში საქართველოს მთავრობის ორი წარმომადგენლის დაგეგმილი ვიზიტი არ შედგა – პარლამენტის თავმჯდომარის და ეკონომიკის მინისტრის.

ებრაული მედიის ცნობით, რივენ რივლინმა (ისრაელის პარლამენტის თავმჯდომარე) ქართველ კოლეგას ვიზიტის გადადების მიზეზად „შიდა და გარე პოლიტიკური გარემოებები“ და საქართველოში დაკავებული ისრაელი ბიზნესმენების საკითხი დაუსახელა.

ქართული მხარე დიპლომატიურ კრიზისს არ აღიარებს. პარლამენტის თავმჯდომარის აპარატის ინფორმაციით, ვიზიტის ჩაშლის მიზეზი ქნესეთში დაგეგმილი შიდა პოლიტიკური დებატები და პალესტინის მხარესთან მოლაპარაკებები გახდა.

ეკონომიკის მინისტრის, ვერა ქობალიას ვიზიტის ჩაშლის ვერსიები საქართველოს მთავრობაშიც კი განსხვავებულია.

ვერა ქობალია, რომელიც 29-31 მარტს ისრაელში ტურიზმის საერთაშორისო კონფერენციაზე უნდა გამგზავრებულიყო, „ლიბერალთან“ ამბობს, რომ მას საკმაოდ დატვირთული გრაფიკი აქვს, რომელიც ხშირად იცვლება და ამჯერადაც ისრაელში ვიზიტი სწორედ მისი მიზეზით ჩაიშალა.

„ის, რომ მე ისრაელში არ მივდივარ და ამას ყველა აკავშირებს კონკრეტულად ისრაელის იმ მოქალაქეებთან, რომელთა საქმესაც საქართველოში სასამართლო განიხილავს, ვფიქრობ, უცნაურია. სხვა დროსაც ხშირად არ ტარდება ან გადაიდება ხოლმე ვიზიტები“, – აცხადებს ქობალია.

საქართველოს საგარეო უწყებას ვიზიტის ჩაშლის მიზეზად ქობალიას დატვირთული გრაფიკის ცვლილებები არ უხსენებია. „ვევარაუდობთ, რომ ეს გადანყვეტილება იგივე მიზეზებს ეფუძნება, რაც ოფიციალურად დავით ბაქრაძის ვიზიტის გადადებასთან დაკავშირებით დასახელდა, თუმცა, დეტალებს დავაზუს-

ტებთ“, – განაცხადა ნინო კალანდაძემ ერთ-ერთ ბრიფინგზე.

ებრაული პრესა კი წერს, რომ ისრაელში ქართველი მინისტრის ნახვა არ სურთ.

ისრაელის ბიზნესმენთა ასოციაციის პრეზიდენტმა შრაგა ბროშმა კი ისრაელ ბიზნესმენებს მოუწოდა, საქართველოსთან ყოველგვარი კონტაქტი განწყვიტონ.

„ისრაელი ბიზნესმენები ქართულ მხარესთან რაიმე სახის ურთიერთობას უკვე ერიდებიან. ეს კი ორ ქვეყანას შორის არსებულ იმ ეკონომიკურ კავშირებს ანადგურებს, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში ჩქარი ტემპებით ვითარდებოდა“, – წერს გრიგოლ ვაშაძისთვის მიწერილ წერილში მისი ებრაელი კოლეგა.

ბიზნესმენების დაკავების ფაქტმა რომ საქართველო-ისრაელის ბიზნეს-ურთიერთობები დააზიანა, ამას „ლიბერალთან“ საუბარში ეკონომიკის მინისტრი ვერა ქობალიაც ადასტურებს: „რა თქმა უნდა, ამ საქმეს აქვს უარყოფითი ეფექტი საქართველო-ისრაელის ბიზნეს ურთიერთობებზე. ბიზნესმენებს, რომელთა საქმესაც ახლა სასამართლო განიხილავს საქართველოში, ისრაელში პარტნიორები ჰყავთ და მათი ინტერესია, რომ ფუქსი და ფრენკელი გათავისუფლდნენ. ამიტომაც არსებობენ ამ საკითხით უკმაყოფილო ბიზნესმენები“.

ფრენკელსა და ფუქსს უფლება აქვთ, განაჩენი სააპელაციო სასამართლოში ერთი თვის ვადაში გაასაჩივრონ.

მოსამართლემ მსჯავრდადებულებს ისიც განუმარტა, რომ დღეიდან მათ „აქვთ უფლება, მიმართონ საქართველოს პრეზიდენტს და ითხოვონ შეწყალება“.

დაკავებულებს შეწყალების მოთხოვნის შესახებ გადანყვეტილება მიღებული არ აქვს. თუმცა, თუ ცნობილი ისრაელ ბიზნესმენების ბედი პირადად პრეზიდენტ სააკაშვილის გადასანყვეტი გახდა, მას რთული არჩევნის გაკეთება მოუწევს – ან „მექრთამეზის“ სამაგალითო დასჯით დაამტკიცოს, რომ თავისი პრინციპების ერთგულია და ამით პოტენციური ინვესტორები დაკარგოს, ან ისრაელის მხარის გულის მოსაგებად ხანმოქმედი ბიზნესმენები შეინყალოს. თუნდაც, ამისთვის ქართული მართლმსაჯულებისთვის გვერდის ავლა მოუწიოს. **📄**



ფოტო: მარიკა შირიანაშვილი

აეროპორტის კეთილმოწყობამ გლეხების კეთილდღეობა შეინირა.



საკუთრების უფლება

ტუჩიომის ბანკითაჩება, სახეთიხების ნახთბაჰვის სახჯზე

სვანეთის განვითარების პროგრამის ფარგლებში ადგილობრივ მოსახლეობას წინაპრებისგან დატოვებული, ოფიციალურად დაუკანონებული მიწები ჩამოართვეს. თუ აქამდე მემკვიდრეობით მიღებული მამულის დაკანონებას სვანები სავალდებულოდ არ მიიჩნევდნენ, დღეს მათ ამის საშუალება, უბრალოდ, აღარ აქვთ – მიწის რეგისტრაციის პროცესი აქ გაურკვეველი დროით შეჩერებულია.

მანანა ვარდიაშვილი

მაღალმთიანი კურორტი მესტიაში პრეზიდენტ სააკაშვილის ფავორიტი პროექტია. ახალი კურორტის ახალი ობიექტები 2010 წლის 24 დეკემბერს მან პირადად გახსნა. პირველი მესტიის საერთაშორისო აეროპორტი იყო. „21-ე საუკუნის აეროპორტს“, რომელიც თამარ მეფის სახელს ატარებს, 1200-მეტრიანი ასაფრენი ბილიკი, საკუთარი სანავიგაციო სისტემა და გერმანელი არქიტექტორის მიერ დაპროექტებული სრულიად ახალი შენობა აქვს. ახალი საკურორტო ზონის სათხილამურო ტრასებიც პირველად პრეზიდენტმა მოსინჯა.

ჰანვალის-ზურულდის ახალი სათხილამურო კომპლექსი ზღვის დონიდან 2500 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ამჟამად აქ სამი სათხილამურო ტრასაა, რომელთა გამოყენება სპორტული შეჯიბრებების ჩასატარებლადაც შეიძლება. პირველი სათხილამურო ტრასის სიგრძე 1400 მეტრია. სათხილამურო კომპლექსთან სასტუმრო და რესტორანი ფუნქციონირებს.

საკაშვილი სვანეთის მთებში ინფრასტრუქტურის განვითარების ტემპით და ხარისხით კმაყოფილია. ის ჰანვალის სათხილამურო ტრასაზე თითქმის ყოველ შაბათ-კვირას სრიალებს.

მესტიის და, ზოგადად, ზემო სვანეთის განვითარების სამთავრობო გეგმა ისე შემუშავდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა პროცესში არ ჩართულა. ამიტომაც, მესტიელების ინტერესი და პრობლემები არ აისახა.

მთავარი პრობლემა მიწებია. ზემო სვანეთში ზამთრის ხანგრძლივობა 6 თვეს აღწევს, თოვლის საფარის საშუალო სიმაღლე კი 2-2.5 მეტრს. ამ კუთხეში მიწა არსებობის მთავარი წყაროა, რის გამოც მისდამი დამოკიდებულება ყოველთვის განსაკუთრებული იყო. დღესაც ასეა – მიწის თითოეულ გოჯს ზუსტად განწერილი სამეურნეო დანიშნულება აქვს, ზოგიერთ ადგილზე კარტოფილის კარგი მოსავალი მოდის, ზოგან კი ლობიო ან ფეტვი უნდა დაითესოს. სვანეთში მცხოვრებ ოჯახს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სათიბი, რადგან გრძელი და მკაცრი ზამთრის პირობებში საქონელი თივით უნდა გამოკვებონ.

ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, რომ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება მათთვის მიწის წართმევის ხარჯზე მიმდინარეობს: ადგილები, სადაც ახალი აეროპორტი აშენდა და სათხილამურო ტრასა მოეწყო, ისტორიულად ადგილობრივ მოსახლეობას ეკუ-

თენის. იმ ადგილს, სადაც ახლა მესტიის აეროპორტია, 40 ოჯახი სათიბად იყენებდა. ჰანვალის სათხილამურო კომპლექსის ადგილზეც 30-ზე მეტი ოჯახის სათიბი იყო.

ისტორიულად, სვანეთში სახნავ-სათესი მიწები კერძო საკუთრებაში იყო, სათიბ-საძოვრები და ტყე კი, საერთო სათემო სარგებლობაში. გარდა ამისა, არსებობდა ე.წ. ხატის ტყე და მიწა, რომელიც ეკლესიის მოთხოვნებისა და რელიგიური დღესასწაულებისთვის გამოიყენებოდა. სათიბ-საძოვრითა და ტყით სარგებლობის პროცესს, საძოვრების მონაცვლეობის, მიწის განაწილების თუ ნაკვეთების საზღვრის დადგენის საკითხებს ტრადიციულად მახვილი არეგულირებდა. კუთვნილი ნაკვეთების საზღვრების თაობაზე ადგილობრივები ერთმანეთში არიან შეთანხმებული და როგორც თავად ამბობენ, სვანეთში მიწის ნაკვეთი შემოღობილი არავის აქვს. „ჰალვოლაი“ სხვისი კუთვნილი მიწის საზღვრის დამრღვევს ნიშნავს და სვანეთში ყველაზე შეურაცხყოფელ სიტყვად ითვლება.

დღემდე ადგილობრივი მოსახლეობის დაახლოებით 90 პროცენტს ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები დაურეგისტრირებელი აქვს. სვანეთში თითოეულ ოჯახს, როგორც წესი, მცირე ზომის რამდენიმე ნაკვეთი აქვს. მოქმედი კანონით, სხვადასხვა ადგილზე არსებული მიწის ნაკვეთები ცალკე-ცალკე უნდა დარეგისტრირდეს. მიწის ერთი ნაკვეთის რეგისტრირებას დაახლოებით 127 ლარი სჭირდება. მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო მოსახლეობამ მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული რამდენიმე მიწის ნაკვეთის დარეგისტრირება ვერ შეძლო. თუმცა, 2010 წლამდე ამ ფაქტს ადგილობრივი მოსახლეობისთვის არანაირი პრობლემა არ შეუქმნია. მიწის სამართალს აქ დაუნერვლი წესი არეგულირებდა.

მდგომარეობა გასულ წელს შეიცვალა, როცა სვანეთს თავს მოულოდნელად ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების სამთავრობო გეგმა დაატყდა.

ახალი კურორტის ახალი ობიექტების გახსნისას, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ის, ვინც სვანეთში სასტუმროს ააშენებს,

მიწას სიმბოლურ ფასად – 1 ლარად მიიღებს. სააკაშვილის ამ გადაწყვეტილებამ ადგილობრივი მოსახლეობა შოკში ჩააგდო: სვანეთი მცირემიწიანი რეგიონია და აქ უპატრონო მიწა არ არსებობს.

სიტუაცია განსაკუთრებით 2010 წლის 7 აგვისტოს შემდეგ დაიძაბა. იმ დღეს სპეცოპერაციის შედეგად მესტიის საკრებულოს ოპოზიციონერი წარმომადგენელი ნელი ნავერიანი და მისი სამი ნათესავი ინვესტორებისთვის ფულის გამოძალვის ბრალდებით დააკავეს.

ნელი ნავერიანი და მისი ნათესავები იმ მამაპაპისეული სათიბების დაბრუნებას ითხოვდნენ, რომელიც სახელმწიფომ კანადელ ინვესტორს – უილიამ ჯეიმს სიმფსონს მიჰყიდა. მართალია, ნელი ნავერიანს ეს ტერიტორია საჯარო რეესტრში არ ჰქონდა დარეგისტრირებული, მაგრამ მისი ოჯახი სადავო მიწის ნაკვეთით წლების განმავლობაში სარგებლობდა. ინვესტორისთვის ფულის გამოძალვის ბრალდებით დააკავეს სასამართლო პროცესზე მოწმის სტატუსით დაბრუნებული მესტიის N1 სკოლის დირექტორი მზევინარ ჯაფარიძეც. მესტიაში ამბობენ, რომ ნავერიანის სამაგალითო დასჯით ხელისუფლება მთელი სვანეთის დაშინებას შეეცადა.

ცვლილებებით შემოფოთებულმა მესტიელებმა მემკვიდრეობით მიღებული მიწების დარეგისტრირება გადაწყვიტეს. მაგრამ საჯარო რეესტრის მესტიის ტერიტორიულ სამსახურში მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწების დარეგისტრირებაზე უარი უთხრეს.

„სამი ბიჭი მყავს. მამაპაპისეულ მიწას ხომ არ დაფუკარავ? ვიფიქრე, გაყიდი ოჯახიდან რამეს და მიწას გავიფორმებ-მეთქი. მაგრამ მიწას არ გვიფორმებენ. მესტიის რეესტრში მითხრეს, წყალგალმა მიწების რეგისტრაციის პროცესი შეჩერებულია და საბუთებს არ ვიღებთო. ისედაც გაგვაფრთხილეს, ვისაც მიწებზე პრეტენზია ექნება, ნელი ნავერიანის და ჯაფარიძეების გზას გაუყენებთო“, – ამბობს შუა ხნის მამაკაცი, რომელიც საკუთარ სახელს არ გვიმხელს.

„წყალგალმა“ მდინარე მესტიაჭალის მარცხენა სანაპიროა, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ყველაზე პერსპექტიული ზონა. ადგი-

ლობრივები ამბობენ, რომ ამ ადგილზე საპრეზიდენტო რეზიდენციის აშენება იგეგმება და ადგილები ბევრი სხვა ობიექტებისთვისაც მოინიშნა. „წყალგალმა“ მდებარეობს მესტიის თამარ მეფის აეროპორტის. აეროპორტის მშენებლობისთვის საჭირო ტერიტორია საჯარო რეესტრის მესტიის ტერიტორიულმა სამსახურმა ეკონომიკის სამინისტროზე ისე გაასხვისა, არც გახსენებია, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სამინისტროსთვის გადაცემული ტერიტორიის რამდენიმე ნაკვეთს კანონიერი მფლობელი ჰყავდა.

მიწის ნაკვეთის რეგისტრაციაზე უარი უთხრეს იმ მოქალაქეებსაც, რომლებიც საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ამა თუ იმ ნაკვეთის მესაკუთრეებად ითვლებიან, მაგრამ ახლა ელექტრონული ვერსიის საფუძველზე მიწის ნაკვეთის მდებარეობის და ფართის დაზუსტებას ითხოვენ. რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველად საჯარო რეესტრის მესტიის ტერიტორიულმა სამსახურმა „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 23-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი, ანუ „კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველები“ მიუთითა. არადა, კანონით, მარეგისტრირებელმა ორგანომ კონკრეტულად უნდა მიუთითოს, თუ რომელი ნორმატიული აქტის რომელი მუხლი გახდა მოცემულ შემთხვევაში უარის თქმის საფუძველი. საჯარო რეესტრის მესტიის ტერიტორიული სამსახური კანონს არღვევს, რადგან უარის თქმის საფუძველი განმარტებული არ არის.

მესტიაში ფიქრობენ, რომ პრივატიზაციის პროცესი ხელოვნურად შეფერხდა. სვანები შიშობენ, რომ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ობიექტების მშენებლობა მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებულ მიწის სხვა ნაკვეთებსაც შეინიარეს. არც ადგილობრივ და არც ცენტრალურ ხელისუფლებას მოსახლეობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართლიანი და კანონიერი მექანიზმი ჯერ არ შეუთავაზებია.

აეროპორტის ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოების შედეგად ნუგზარ გომთელიანს 12 000 კვ.მ ფართის სათიბი დაუზიანდა. დათვალელების აქტით,



ხელისუფლება მიმდინარე სამუშაოებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას არ ჩქარობს.

ფოტო: გიორგი ქორიანიძე

რომელიც 2010 წლის 15 ნოემბრითაა დათარიღებული, მესტიის საკრებულოს და გამგეობის წევრები ადასტურებენ, რომ გომთელიანის კუთვნილი სათიბი მართლაც დაზიანდა. „ამ სათიბით 7 ძროხას ვინახავდი. ეს ჩემი ოჯახის რჩენის ერთადერთი საშუალებაა. სათიბი თუ არ მექნება, მომავალ წელს ძროხებს ვერ შევინახავ. ნაკვეთი ქვა-ლორღითაა სავსე. იმხელა ადგილს საკუთარი ძალით ვერ გავასუფთავებ. მინდა, რომ სათიბი გამინდონ. გამგეობა საკრებულოში მაგზავნის, საკრებულოში კიდევ მეუბნებიან რომ არც მინის ალტერნატიული ფართის მოცემა შეუძლიათ და არც კომპენსაციის“, – ამბობს ნუგზარ გომთელიანი.

მოსახლეობა ამბობს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლება მათ ჩამორთმეული მინის სანაცვლოდ კომპენსაციის გადახდას სთავაზობს, მაგრამ ამ შეთანხმების თაობაზე ოფიციალური საბუთები არ ფორმდება. გარდა

■ მინის ნაკვეთის რეგისტრაციაზე უარი უთხრეს იმ მოქალაქეებსაც, რომლებიც საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ამა თუ იმ ნაკვეთის მესაკუთრეებად ითვლებიან.

ამისა, ამბობენ რომ შეთავაზებული კომპენსაცია რეალურ საბაზრო ღირებულებას ბევრად ჩამორჩება. ლუარა ავალიანი: „ჰანვალში მქონდა სათიბი – 800 კვ.მ. ჩემს მინაზე სასტუმრო ააშენეს. იმ სასტუმროში კუბდარი 7 ლარი ღირს და მე ჩემი კუთვნილი მინის 1 კვ. მეტრში 3 ლარი უნდა მომცენ? კომპენსაცია არ მინდა, მინა დამიბრუნონ. ჩემნაირი გამწარებული აქ ძალიან ბევრია“.

„ტურიზმის და რეგიონის განვითარება ჩვენთვის მიუღებელი არ არის. მაგრამ, ამ

პროცესს საშინელი ფორმა ჰქონდა: დაიტაცეს მინები და ფაქტობრივად, მთელი სვანეთი დაისაკუთრეს. ყველაზე დამამცირებელი ის არის, რომ სვანეთის განვითარების გეგმიდან სვანები საერთოდ ამოვარდნილები ვართ“, – ამბობს მარინა გირგვლიანი, – „მინის წართმევა-ჩამორთმევის პროცესში მთელი სვანეთისთვის პატივსაცემი ადამიანები დააკავეს. ამ გზით შიშის სინდრომი დაწერეს. გარკვეულწილად მორჩილები გაგვხადეს, მაგრამ შინაგანი ამბოხი არსებობს და პრობლემის მოუგვარებლობის შემთხვევაში ის აუცილებლად ამოხეთქავს“.

მესტიის მომავალზე საუბრისას, პრეზიდენტმა სააკაშვილმა თქვა, რომ კურორტს დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს. მან ის ფაქტორები ჩამოთვალა, რომლებმაც წარმატებას ხელი უნდა შეუწყოს: „მშრალი კლიმატი, ხანგრძლივი სეზონი, საუკეთესო სამზარეულო, შეუდარებელი კულტურა და სტუმართმოყვარე ხალხი“.



კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და თავდაცვის სამინისტროს განცხადებას, რომ პოლიგონი ნათლისმცემლის მონასტერს ზიანს არ აყენებს, მეცნიერული მტკიცებულება არ აქვს.

კულტურული მემკვიდრეობა

ხაზომ ინბეჰეჰა დაჰით ბაჰეჰი?

დავით გარეჯის შესახებ ხელისუფლებაც და ოპოზიციაც რადიკალურ შეფასებებს მეცნიერული მტკიცებულებების გარეშე აკეთებენ. სინამდვილეში, მეექვსე საუკუნის სამონასტრო კომპლექსის დაშლის პრობლემა იმაზე კომპლექსურია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

ეკა ჭითანავა

წმ. დავითის ლავრიდან, დაახლოებით, 15 კილომეტრში ალგეთის პოლიგონზე რეზერვისტა ბანაკის 30-მდე კარავია გაშლილი. ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ აქ საქართველოს პიშინი, ავტომატის სროლის ხმა, და რეზერვისტა შეძახილები ისმოდა. 26 დღის განმავლობაში ამ პოლიგონზე ათასამდე რეზერვისტმა

სამხედრო მომზადება გაიარა.

„სამი პრაქტიკული მეცადინეობიდან პირველზე ავტომატით 27 ტყვია ვისროლეთ, მეორეზე – 18, მესამეზე უკვე 40 მმ-იანი კალიბრის ხელის ტანკსანი-ნალმდეგო ყუმბარმტყორცნი უნდა გამოგვეყენებინა, მაგრამ გაკვეთილი ჩაიშალა. ორიოდ დღით ადრე ოპოზიციამ

მიტინგი მოგვინყო და მეთაურებმა „მუხა“ აღარ გვასროლინეს“, – იხსენებს ერთ-ერთი რეზერვისტი.

აქცია, რომლის გამოც რეზერვისტებმა ახლა მხოლოდ თეორიულად იციან, როგორ გამოჰკრან თითი სასხლეტ მექანიზმს „მუხის“ სროლისას, „ქართული პარტიის“ წარმომადგენლებმა 22



ფოტოს: შინჯია ზაზაძე

მარტს გამართეს. საგარეჯოსა და გარდაბნის რაიონების საზღვარზე მოწყობილ აქციაზე პარტიის 300-მდე აქტივისტი ამტკიცებდა, რომ რეზერვისტთა წვრთნების დროს „სროლებისგან გამონეული ვიბრაციით, დავით გარეჯის 14 მონასტერი, რომელიც პოლიგონიდან 42 კილომეტრის რადიუსშია გაშლილი, ინგრევა“.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ნიკა ვაჩეიშვილმა ოპოზიციის გამოსვლებს პოლიტიკური სპეკულაცია უწოდა. „დარწმუნებით შემოძლია, გითხრათ, რომ ეს სროლა არავითარ ზეგავლენას არ ახდენს დავით გარეჯზე, პოლიგონს მონასტრებიდან რამდენიმე მთა აშორებს“, – განუცხადა „ლიბერალს“ ვაჩეიშვილმა.

თუმცა, ხელისუფლებაც და ოპოზი-

ციაც რადიკალურ შეფასებებს მეცნიერული მტკიცებულების გარეშე აკეთებენ. სინამდვილეში, მეექვსე საუკუნის სამონასტრო კომპლექსის დაშლის პრობლემა იმაზე მეტად კომპლექსურია, ვიდრე ეს პოლიტიკურ განცხადებებში ერთი შეხედვით ჩანს.

ალგეთის საწვრთნელი ბაზა იმ ძველი პოლიგონის შემადგენლობაში შედის, სადაც წვრთნები ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს იმართებოდა. საქართველოს და აზერბაიჯანს 24800 ჰექტარი მიწა საარტილერიო სროლებისა და პოლიგონის მოსაწყობად პირველად 1948 წელს გამოეყო.

„ამ პერიოდში გარეჯმა დიდი ზიანი განიცადა, სამხედროები წვრთნებს ატარებდნენ გაშლილ ველზე და მონასტრებს სამიზნეებადაც კი იყენებდნენ. მაგალითად, შავ სენაკებში,

■ **ახლა რაც სამონასტრო კომპლექსის დაშლას შეაჩერებს, ინტერდისციპლინარული ჯგუფის შექმნაა, რომელშიც შევლენ არქიტექტორები, რესტავრატორები და მონასტრის მდგომარეობას კომპლექსურად შეისწავლიან.**

საზოგადოება

შუა გამოქვაბულის კედელში, ახლაცაა შესობილი 6 თუ 7 საბჭოთა ჭურვი“, – იხსნებს ისტორიკოსი თემო ჯოჯუა. გარშემო მინას კი დღემდე ეტყობა საბჭოთა ტანკების ნაკვალევი.

სამხედრო პოლიგონი 1991 წელს გაუქმდა. გაუქმებას კი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს გაშლილი სახალხო მოძრაობა უძღოდა წინ. სწორედ ამ მოძრაობის აქტივისტების დამსახურებით, 1988 წელს დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე კვლევითი ინსტიტუტების სპეციალისტებმა ერთობლივი ექსპერიმენტი ჩატარეს და შეისწავლეს, თუ რა გავლენას ახდენდა პოლიგონზე წარმოებული აფეთქებები კლდეში გამოკვეთილ ქვაბ-ეკლესიებსა და სენაკებზე.

იმავე პერიოდში დავითის ლავრაში სეისმური სადგურიც შეიქმნა და უკვე კონკრეტულ კვლევაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ პოლიგონზე წარმო-

ბული აფეთქებები მართლაც სახიფათოა კომპლექსისთვის. უფრო ზუსტად კი, საარტილერიო სროლები და ქვემეხებისა და ტანკების გამოყენება გარეჯის ქვიშაქვაში გამოკვეთილი ქვაბ-ეკლესიებისა და სენაკების დაშლის პროცესს აჩქარებს.

მიუხედავად ამ დასკვნისა, აფხაზეთის ომის შემდეგ პოლიგონი ისევ აღდგა. ქართულმა ჯარმა აქ 1996 წლის მარტში „აფხაზეთის დასაბრუნებლად“ მომზადება დაიწყო, წვრთნების დროს ისევ მსხვილი კალიბრის არტილერია გამოიყენეს.

უკვე საკუთარი ხელისუფლებისგან გარეჯის დასაცავად ფონდი „უდაბნოს“ წევრები, მეცნიერები და ისტორიკოსები გამოვიდნენ და პოლიგონის დახურვა მოითხოვეს. ხელისუფლების კომპრომისი უმნიშვნელო იყო – ედუარდ შევარდნაძემ 1997 წელს სახელმწიფო კომისიის შექმნის განკარგულება გასცა,

რომელსაც უნდა დაედგინა, საჭირო იყო თუ არა პოლიგონის გაუქმება.

გეოფიზიკოსებისა და სხვა სპეციალისტების აზრი მაშინ ორად გაიყო. ერთი ნაწილი, რომელმაც ხელისუფლებას დაუჭირა მხარი, ამტკიცებდა, რომ პოლიგონის დასახურად საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობდა. ამიტომ ისინი ექსპერიმენტის ჩატარებას ითხოვდნენ. მეორე ნაწილი კი ექსპერიმენტს სასტიკად ეწინააღმდეგებოდა. მათი ორი ძირითადი მოტივი იყო ის, რომ: სამონასტრო კომპლექსს ზიანს თვითონ ექსპერიმენტის დროს აფეთქებული ქვემეხები მიაყენებდა და ამით ვერც ზუსტ დასკვნას გამოიტანდნენ. მათი მტკიცებით, შეიძლებოდა, ქვიშაქვის ქანები ერთი დარტყმით არ ჩამოშლილიყო, მაგრამ განმეორებითი დარტყმების შემდეგ მისი სიმტკიცე ისე შემცირებულიყო, რომ ბოლოს ჩამონგრეულიყო.



დოდო გარეჯელის მონასტერში გაშიშვლებულ კედელზე ახლა წვიმის წყალი მთელ მოხატულობას რეცხავს.

მეცნიერების ამ ნაწილს მიაჩნდა, რომ პოლიგონის გასაუქმებლად 1988 წელს ჩატარებული ექსპერიმენტი და დავითის ლავრასთან მდებარე სადგურში ჩანერილი სეისმური ბიძგების ანალიზიც საკმარისი იყო, რითაც არანაკლებ მძიმე სურათი იხატებოდა.

საბოლოოდ, განმეორებითი ექსპერიმენტის ჩატარებას მეცნიერთა მიერ პოლიგონზე მოწყობილმა კარვების აქციამ შეუშალა ხელი. დავით გარეჯის ბედი კი სასამართლომ გადაწყვიტა – 1998 წელს ალგეთის სამხედრო პოლიგონი გაუქმდა.

დღეს თავდაცვის სამინისტროში ამტკიცებენ, რომ ალგეთის ტერიტორიაზე პოლიგონი არ აღდგენილა, იქ უბრალოდ, რეზერვისტთა ბანაკი გაიხსნა, ამ ორ შორის კი დიდი განსხვავებაა – ბანაკში არ იყენებენ ქვემეხებს ან მძიმე ტექნიკას.

გეოფიზიკოსი დავით გოცაძეც ამბობს,

რომ ლავრის სეისმურ სადგურში ამ დროისთვის მიწისქვეშა ბიძგებით გამოწვეული რხევები საერთოდ არ ფიქსირდება. გამოდის, რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მთავარ მონასტერს, რომელიც პოლიგონიდან 15 კილომეტრში მდებარეობს, სარეზერვო წვრთნების გამო საფრთხე არ ემუქრება. თუმცა ჩნდება კითხვა – ასევე

უსაფრთხოა თუ არა 40 მმ კალიბრის იარაღის სროლით გამოწვეული ვიბრაცია იოანე ნათლისმცემლის მონასტრის კედლებისთვის, რომელსაც პოლიგონიდან სულ 5-6 კილომეტრი აშორებს?

„დავით გარეჯში დანაპრალებული ქვიშაქვის ქანია, რომელსაც სუსტი სტრუქტურა აქვს. თუკი კლდის გამყოფი ზედაპირების ზღვარზე რაღაც

■ საქართველოს და აზერბაიჯანს 24800 ჰექტარი მიწა საარტილერიო სროლებისა და პოლიგონის მოსაწყობად პირველად 1948 წელს გამოეყო.



მაცხოვრის ფრესკა, დოღო გარეჯელის IX საუკუნის მონასტერი

ფოტოები: გოგია ზუბანიძე

ენერგია მოდის, შესაძლებელია, პირველი დარტყმისთანავე არც დაინყოს რღვევა, ეს ენერგია დაგროვდეს და შემდეგ სულ მცირე ბიძგმა და მაღალსიხშირულმა ტალღამ კლდე ჩამოარღვიოს“, – განმარტავს გოცაძე და დასძენს, რომ ყველაზე დიდი საფრთხე სწორედ იოანე ნათლისმცემლის მონასტერს ემუქრება, რადგან შესაძლოა, მაღალსიხშირული ტალღები სხვა მონასტრებზე მეტად მას მისწვდეს. ამიტომ აქ სრულყოფილი ექსპერიმენტის ჩატარებაა საჭირო.

სრულყოფილ ექსპერიმენტში სპეციალისტები პოლიგონიდან სხვადასხვა მანძილზე სეისმოგრაფების დამონტაჟებასა და აკუსტიკური ეფექტის გაზომვას გულისხმობენ. ცდისთვის საჭირო გახდება ინფრაბგერითი აპარატურაც, რომელიც მაღალ სიხშირულ ტალღებს დააფიქსირებს.

„სხვანაირად, ზეპირად რამის მტკიცება არ შეგვიძლია“, – ამბობს დედამინის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე მიშა ელაშვილი.

ნიკა ვაჩიშვილი ამბობს, რომ „ყველანაირი გაზომვის“ მომხრეა. თუმცა პროექტის კონკრეტული გეგმა და ვადები სააგენტოს ჯერჯერობით არ აქვს.

ზოგიერთი სპეციალისტი კი ამტკიცებს, რომ ოპოზიციაც და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოც ერთ მნიშვნელოვან დეტალს არ ითვალისწინებენ. ეს არის ჩიჩხიტურის კოშკის ქედის გაღმა, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღდგენილი სამხედრო პოლიგონი, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე გაუქმდა. ახლა კი პერიოდულად სამხედრო წვრთნები მიმდინარეობს. სპეციალისტების მტკიცებით, იქ წარმოებული აფეთქებები დოღო გარეჯელის, უდაბნოს, ჩიჩხიტურის და ბერთუბნის მონასტრებს გაცილებით დიდ საფრთხეს უქმნის, რადგან აზერბაიჯანული პოლიგონი მათთან ბევრად უფრო ახლოსაა, ვიდრე – ალგეთის პოლიგონი.

სპეციალისტები ამბობენ, რომ და-

ვით გარეჯის ნგრევა გარდაუვალი პროცესია. ნგრევის თავიდან ასაცილებლად გასამაგრებელი სამუშაოებია ჩასატარებელი, რასაც თან უნდა ახლდეს რეგულარული მონიტორინგი.

საკითხავი ის არის, რამდენად აჩქარებს ნგრევის პროცესს ხელოვნური ჩარევა. ჩარევაში კი არა მხოლოდ სამხედრო წვრთნები იგულისხმება, არამედ ბერების თვითნებობაც.

თუკი ადრე, ბერები დავით გარეჯის მონასტრებს უვლიდნენ და განადგურებისაგან იცავდნენ, ახლა ზოგ შემთხვევაში, პირიქით – აზიანებენ. ასე მოხდა, მაგალითად, დოღო გარეჯელის მონასტერში. რამდენიმე ხნის წინ, ბერებმა სპეციალისტებთან შეთანხმების გარეშე, თვითნებურად, ამ მონასტრის მიწით ამოვსებული ეკლესიის

■ ჩნდება კითხვა – ასევე უსაფრთხოა თუ არა 40 მმ კალიბრის იარაღის სროლით გამონვეული ვიბრაცია იოანე ნათლისმცემლის მონასტრის კედლებისთვის, რომელსაც პოლიგონიდან სულ 5-6 კილომეტრი აშორებს?

გასუფთავება გადაწყვიტეს. განმენდის შემდეგ, მთლიანად გაშიშვლდა საკურთხეველი და ეკლესიის ჩრდილოეთი კედელი, რომელსაც მეცხრე საუკუნით დათარიღებული მაცხოვრის ფრესკა ამშვენებს. გაშიშვლებულ კედელზე ახლა წვიმის წყალი მთელ მოხატულობას რეცხავს.

ბერებმა ასევე თვითნებურად განმინდეს მეორე ეკლესიაც, შემდეგ სარკმლებში მეტალო-პლასტმასის ფანჯრები ჩასვეს და აკურთხეს. სპეციალისტები ამბობენ, რომ ეს ბერებს არქეოლოგიისა და რესტავრატორების გარეშე არ უნდა გაეკეთებინათ, რადგან ეკლესიის

განმენდისას შესაძლოა, ბევრი მნიშვნელოვანი არტეფაქტი დაკარგულიყო. რამდენიმე დღის წინ ბერების ამ თამამ ინიციატივას ნიკა ვაჩიშვილმა „ბარბაროსობა“ უწოდა.

„ლიბერალის“ კითხვას, თუ რატომ მოხდა ასეთი რამ – დოღო გარეჯელის მონასტერში მცხოვრებმა ბერებმა არ უპასუხეს: „მძიმე მარხვაა, კურთხევის გარეშე უპასუხს არცერთ კითხვავზე არ გაგცემთ!“

რესტავრატორი გოგიტა ბუხაიძე, რომელიც რამდენიმე წლის წინ მაცხოვრის ფრესკის აღდგენაზე მუშაობდა, ამბობს, რომ სააგენტოს ჯერ კიდევ მისში შესთავაზა, ფრესკაზე გამაგრებითი კონსტრუქცია გაეკეთებინათ. თუმცა, სააგენტომ მაშინ შეთავაზება უპასუხოდ დატოვა. დღეს კი ვაჩიშვილი ამბობს, რომ თანახმაა, სარესტავრაციო სამუშაოები ვრცელი ბიუროკრატიული პროცედურების – ტენდერის დანიშვნის გარეშეც დაინყოს.

სპეციალისტები თანხმდებიან, რომ ახლა რაც სამონასტრო კომპლექსის დაშლას შეაჩერებს, ინტერდისციპლინური ჯგუფის შექმნაა, რომელშიც შევლენ არქიტექტორები, რესტავრატორები და მონასტრის მდგომარეობას კომპლექსურად შეისწავლიან.

ამ ჯგუფის განხილვის თემა, სავარაუდოდ, ბერების თვითნებობა, ფრესკების რეკონსტრუქციისა და კედლების გამაგრების საკითხები გახდება. წინა კვირას დავითის ლავრაში დამონტაჟებული ლაზერული სკანერი კი ყოველ მცირედ ცვლილებას მილიმეტრების სიზუსტით დააფიქსირებს. თუმცა სავარაუდოდ, ისევ ღიად დარჩება ალგეთის პოლიგონის საკითხი, რომელიც, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მტკიცებით, 5-6 კილომეტრით დაშორებულ მონასტრებს დღეს ზიანს არ აყენებს, არადა, ამის დამადასტურებელი სამეცნიერო დასკვნა არ არსებობს.

„დავით გარეჯს უამრავი პრობლემა აქვს, მათ შორის პოლიგონის საკითხი ყველაზე უმნიშვნელოა“, – აცხადებს ნიკა ვაჩიშვილი. ■

სუიციდი

ვიღე უფლისწული თავს მოიხდავს

თვითმკვლელობისკენ მიდრეკილ ადამიანებზე საქართველოს ჯანდაცვის მთავარი უწყება არ ზრუნავს და არც არასამთავრობო სექტორის ინიციატივებს აფინანსებს.


ცირა გვასალია

„შუალამეს გირეკავს და ისე ქვითინებს, უცებ გაფხიზლებს. კარგ რესტორანში პატიჟებ, მაგრამ არაფერს ჭამს, არადა, დიეტაზე არაა. სუპში მარილის ნაცვლად გაუაზრებლად წინაკას ყრის; თავი უნდა მოვიკლაო, – გიმხელს ჩანაფიქრს. ყველასთვის ტვირთად ვიქეციო, გენუნუნება, სულ თავის პრობლემებზე ფიქრობს, მაგრამ მათ მოსაგვარებლად არაფერს აკეთებს. დააკვირდი – თუ შენ გარშემო ვინმე ასე იქცევა, ესე იგი, ის „დეპრესიული პატარა უფლისწულია“ და სასწრაფოდ შველა სჭირდება“.

დაახლოებით ამგვარი შინაარსის გაფრთხილებას ნახავთ ჩინეთში ძალიან პოპულარულ ვებგვერდზე, რომელსაც Depressed Little Prince (დეპრესიული პატარა უფლისწული) ჰქვია. უკვე 6 წელია, ვებგვერდი, რომლის მთავარი პერსონაჟიც ანტუან დე-სენტ ეგზიუპერის ყველასთვის ცნობილი გმირია, ჩინეთის ჯანდაცვის სამინისტრომ სუიციდთან ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგიის სიმბოლოდ აქცია.

ასეთი სტრატეგიის შემუშავება ჩინეთში მას შემდეგ დასჭირდა, რაც კვლევებით დადასტურდა, რომ თვითმკვლელობების რიცხვმა ბოლო პერიოდში კატასტროფულად იმატა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, სწორედ ჩინეთზე მოდის მთელ მსოფლიოში მომხდარი თვითმკვლელობების 30-44 პროცენტი.

ორგანიზაციის გამოთვლებითვე, მსოფლიოში ყოველ წელს ერთ მილიონზე მეტი ადამიანი იკლავს თავს – ანუ ყოველ 40 წამში ერთი თვითმკვლელობა ხდება. ზოგიერთ ქვეყანაში კი სუიციდი 14-33 წლის ადამიანებს შორის სიკვდილის სამი მთავარი მიზეზიდან ერთ-ერთი გახდა.



ილუსტრაცია როლანდ ვილიამსის

ამიტომ მოუწოდებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ნევრ ქვეყნებს, სუიციდის პრევენციის საკუთარი ხედვა შეიმუშაონ. თუმცა, ამას ბევრი სახელმწიფო არ აკეთებს, ჩინეთი კი ერთ-ერთი პოზიტიური გამონაკლისია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო მონაცემი თვითმკვლელობების შესახებ 2009 წლისაა. მის მიხედვით, 2009 წელს საქართველოში 188 ადამიანი მოიკლა თავი, ერთი წლით ადრე – 67-მა. მაჩვენებლის მკვეთრად ზრდას ადასტურებს არასამთავრობო ორგანიზაცია „სამედიცინო სოციალური ცენტრის“ კვლევა.

რა მდგომარეობაა ბოლო ორი წლის განმავლობაში – ამის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. ბევრი აზიური ქვეყნის მსგავსად, სუიციდის სრულყოფილი სტატისტიკა საქართველოშიც დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

სტატისტიკის ქონას ართულებს ის ფაქტიც, რომ საქართველოში ადამიანების სიკვდილის ზუსტი მიზეზების დადგენა სრული წესების დაცვით არ ხდება. მაგალითად, თუ ადამიანი სამედიცინო დაწესებულებაში გარდაიცვალა, ეს აუცილებლად აღირიცხება, მაგრამ ზუსტი მიზეზების დადგენას არ ცდილობენ, ვთქვათ, რაიონული ცენტრებისგან მოშორებით მდებარე სოფლებში, სადაც სამედიცინო დახმარება პრობლემაა. ამის გამო ხშირად სუიციდის შემთხვევებიც იმალება და საერთო სტატისტიკას აკლდება.

არასრულყოფილი სტატისტიკის გამო კი, სახელმწიფო სუიციდის პრობლემას თითქოს ვერ ამჩნევს და გამოსაკვლევი რჩება ისიც, თუ რატომ იფეთქა 1989 წელს თვითმკვლელობებმა – ამ წელს 247-მა ადამიანმა მოიკლა თავი – ოცწლიან პერიოდში – ყველაზე მეტმა.

„როდესაც ფსიქო-სოციალური დახმარების ცენტრის გახსნა გვინდოდა, ზუსტ მონაცემებს სამინისტრო ჩვენ გვთხოვდა. ბოლოს ძლივს მივაღწიეთ იმას, რომ ერთი პატარა კუთხე გამოგვიყვეს, ვირთხებთან ერთად“, – იხსენებს სუიციდოლოგი ვეტა ლაზარაშვილი, რომელმაც სოციალურ-ფსიქოლოგიური დახმარების სამსახური „ნდობა“ 1990 წელს გახსნა.

ძალიან რთულ წლებში ცენტრმა ადამიანებს პირველად მისცა საშუალება, საკუთარი პრობლემის შესახებ სპეციალისტს დალაპარაკებოდნენ. ომი და დევნილობა, ტრავმები და გარდაცვლილი ახლობლები, საჯარო სამსახურების დახურვა და უმუშევრობა – ამ გაუსაძლისი ფაქტორების გამო დღემდე-ღამემდე 40-მდე ადამიანი მინც კრეფდა „ნდობის“ ტელეფონის ნომერს.

„ზოგიერთი რეკავდა და გვეკითხებო-

ვახუჩა, ნაღვლიანი უფლისწული



პორტალი პატარა, ნაღვლიანი უფლისწულის შესახებ, ჰონგ-კონგის უნივერსიტეტმა და ჰონგ-კონგის სუიციდის კვლევისა და პრევენციის ცენტრმა ერთობლივად შექმნეს. ის იმდენად კრეატიული და სრულყოფილია, რომ რამდენიმე პრისაც ფლობს: 2005 წელს პორტალმა ვერცხლის პრიზი ნოვატორობისთვის გაზეთ Wall Street Journal Asia-სგან მიიღო, 2004 და 2006 წლებში, ჰონგ-კონგის ტელევიზიისა და გართობის სალიცენ-

ზიო ორგანოს მიერ შედგენილი ათი საუკეთესო ვებგვერდის სიაში მოხვდა და, რაც მთავარია, ეს პორტალი ფლობს პრის სუიციდის პრევენციამ განუული დამსახურებისთვისაც.

პორტალი, რომელსაც ერთი პერსონაჟი ჰყავს, მოთხრობასავით იწყება, ვითარდება და მთავრდება.

ხალხით გადაჭედულ დიდ ქალაქში, სევდიანი პატარა უფლისწული ცხოვრობს. მას „ემოციების გრიპი“ შეეყარა. ნაცრისფერ ქალაქში წვიმა შხა-

პუნებს, უფლისწულიც ტირის. მას ისიც კი დაავიწყდა, როგორ უნდა გაიცინოს. იმედი აქვს, რომ ვინმე დაეხმარება და ბრჭყვილა ჯადოსნურ ჯოხს მალა სწევს, მაგრამ მერე ისევ დაბლა უშვებს: ისევ შიში იპყრობს, რომ არავინ დაეხმარება. წვიმიან, დიდ ქალაქში პატარა უფლისწული ნაღვლიანად დაბიჯებს მანამ, სანამ მისთვის ცა ისევ კამკამა და მონმენდილი არ ხდება.

ერთხელ მაინც, მთელი თქვენი ცხოვრების მანძილზე, ალბათ, თქვენც განიცდიათ ის, რასაც უფლისწული განიცდის. თუკი მის პორტალს ეწვევით, შეგიძლიათ „ემოციების გრიპზე“ ჩაიტაროთ ტესტი და გაიგოთ, რამდენად სასონარკვეთილი ხართ ამ წუთას და მხოლოდ ამის შემდეგ დაამუშავოთ ჩინელი მედიკოსებისგან მარტივ ენაზე შედგენილი ქვეთავები: რას ნიშნავს დეპრესია, რა სიმპტომებით გამოიხატება სუიციდის რისკის მატარებელი ადამიანი და რა უნდა გააკეთოთ

იმისთვის, რომ სუიციდური აზრების მქონე ადამიანი პრობლემებთან მარტო არ დარჩეს.

რა ხდება დეპრესიული ადამიანის ორგანიზმში? სად ვეძებოთ ხსნა? რა მნიშვნელობა აქვს საკუთარი გასაჭირის სხვისთვის გაზიარებას და რატომ არის აუცილებელი სხვების გამოცდილებაც გავითვალისწინოთ? ყველა, ვინც ნაღვლიანი პატარა უფლისწულის მდგომარეობაში ერთხელ მაინც ყოფილა, სწორედ ამ კითხვებზე უნდა იპოვოს პასუხი იმისთვის, რომ ბოლოს აღმოაჩინოს ის, რაც უფლისწულმა აღმოაჩინა – მთავარი ის კი არაა, რამდენად ძლიერად წვიმს, არამედ როგორ აღიქვამს ამ წვიმას ადამიანი.

ვებგვერდი ოსტატურად მოფიქრებული ქვესათაურების, ლამაზი ანიმაციისა და მუსიკის და, რაც მთავარია, მეტად საჭირო ინფორმაციის წყალობით, დღემდე ძალიან პოპულარულია ჩინეთს გარეთაც კი.

და – ახლა ისეთ მდგომარეობაში ვარ, თავის მოკვლა მინდა, არაფერი ხმაურობს, მაგრამ დაბომბვის ხმა და ტყვიების ზუზუნის მესმის; გავგიჟდი თუ გამივლის? ვამშვიდებდით და ვეუბნებოდით, რომ ეს ბუნებრივი ტრავმული რეაქციები იყო“, – იხსენებს ფსიქოლოგი ნანა ალაპიშვილი, რომელიც მამინ ცხელ ხაზზე ზარებს პასუხობდა.

ვეტა ლაზარაშვილი ამბობს, რომ მთავარია, პრობლემებით დამძიმებული, კრიზისში მყოფი ადამიანი მართო არ დარჩეს, მთავარია, ადამიანს, რომელიც გამოსავალს ვერ ხედავს, პროფესიონალმა აღმოუჩინოს დახმარება. თუმცა, რაც უფრო ჩაკეტილია საზოგადოება და რაც უფრო მეტია ტაბუ მგრძნობიარე თემების მიმართ, ფსიქიკურ აშლილობასთან და სუიციდთან გამკლავება მით უფრო რთულდება. ეს კიდევ უფრო რთულია ისეთ საზოგადოებებში სადაც, მაგალითად, რელიგიური მოსაზრებების გამო, თვითმკვლელობა მიუტევებელ ცოდვად მიიჩნევა, თვითმკვლელ ადამიანს კი სამუდამო განკვეთის საფრთხე ემუქრება, თუმცა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ტაბუ ანტისუიციდური ფაქტორის როლს ასრულებს.

20 წლის წინ, ქართველი ფსიქიატრები იმაზეც კი ყოყმანობდნენ, დაეწინათ თუ არა ახალგაზრდა ქალი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ქალს ცოლიანი მამაკაცი უყვარდა, მასთან ურთიერთობას კი ოჯახი უკრძალავდა და ამიტომ მას თავის მოკვლა სურდა.

„კონსილიუმი გაიმართა – ვიფიქრეთ, კლინიკაში რომ დავაწვინოთ, მერე კიდევ უფრო გაუჭირდება გათხოვება, „ფსიქიატრიულში ნანოლის“ იარლიყს მიანებებენო“, – იხსენებს ფსიქიატრი, მანანა შარაშიძე.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია სუიციდის მთავარ რისკ-ფაქტორად სწორედ ამ ახალგაზრდა ქალის მსგავს ადამიანებს გამოჰყოფს, რომელთაც ფსიქიკური აშლილობა აწუხებს. თუმცა ორგანიზაცია დღეს უკვე გამორიცხავს, თითქოს, სუიციდი მხოლოდ ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მოვლენა იყოს.

„დღეს კიდევ ერთი თვითმკვლელის დასაფლავებიდან მოვდივარ. ძალიან წარმატებული ბიზნესმენი იყო, ჰყავს მეუღლე და შვილები. მის სიკვდილს წინ მწვავე ფინანსური პრობლემები უძლოდა, მაგრამ სიცოცხლის თვითმკვლელობის დასრულებისთვის ეს მაინც მინი-მიზეზია და დასკვნების გაკეთებისთვის არ კმარა“, – განმარტავს ლაზარაშვილი.

სუიციდოლოგები განმარტავენ, რომ თვითმკვლელობის იდეა ან ძალიან სპონტანურია, ან ადამიანის გონებაში თანდათან მწიფდება. საბოლოო ბიძგი კი თვითგანაჩენის სისრულეში მოყვანას ერთმა მცირედმა ინტიმურმა, ოჯახურმა და პროფესიულმა გარემოებამაც შეიძლება მისცეს.

ფრაზები – „დავიღალე, ცხოვრება აღარ მინდა, რა მნიშვნელობა აქვს, როდის მოვკვდები, ახლა თავს მოვიკლავ და მერე შენ ნახე, რა მოგივა!“ – პასიური ანტიფიციდური აზრებია, რომლებიც, ამერიკელი სუიციდოლოგის, ნორმან ფარბეროს აზრით, შველისკენ მიმართული, გაუცნობიერებელი სიგნალებია და ამიტომ გარშემომყოფებმა უყურადღებოდ არ უნდა დატოვონ.

„შემომხედეთ, მე თავს ვიკლავ“ – ჩემი ქმედება ამას უფრო ჰგავდა, ვიდრე შინაგან უკმაყოფილებას. როცა გადავრჩი, პასუხისმგებლობა ვიგრძენი, პირველ რიგში, მშობლების წინაშე, იმიტომ, რომ მშობლები არიან ისინი, ვინც ბოლოს გრჩება, როცა ყველა მიგატოვებს“, – იხსენებს 24 წლის ქართველი გოგონა, კასი.

ამ აღმოჩენის მიუხედავად, კასი თვითმკვლელობას დროდადრო მაინც ცდილობს, თუმცა უფრო სხვა მიზნით – უარყოფითი ემოციებისგან დასაცლელად: „გუშინ მქონდა თავის მოკვლის მცდელობა, მოგიყვებო? მას მერე, რაც აღმოვაჩინე, რომ საკუთარი თავის დაშვებით სულიერ ტკივილს ვიმსუბუქებ, სულ ასე ვაკეთებ და მშველის, ყველაფერ უარყოფითს გარეთ ვუშვებ. ასე ვჯობია იმიტომ, რომ როცა ვზრუნავდი, უკონტროლო ვხდებოდი და სხვის მოკვლას ჩემი თავის დაზიანება მირჩევნია“, – ამბობს კასი.

ქალი და მამაკაცი თვითმკვლელები

გასული საუკუნის დასაწყისში, სუიციდოლოგიის დისციპლინის ფუძემდებელი ემილ ღურჰეიმი ფიქრობდა, რომ ქალები თავს მამაკაცებზე უფრო იშვიათად იკლავენ იმიტომ, რომ ნაკლებად არიან ინტეგრირებულნი საზოგადოებაში და სოციალური ტვირთიც ნაკლებად აწევთ. სტატისტიკა დღემდე არ შეცვლილა, თუმცა, ფემინისტური მოძრაობის გაშლის შემდეგ შეიცვალა მიდგომა მის მიმართ: თანამედროვე ფსიქოლოგიაში ამ მაჩვენებელს დღეს იმით ხსნიან, რომ ქალები მენტალურად უფრო მოქნილები არიან და სოციალური ადაპტაციის უკეთესი უნარი გააჩნიათ. თუმცა, არსებობს ზოგიერთი თავისებურება, რაც სუიციდ ქალებს მამაკაცი თვითმკვლელებისგან განასხვავებთ. ქალები ხშირად უზრალოდ თვითმკვლელობის მცდელობის დემონსტრირებას ახდენენ, ამის საბოლოო მიზანი კი სიცოცხლის დასრულება კი არაა, არამედ ცხოვრების ხარისხის ამაღლება, რასაც სხვებზე მანიაჟულირებით აღწევენ.

თვითმკვლელობაზე ფიქრი მიბაძვით

ფსიქიატრები ამბობენ, რომ ადამიანი, რომელიც სუიციდურ აზრებს ღიად გამოხატავს, ხშირად ოჯახის მცირეწლოვან წევრებზე გადაძვებად მოქმედებს. ფსიქიატრი ნანა ჯიბლაშვილი 8 წლის ბიჭის ისტორიას იხსენებს, რომელიც მშობლებმა ბუბიასთან დატოვეს. ბუბია ჰიპერმურეულობით გამოირჩეოდა: შვილიშვილს შენიშვნებს აძლევდა, კომპიუტერულ თამაშებს უკრძალავდა, თან გაბუდმებით უმეორებდა: „იცოდე, შენი ქცევის გამო თავს მოვიკლავ, წყალში გადავხტები“. „ბუბიის ასეთი გამოხატულებები ბავშვისთვის ქცევის და ემოციის გამოხატვის მოდელი გახდა და საჭიროების შემთხვევაში, ბუბიის საქციელსა და გამოხატულებებს უკვე თვითონ იმეორებდა. მას აგრესიული ქცევები და სუიციდური გამოხატულებებიც დასწევდა“, – იხსენებს ნანა ჯიბლაშვილი და დასძენს, რომ შემდეგ გაკვირვებულმა ბუბიამ შვილიშვილი თვითონ მიიყვანა ექიმთან „აგრესიული და არაადეკვატური ქცევის გამო“.

ბავშვთა ფსიქოლოგი ქეთევან თავართქილაძე იხსენებს 15 წლის გოგონას ისტორიას, რომელიც მშობლების განქორწინების შემდეგ ბებიასთან და ბაბუასთან ცხოვრობდა. თუმცა შემდეგ ჯერ ბაბუა გარდაეცვალა, მერე – ბე-ბია. ამიტომ იძულებული იყო, ხან მამასთან დარჩენილიყო, ხან – დედასთან. გოგონას სიხარულით არც ერთგან არ ხვდებოდნენ, რადგან ორივე მშობელს ცალ-ცალკე ოჯახი ჰქონდა. ერთ დღეს, გოგონა ბებია-ბაბუის სახლში წავიდა და დიდი რაოდენობით აბები დალია, მერე კი ძალიან შეეშინდა, ლებინება დაეწყო და სანამ გონება დაკარგავდა, სახლის კარი გამოაღო და ძირს დაეცა. მეზობლებმა ამ პოზაში იპოვეს და გადაარჩინეს.

„ეს ბავშვი მისი უახლოესი ადამიანებისთვისაც კი საჭირო არ იყო. ამიტომ თავს ზედმეტად გრძნობდა. ეს შემდეგ დედის ფრაზითაც დადასტურდა: როცა გოგონა გამომჯობინდა, დედამ თქვა: ჩემი გამწარება უნდოდა და ამიტომ გააკეთა ასე, თორემ მართლა კი არ უნდოდა თავის მოკვლაო“, – იხსენებს ქეთი თავართქილაძე.

როგორ შეუძლია სახელმწიფოს თითოეული მოქალაქის ასეთ პირადულ ინციდენტებში ჩაეროს იმ მიზნით, რომ თვითმკვლელობის მზარდი სტატისტიკა შემცირდეს?

ჩინეთში მოქმედებს სპეციალური სახელმწიფო პროგრამები, რათა მშობლებსა და მასწავლებლებს ასწავლონ, როგორ მოიქცენ ისე, რომ მათი შვილებისთვის ანდა მოსწავლეებისთვის რთული მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი თვითმკვლელობა არ გახდეს.

ლოს-ანჯელესის სუიციდის პრევენციის ცენტრი კი უკვე 70 წელია, არსებობს და სახელმწიფო მას ყოველწლიურად 100 ათასი დოლარით აფინანსებს. კლინიკაში მომუშავე 8 ადამიანი 24 საათის განმავლობაში პასუხობს ზარებს. მთელი წლის განმავლობაში, მათი ტელეფონი დაახლოებით 2500-ჯერ რეკავს. მოქალაქეები სრულიად უცნობ ადამიანებს უყვებიან იმის შესახებ, რომ თავის მოკვლა უნდათ. ტელეფონის მეორე მხარეს მყოფი ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, სოციალური მუშაკი კი მთელ ენერჯიას ხარჯავს იმაზე, რომ სასონარკვეთილებაში ჩავარდნილ ადამიანს

ჩანაფიქრი გადაათქმევინოს, ხოლო თუ საჭირო გახდა, პირისპირ შეხვდეს და დაელაპარაკოს მას. უკიდურეს შემთხვევაში, პოლიციის ჩარევაც არ გამოირიცხება.

მსგავსი ცენტრები, ცხადია, თვითმკვლელობის თითოეულ შემთხვევას ვერ აღმოფხვრის, თუმცა, მნიშვნელოვნად ცვლის საერთო სტატისტიკას (მაგალითად, ლოს-ანჯელესის სუიციდის პრევენციის ცენტრში ხშირად რეკავდა მერილინ მონროც, თუმცა, სიკვდილის ღამეს, იქ უკვე აღარ დაურეკავს).

საქართველოს ფსიქო-სოციალური დახმარების ასოციაცია „ნდობა“ დღესაც მუშაობს, თუმცა, როგორც მისი დღევანდელი დირექტორი, ნანა ალაპიშვილი ამბობს – ოდნავ შეცვლილი სტრუქტურით. მთავარი პრობლემა უფულობაა – საგრანტო დაფინანსების შეწყვეტის გამო, „ნდობის გადაუდებელი სატელეფონო ფსიქოლოგიური დახმარების“ ცხელი ხაზი ბოლო 1 წელია, მხოლოდ 9 საათს მუშაობს.

სახელმწიფოსგან ფინანსების მოპოვების იმედით, ასოციაციამ თბილისის მერიის ჯანდაცვის სამსახურს პროექტი წარუდგინა, სადაც ერთ-ერთ პუნქტად სუიციდის პრევენციის უფასო ცხელი ხაზის დაფინანსებაც შედიოდა. მერიამ პროექტის დაფინანსებაზე უარი განაცხადა და აღნიშნა, რომ ამჟამად მათთვის სუიციდის თემა „პრიორიტეტული არაა“.

სუიციდის პრევენციის პროგრამები ამჟამად არც ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას არ აქვს. თუმცა, ოჯახურ ძალადობაზე, ქალთა და ბავშვთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები ირიბად ამ თემას მაინც ეხებიან, რადგან ძალადობის მსხვერპლი პაციენტები სუიციდის რისკ-ჯგუფშიც შედიან.

გამოდის, საქართველოში იმ „ნაღვლიან უფლისწულებზე“, რომელთა გადარჩენაც პროფესიონალ ფსიქოლოგს დროული ჩარევის შემთხვევაში პოტენციურად შეუძლია, დღეს ჯანდაცვის მთავარი უწყება საერთოდ არ ზრუნავს და არც ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივებს აფინანსებს. **■**

1989-2009 წლის მონაცემები საჯარო სექტორში თვითმკვლელობის მიზეზით ბაქნაშვილითა ჩისხონობა ახანისა და სანის მისხეპით

ახანი	ქანი	ახანი	ახანი	ქანი	ახანი	ახანი	ქანი	ახანი
2001			2004			2007		
სულ	27	73	სულ	28	147	სულ	20	84
15-ზე ნაკლები	1	0	15-ზე ნაკლები	3	4	15-ზე ნაკლები	0	0
15-19	0	4	15-19	0	2	15-19	1	2
20 და მეტი	26	69	20 და მეტი	25	141	20 და მეტი	19	82
2002			2005			2008		
სულ	26	77	სულ	18	70	სულ	9	58
15-ზე ნაკლები	0	1	15-ზე ნაკლები	0	2	15-ზე ნაკლები	0	0
15-19	0	3	15-19	1	2	15-19	0	4
20 და მეტი	26	73	20 და მეტი	17	66	20 და მეტი	9	54
2003			2006			2009		
სულ	25	110	სულ	13	59	სულ	39	149
15-ზე ნაკლები	0	2	15-ზე ნაკლები	1	1	15-ზე ნაკლები	1	3
15-19	0	3	15-19	1	1	15-19	2	4
20 და მეტი	25	105	20 და მეტი	11	57	20 და მეტი	36	142

მთავარი: საჯარო სექტორის საბაზისური კომპლექსი სახანაში

ნასიონალური ამპლუაჟების სუბიექტი



„დიდების მონუმენტი“ გმირთა მოედანზე, თბილისი

ფოტო: თემო ზარდაძე



გიორგი შაშვილი, „კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი – კავკასიური სახლი“

2008 წლის აგვისტოს შემდეგ, პირველად მომინა ქართულ-აფხაზურ სამოქალაქო დიალოგში ჩართვა. ომის შემდგომი ახალი რეალობის ფონზე ყოველთვის რთულია ნდობის შენება და კომუნიკაციის დამყარება მეორე მხარესთან. მასხოვს მაშინდელი ჩემი ენთუზიაზმი და ნიცშეს ცნობილი ციტატა, რომელსაც დაუსრულებლად ვიმეორებდი: „რაც არ გვკლავს, ის გვაძლიერებს“. ერთ-ერთ სემინარზე ასეთი რამაც ვთქვი: „დიდი ალბათობაა, რომ ომმა როგორც ზღვრულმა სიტუაციამ, საკუთარ შეცდომებზე დაგვაფიქროს, რაც გავაძლიერებს-მეთქი. შემდეგ იქვე თავის დაზღვევის მიზნით დავაყოლე: „ასე თუ არ მოხდა, ე.ი. სერიოზული მეტაფიზიკური პრობლემები გვაქვს-მეთქი“.

აფხაზებთან ჩემს პირველ შეხვედრაზე მოღლოვა – დნესტრისპირეთში და შემდეგ ბრიუსელში, ეს ენთუზიაზმი ჯერ კიდევ მქონდა შერჩენილი და ძალიან ვცდილობ-

დი „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებულ ტერიტორიების მიმართ – ჩართულობა თანამშრომლობის გზით“, ამ კონტექსტში ნამეკითხა. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიას წინ უძღოდა, კანონი ოკუპირებულ ტერიტორიების მიმართ და სრულიად არაჯანსაღი ისტერია ომის დაწყებისა და ომში გამარჯვებულის თემაზე, მაინც მიმაჩნდა, რომ შემდგომი ჩვენი ნაბიჯები იქნებოდა ჩვენი გამოწვევების ადეკვატური და დაინწყებდით იმაზე ფიქრს, რა მოგვიტანა გაუთავებელმა მუქარამ, დიალოგზე უარის თქმამ, აფხაზეთის იზოლაციის მცდელობამ, ყველაფრის რუსეთისთვის გადაბრუნებამ და სხვა. მართალია, თავად დოკუმენტი არ მაძლევდა ამის თქმის საშუალებას, მაგრამ მიმაჩნდა, რომ გარკვეული დინამიკა გაჩნდა და ამ დინამიკას შეიძლება, პოზიტიური შინაარსი შეეძინა:

კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ და ყველაფრის ჩაკეტვის სურვილი

ომისა და ომით გამოწვეული შოკის ფონზე, რაღაც ლოგიკაში ჯდებოდა. შემდეგ იყო სტრატეგია და მასზე მუშაობის ხანგრძლივი პროცესი, შიშით, მაგრამ მაინც დაინწყეთ მეთოდების შეცვლის აუცილებლობაზე ფიქრი, რაც იმპლიციტურად თითქოს გულისხმობდა აფხაზების დეიზოლაციაზე ფიქრსაც. მაგრამ ამ ყველაფერს წერტილი დაუსვა საქართველოს მთავრობის მიერ 15 ოქტომბერს მიღებულმა დადგენილებამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის შესახებ. აღმოჩნდება თუ არა ეს დადგენილება ქართულ-აფხაზური არაფორმალური დიალოგისთვის „საკონტროლო გასროლა“, როგორც მას პაატა ზაქარეიშვილმა უწოდა, უახლოეს მომავალში ვნახავთ, ჩემს ენთუზიაზმს კი მან ნამდვილად დაუსვა წერტილი.

ჩვენ ვერ შევძელით, უარი გვეთქვა რაციონალიზაციაზე, როგორც დაცვის მექანიზმზე და რეალობისთვის თვალეპში

ჩახედვის მტკივნეულ პროცესს ისევ „სირაქლემას პოზა“ ვამჯობინებ. რა არის ის რეალობა, რომლის „დანახვა“ შეუძლებელია ჩვენთვის, იმიტომ, რომ რალაც „უკვე დავინახეთ“? ეს არის აზროვნების, ქრისტიანადყოფნის ერთ-ერთი მთავარი ნესი, შემეცნება (შეფასება) დაინყო – საკუთარი თავით. ის, რაც „უკვე დავინახეთ“ კი, რა თქმა უნდა – რუსეთია. ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო დამეხებაზე შენდება პოლიტიკა, რომლის წყალობითაც 15 წელზე მეტია, ერთ მოჯადოებულ წრეზე ვტრიალებთ.

საკუთარი თავის უდანამაულო მსხვერპლად და ბოროტი იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლად წარმოჩენა, საქართველოს პოლიტიკური იდენტობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მომენტია. მესხიერების პოლიტიკა, იქნება ეს კომუნისტური სიმბოლოებისგან გათავისუფლების ირაციონალური მცდელობა, თუ ახალი მესხიერების ადგილების კონსტრუირება, სწორედ ამ პარადიგმას უკავშირდება – 90-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაინყო ახალი პოლიტიკური იდენტობის შექმნის მცდელობა. მესხიერების პოლიტიკამ მიიღო უფრო მწყობრი და გააზრებული ხასიათი. შევარდნაძის ქაოსიდან უნდა დაბადებულყოფი ახალი ქართული სახელმწიფო, რომელსაც სჭირდებოდა შესაბამისი სიმბოლიკა საკუთარი პოლიტიკური იდეოლოგიის მასებისთვის „გადასათარგმნად“.

„რევოლუციური ნარატივის“ ერთ-ერთი მთავარი „მთხრობელი“ და რეპრეზენტატორი გახლავთ „საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი“. მუზეუმი დაფუძნდა 2006 წლის 26 მაისს საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღეს. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებისა და მასთან დაახლოებული ინტელექტუალების დიდი ნაწილისთვის, სიტყვები „საბჭოთა“ და „რუსული“ ერთმანეთის სინონიმებია. ასეთი არგუმენტები ხშირად ისმოდა რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ წამოწყებული საბჭოთა სიმბოლოებისგან გათავისუფლების კამპანიის დროს. რას მოგვითხრობს „ოკუპაციის მუზეუმი“? რუსულ-საბჭოთა ოკუპაციას, ქართველთა მასობრივ განადგურებას, ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას, რომელიც რაც უნდა

მოულოდნელი იყოს ვინმესთვის, მთავრდება – „ვარდების რევოლუციით“. კადრები „ვარდების რევოლუციიდან“, რომლის ინსტალაციაც ხდება მუზეუმში ერთ-ერთ კედელზე – ექსპოზიციის ნაწილია. რამდენად კვალიფიციურად და კეთილსინდისიერადაა შედგენილი მუზეუმის ექსპოზიცია ეს სხვა თემაა (მაგალითად, მუზეუმში, ანტიბოლშევიკური წინააღმდეგობის გადმოსაცემად ყველასთვის აღმოჩნდა ადგილი, გარდა „რესპუბლიკური პარტიის“ დამფუძნებლებისა), მთავარი კი მუზეუმის კონცეფციაში მაინც ისაა, რომ ყველაფერზე პასუხისმგებელი გარეშე ძალაა. არ ჩანს „კოლექტიური სტალინი“ და მის შექმნაში კოლექტივის (საზოგადოების) როლი და პასუხისმგებლობა.

შეიძლება ითქვას, რომ ოკუპაცია გვათავისუფლებს. მას მსხვერპლის როლში გადა-

■ მოხდა ნაციონალიზმის, ნაციონალური ამპარტავნების სუბლიმაცია ოკუპირებულისა და მსხვერპლის პარადიგმაში. ოკუპაცია, პარადოქსულად იქცა ნაციონალური ამპარტავნების წყაროდ. თანაც ისეთ წყაროდ, რომლის ნაკითხვა შესაძლებელია დასავლეთიდან.

ყვავართ. მსხვერპლი კი უდანამაულოა (ამ აზრით თავისუფალიც), ასე ჩანს ჯალათის ფონზე. თუმცა აქ არის ერთი ყველასათვის ცნობილი ფსიქოლოგიური პარადოქსი, როგორ გადაიქცევა მსხვერპლი ჯალათად შესაფერის დროსა და მომენტში.

2008 წლის აგვისტოში რუსულმა ოკუპაციამ, გაგვათავისუფლა და ჩვენც ეს ბორკილები (რომელთა ტარებით ადრეც არ მოგვიკლავს თავი) სიამოვნებით მოვიშორეთ. ჩვენ გაგვათავისუფლდით პასუხისმგებლობისაგან აფხაზეებისა და ოსების წინაშე და სიამოვნებით დავივიწყეთ ისინი. თუ აქამდე „რუსეთის როლზე“ გვინებდა ის-

ტერიული საუბარი, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ეს ყველაფერი „აშკარა“ გახდა და ჩვენც შვებით ამოვისუნთქეთ. შემთხვევითი არ არის რუსეთისთვის ნიღბის ჩამოსხნის ზარზე იმით აღნიშვნა. ეს არის პასუხისმგებლობისგან გაქცევის სიხარული. გარდა ამისა, აქამდე ხომ მძიმე ტვირთად აწვა ჩვენს ქართულ ნაციონალურ პატივმოყვარეობას „ერთ სტადიონ“ ხალხთან ომში განცდილი მარცხი. ახლა ყველასთვის ნათელი გახდა, რომ 150 მილიონიან ბოროტი იმპერიასთან დავმარცხდით. აქედან გაჩნდა საქართველოს საერთაშორისო არენაზე პოზიციონირების ახალი მარკეტინგული ნიშანიც: „ახალი ბერლინის კედელი – მდ. ენგურზე“. ამგვარად, ოკუპაციის „წყალობით“ – ისტორიის სუბიექტებიც გაგხდით.

ასე უცნაურად მოხდა ნაციონალიზმის, ნაციონალური ამპარტავნების სუბლიმაცია ოკუპირებულისა და მსხვერპლის პარადიგმაში. ოკუპაცია, პარადოქსულად იქცა ნაციონალური ამპარტავნების წყაროდ. თანაც ისეთ წყაროდ, რომლის ნაკითხვა შესაძლებელია დასავლეთიდან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მესხიერების ადგილი, რომელიც მთლიანად იმეორებს „ოკუპაციის მუზეუმის“ კონცეფციას, არის გმირთა მოედანზე აღმართული „დიდების მონუმენტი“. მისი ისტორიული მესხიერება 1921-დან 2008 წლამდე პერიოდს მოიცავს. მონუმენტზე გამოსახულია 1921 წელს მე-11 არმიის მსხვერპლი იუნკერების, 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების მონაწილეების, 1992-1993 წლებში აფხაზეთში და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ქართველი მებრძოლების სახელები. 26 მაისს „დიდების მონუმენტის“ გახსნაზე წარმოთქმულ სიტყვაში მიხილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ მონუმენტზე, რომელზეც 4 ათასამდე ჯარისკაცის სახელია ჩანერილი, ცარიელი ადგილებიც არის და საჭიროების შემთხვევაში მომავალი გმირების სახელებით შეივსება. სამწუხაროდ, პრეზიდენტის ამგვარი რიტორიკა, მხოლოდ მისი საკუთარი შეცდომებიდან კი არა, მთელი საუკუნის საქართველოს ისტორიიდან ვერგამოტანილი დასკვნების შედეგია. ისტორია კი, როგორც მერაბ მამარდაშვილი ამბობდა, მისი დასრულების, მისგან დასკვნების გამოტანის გარეშე, მუდმივად მეორდება, როგორც ჯოჯოხეთი!

ირანელები საჩახოვანოში



მარკ მალენი

საქართველოსა და ირანს შორის ურთიერთობების ისტორიაზე აღარ შევჩერდები. ეს დიდი ხნის წინ დაიწყო და ორივე მხრიდან საკმაოდ მითოლოგიზირებულია. 200 წლის წინ, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიამ შთანთქა, ირან-საქართველოს ურთიერთობები არ განწყვეტილა, მაგრამ უკიდურესად შემცირდა. საბჭოთა კავშირმა კი მსოფლიოსთან ყველანაირი ურთიერთობა განწყვიტა. მას შემდეგ, რაც საქართველომ 70 წლიან მონობას თავი დააღწია, ირანი პარანოიდულ ნარკო-სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, რომელიც პოლიტიკურ ისლამს თავისი ცოდვების გასამართლებლად იყენებს.

უცბად რაღაც წარმოუდგენელი მოხდა – ორ ქვეყანას შორის სავიზო რეჟიმი გაუქმდა. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სანქციებმა ამ ქვეყანაში ბიზნესის ლეგალურად კეთება აკრძალა, ქართველებს ირანში გარკვეული ბიზნესის წარმოება შეუძლიათ. ბევრ ქართველს აინტერესებს სპარსული კულტურა, მაგრამ სამხრეთში ირანის მოსახლეობლად წასული ქართველების რიცხვი, ალბათ, უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე დასავლეთში გამგზავრების მსურველების.

ამ ბოლო თვეში თბილისში ირანელი ტურისტების პირველი ნაკადის ავტობუსები უკვე ჩამოვიდა. მათი ნახვა რუსთაველის გამზირზეც შეიძლება. ისინი, ძირითადად, ოჯახებით ჩამოვიდნენ, მაგრამ ასევე კაცების რამდენიმე ჯგუფია. ქალების ნაწილი ჩადრს ისევ ატარებს. ზოგიერთმა მათგანმა შანსი გამოიყენა და მოიხსნა. საინტერესოა, თუ როგორ აკვირდებიან ისინი აქაურობას. ისინი ხშირად სხდებიან სკამებზე რუსთაველის გამზირზე და გამვლელებს უყურებენ. ალბათ, ფიქრობენ, რომ ასე ცხოვრება მათაც შეუძლიათ.

მათთვის ევროკავშირში მოხვედრა ადვილი არ არის. მგზავრობა ძვირია, ვი-

ზების ალება ძნელია და ზოგიერთი მათგანის საზღვარგარეთ გასვლა ირანის მთავრობას შესაძლოა, არც მოეწონოს. ისინი, ვინც ირანს ტოვებენ, ძირითადად, სხვა მუსლიმურ ქვეყნებში მიემგზავრებიან, და მეტწილად, საქმიანი ვიზიტებით. საქართველო ირანელებისთვის ჯერჯერობით ყველაზე საინტერესო ადგილია, რომელსაც ტურისტული ინფრასტრუქტურაც გააჩნია და სტუმრობაც



იაფია. ირანელებისთვის საქართველო ევროპაა, არა აღმოსავლეთ ევროპა, ან პოსტსაბჭოთა ევროპა, არამედ ევროპა. ის გამოიყურება, როგორც ევროპა და მათ მოსწონთ ეს.

ამავე დროს, საქართველო ირანისგან გეოგრაფიულად ან კულტურულად არც ისე შორსაა. სამუხაროდ, ახლანდელი გადმოსახედიდან, ადამიანებს აეწყობათ, რომ ირანს მდიდარი პროგრესისტული ტრადიცია აქვს, მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში კი კონსტიტუციური რევოლუცია ჰქონდა. ბრიტანელები აკონტროლებდნენ ირანის ნავთობს და მეორე

მსოფლიო ომის შემდეგ, უარი თქვეს ირანელებისთვის ნავთობის 50 % მიეცათ, როგორც ისინი ამას საუდის არაბეთის შემთხვევაში აკეთებდნენ. საპასუხოდ, ირანმა მოახდინა ნავთობის ინდუსტრიის ნაციონალიზება. ბრიტანელებს უნდოდათ, რომ ამერიკელებს ჩამოეგდოთ კონსტიტუციურად არჩეული პრემიერ-მინისტრი მოჰამედ მოსადეჟი, მაგრამ პრეზიდენტი ტრუმენი ამაზე არ ნავიდა. მას შემდეგ, რაც 1953 წელს ამერიკის ხელისუფლებაში იზებჰაუერი მოვიდა, ცენტრალური დაზვერვის სააგენტომ ირანში სამხედრო გადატრიალება მოახდინა. ეს იყო CIA-ის მიერ მოწყობილი პირველი სამხედრო გადატრიალება უცხო ქვეყანაში.

ამერიკელებმა ტახტზე მოჰამედ რეზა შაჰ ფაჰლავი დასვეს და მისი კორუმპირებული დიქტატურის პირობებში, ირანელებმა რელიგიური მმართველობისკენ ხედვა დაიწყეს. 26 წლის შემდეგ, ირანელებმა ისლამისტური რევოლუცია მოახდინეს და დასვეს რელიგიური მთავრობა, რომელსაც დღემდე ემორჩილებიან. ეს მთავრობაც უფრო და უფრო კორუმპირებული გახდა და მოსახლეობა მათი კორუმპირებულობით და რელიგიური ფარისევლობით დაიღალა. 2009 წლის ივნისისა და ივლისის ბოლოს, მას შემდეგ, რაც მთავრობამ არჩევნები გააყალბა, ფართომასშტაბიანი დემონსტრაციები გაიმართა. ნავთობმა მთავრობას გარკვეული თავდაცვის მექანიზმები შესძინა და ცვლილებების მოხდენას დრო დასჭირდება.

ამას წინათ ფილარმონიაში ცნობილი ნიუ-ორლეანური ბენდის „დვეინ დოპსი და ჰელრეისერის“ კონცერტზე ვიყავი და ერთი ირანელი გავიცანი. ვკითხე, თუ რატომ ჩამოვიდა საქართველოში. მან მიპასუხა, რომ სურს „დრო გაატაროს.“ უკეთესი მიზეზი არც არსებობს. ვნახით, ეს სადამდე მიგვიყვანს.

"ჭამა და სექსი"



როგორც „ჭამა და სექსი“ არ არის ფილმი, ისე ეს ტექსტი არ არის ფილმის რეცენზია. უბრალოდ, რახან ვნახე და დრო გავაცდინე, ბარემ დავწერე კიდეც.

ნინია კაკაბაძე

რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთი გადაცემის ჩანერაზე გახლდით, სადაც ბოლო 10-15 წლის განმავლობაში გადაღებულ ქართულ ფილმებს აჩვენებენ და არჩევენ. როცა დავინწყე საუბარი ერთ-ერთ ფილმზე, როგორც სერიოზული ამბიციის მქონე ნამუშევარზე, მითხრეს, ძალიან სერიოზულად უდგები, ეს ჩვეულებრივი „საკასო“, სათავგადასავლო ფილმი. დავიბენი, ხელები ავნიე და ვუთხარი, რომ მაშინ მე სათქმელი არაფერი მაქვს. ჩვეულებრივი, მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული ფილმები არ მაინტერესებს და მათზე საუბარიც მეზარება-მეთქი. ეს იყო ლევან თუთბერიძის მხატვრული ფილმი „მოგზაურობა ყარაბაღში“, პირველი ნაწილი.

არასერიოზული „ფასტფუდი“ ფილმები, უკანასკნელი 5 წელია, უწყვეტად ენაცვლება ერთმანეთს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. მასსოვს, რომელიც მათგანი ვნახე და მიხვდი, რომ სრულიად საკმარისია, ნახო ერთი ცალი – არ აქვს მნიშვნელობა ვისი გადაღებული – და სრული წარმოდგენა შეგექმნება, თუ რა მოსწონს და რას უყურებს ქართველი მაყურებელი კინოში. შიშველი ქალი (სასურველია შორენა ბეგაშვილი), ბილწის-ტყვაობა, ცოტა სექსი, მდარე იუმორი, სლენგი და ეგ არის – თქვენს ფილმს გარანტირებული მაყურებელი ჰყავს. ამის შემდეგ უკვე ტელევიზიით ტრეილერის ან კი რომელიმე საინფორმაციო გამოშვებაში ფილმის შესახებ მომზადებული რეპორტაჟის გაშვებაც საკმარისია.

მაინც ვერ დავიჯერებ, რომ ამ ახალი ნამუშევრის – კი, ბატონო, პირობითად დავარქვათ ფილმი – შემქმნელებს სჯერათ, რომ „ჭამა და სექსი“ ფილმი. მართალი გითხრათ, მის სანახავად იმიტომ წავედი, (დავარღვიე პრინციპი), რომ

მაინტერესებს მათი ნამუშევარი, ვისი მოსაზრებაც ხშირად საინტერესოა ხოლმე. ცოტა გავხლართე და განვმარტავ – ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის წევრები სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ საინტერესო და აქტიური ადამიანები ჩანან. სწორედ ისინი უწევდნენ რეკლამას საკუთარ ნამუშევარს ხან იუმორით და ხანაც სერიოზულად. „ჩვენ ვიღებთ ინთელიჯენტ მინიმალ ქომედის და არა – კიჩს,“ – უთხრა ქეთი დევედარიანმა (ფილმის სცენარის თანაავტორმა) შალვა რამიშვილს.

„მინიმალ ქომედის“ აკეთებდა შალვა რამიშვილიც თავის დროზე „რადიო 105“-ში და ეს მისი რადიო „ნოველები“ დღესაც ზეპირად ახსოვს მსმენელს. მე არც იმ მინიმალ ქომედის მოტრფიალე ვარ და არც ამ „ინთელიჯენტ“ მინიმალ ქომედის, თუმცა ორივე მათგანი გარკვეულწილად ხელს უწყობს მახინჯი სტერეოტიპებისა და ტრადიციების მსხვერველს. ალბათ.

„სადა და მსუბუქი კომედია“ „ჭამა და სექსი“ სწორედ ამ მავნე სტერეოტიპების მსხვერვის მცდელობაა, ირონიით და იუმორით გაჯერებული. სულ 5 ნოველაა და ყველა მათგანი სხვადასხვა წყვილის ისტორიას მოგვითხრობს.

1. ახლად დაქორწინებულები, რომლებიც „მამაპაპისეულ ყანწს“ პირველ ღამეს სასტუმრო რედისონში გაექცვიან. პირველი ღამე კრახით დასრულდება და „ყანწი“ მათთან დილით მივა.

2. გოგონას ოჯახში დაბინავებული ახალი წყვილი, რომელსაც მზრუნველი მშობლები ჯანმრთელი სექსით დაკავების საშუალებას არ აძლევენ და სანაცვლოდ მუდმივად კარტოფილის ღვეზელს ტენიან. კარტოფილის ღვეზელი ფიგურალურად.

3. მემარხულე ცოლ-ქმარი, რომელიც მარხვის შენახვის დროს სექსით დაკავე-

ბის მიზეზს ეძებს და საბედნიეროდ, კავდება კიდეც.

4. ცოლებისგან უჩუმრად, ბოზებთან ერთად კიკეთში ასული ძმა-ბიჭები ერთ-ერთი ძმაკაცის მეუღლის მიერ მომზადებული სოკოთი მოინამლებიან (დიასახლისი ცოლის როლს შორენა ბეგაშვილი ასრულებს. კიდეც ერთი სტერეოტიპის ნგრევა – შორენა იატაკის ჯოხით ხელში დგას!).

5. და ბოლოს, კიდეც ერთი ახალგაზრდა წყვილის ისტორია. ქმარი რომელიც 2 წლით პარიზში მიემგზავრება სამუშაოდ, თბილისში დატოვებულ ცოლს საქალწულე აპკს უკერავს და ისე მიდის.

ერთი შეხედვით, ირონია ტრადიციულ ქართულ ოჯახებზე, სიდედრებზე და დედამთილებზე, პათოლოგიურად ეჭვიან ქართველ ქმრებზე და ბოზებში მოსიარულე ძმაბიჭებზე მშვენიერი იდეაა. მთლიანად ყურება არ არის საჭირო, თვალის რომ მოჰკრათ, მიხვდებით, რაცაა. მსგავსი ირონია გიორგი ლიფონავას ტელესერიალშიც არის, რომელიც „რუსთავი 2“-ზე გადის. ამ ფილმის ერთ-ერთი ფინანსური მხარდამჭერი კი ტელეკომპანია „იმედია“, რომელიც გიორგი არველაძესთან ერთად, ასევე ცდილობს მავნე ტრადიციების მსხვერველს და სექსის ლეგალიზებას. ალბათ, ამავე მიზნით მიიღო მონაწილეობა ამ ფილმის შექმნაში.

„ფილმი“ ადრეული ამერიკული კინოს ესთეტიკაშია გადანყვეტილი. კოსტიუმები, მაკიაჟი, ფერები და ა.შ. სამსახიობო ანსამბლი ძალიან სუსტია, უფრო სწორედ, სპეციფიკურად თეატრალური, რომელიც ტელესერიალებში გაცილებით უფრო ორგანულად გამოიყურება. თითქოს მხატვარი კოსტიუმებით ცდილობს, გაგაუცხოვოს ტელესერიალისგან, მაგრამ სანოლში ტკბილად მძინარე გმირი,



კადრები ფილმიდან „ჭამა და სექსი“

■ ფილმის ყურებისას ისე მოვიწყინე, რომ ძილი მომინდა. ზედმეტი ეპიზოდები, ზედმეტი მონოლოგი თუ დიალოგი, განწელილი სცენები... რა ვქნა, რომ არც სიცილით მოვკვდი დარბაზთან ერთად.

რომელსაც თვალზე „ბლიოსტკები“ აყრია და ტუჩზე პომადა მსუყედ უსვია, მხოლოდ გვაბრუნებს სერიალის ესთეტიკასთან. მე-20 საუკუნის დასაწყისის ესთეტიკა ერთი საუკუნის შემდეგ ვერც კიჩს ქმნის და ვერც „ინთელიჯენტ მინიმალ ქომედის“. ორივე მათგანის შექმნა ურთულესია. არ დავტვირთავ ტექსტს და არ დავინყებ მაგალითების მოყვანას, მაგრამ საყოველთაოდ აღიარებული, ყველაზე პოპულარული და ტრივიალური მაგალითი, კვენტინი ან ვუდი ალენი გაიხსენეთ, მეგობრებო.

თუკი ტელესერიალებს დინამიკა არ აკლია და ტემპში ვითარდება, ფილმის ყურებისას ისე მოვიწყინე, რომ ძილი მომინდა. ზედმეტი ეპიზოდები, ზედმეტი მონოლოგი თუ დიალოგი, განწელილი სცენები... რა ვქნა, რომ არც სიცილით მოვკვდი დარბაზთან ერთად.

ეს ჩემი მოკრძალებული აზრია და მიხარია, რომ საყოველთაო აღფრთოვანებას ვხედავ. კინოს მოყვარულებს ვერ ფურჩევდი ამ ფილმის ნახვას, სამწუხაროდ, ვერც ტელესერიალის მოყვარულებს, რადგან მოიწყინენ. მაგრამ, ვისაც გინდათ ნახოთ, როგორი გულწრფელი სურვილი აქვს „ჭამა და სექსის“ გადამღებ ჯგუფს, რომ მაგნე სტერეოტიპები და ტრადიციები დაანგრიოს, ამის სანახავად შეგიძლიათ უახლოეს დღეებში ენვით კინოთეატრ „ამირანს“.

ჯგუფის კიდევ ერთი ნევრის ციტატა „ფეისბუკიდან“: „ჩვენ ვცდილობთ ვიფიქროთ, ვეძებოთ და რაღაც სიახლე გავაკეთოთ, ამ ქვეყანაში ესეც საქმე მგონია, იმედი მაქვს სადღაც და ოდესმე რაოდენობა ხარისხშიც გადავა“. მიყვარს თავმდაბლობა. მეც იმედი მაქვს, რომ ოდესმე რაოდენობა ერთ ხარისხთან კინოპროდუქტს მაინც შექმნის, მაგრამ ვიდრე არ შექმნილა, გადამღები ჯგუფის დანარჩენ ნევრებს შევახსენებ, რომ ყველაფერი რის ეკრანზე ჩვენებაც შეიძლება – კინო არ არის. ფილმის ნახვამდე ჩემმა მეგობარმა და კოლეგამ მითხრა „იმდენად დაუჩრებებიათ კარგი ფილმია, ნამდვილი კინოა, იქნებ მართლა ასეაო?“ პრომოუშენს და რეკლამირებასაც ცოდნა უნდა. იქნებ, უბრალოდ, ტელეპროდუქტის და არა კინოს სანახავად რომ მივსულიყავი, მომწონებოდა კიდევ?! :) **■**

მსახივრისა, ხახმენ!



ანიტა რაჭველიშვილის პირველი სოლო კონცერტი თბილისში ნიკა მემანიშვილის თანხლებით

დავით ბუხრიკიძე

2009 წლის 7 დეკემბერი, მილანი. წმინდა ამბროჯიოს დღეს „ლა სკალას“ სეზონს ორ საოპერო ვარსკვლავთან – იონას კაუფმანთან (დონ ხოზე) და ერვინ შრიოტთან (ესკამილიო) ერთად, 25 წლის ქართველი მომღერალი ანიტა რაჭველიშვილი (კარმენი) ხსნის. მელომანებისა და ოპერის მოყვარულთათვის თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებულის, ჯერ კიდევ უცნობი მეცო-სოპრანოს დებიუტი, რასაკვირველია, დაუფინყარია.

ტელეარხ „არტეზე“ თუ გერმანული რადიოთი გადმოცემულ „კარმენს“ მაშინ პირველად ჰყავდა ესოდენ ფართო აუდიტორია. ემა დანტეს სკანდალური დადგმის მიუხედავად (დირიჟორი სახელოვანი დანიელ ბარენბოიმი), მკაცრ კრიტიკოსთა აღიარება სრულიად დამსახურებული იყო. წარმატებას „ლა სკალას“ სცენაზე მსოფლიოს საუკეთესო საოპერო თეატრებში (ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ ოპერა“, ბერლინის „შტატსოპერა“, მიუნჰენის ნაციონალური ოპერა, პალერმოს „კომუნალე“) დებიუტი და რამდენიმე წლით განსაზღვრული კონტრაქტები მოჰყვა.

ძლიერი, განონასწორებული და მსუყე ხმა, რომელიც ყველა რეგისტრში თანაბრად ჟღერს; ფართო დიაპაზონი, მონესრიგებული სუნთქვა და ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე აღებული მაღალი და დაბალი ნოტები – ეს ის ტექნიკური „პარამეტრებია“, რომელთა ერთობლიობა ანიტა რაჭველიშვილის ვოკალურ პორტრეტს ქმნის. „მგრძობიარე, ძლიერი, ემოციური“ – უცხოური პრესის ამ შეფასების გადამონმება მშობლიურ ქალაქში მელომანებს რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში შეეძლო.

2010 წლის გაზაფხულზე, კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზში „მცირე მოთელვის“ შემდეგ, მომღერლის პირველი სოლო კონცერტი მშობლიურ ქალაქში გარკვეული აჟიოტაჟის მიზეზიც გახდა. იმდენად,

■ მთავარი მაინც ანიტა რაჭველიშვილის ხმაა – ძლიერი, მომნუსხველი და „მნიფე გულაბივით გემრიელი“, რომელიც ნამდვილად გვაგრძნობინებდა, რომ საოპერო ვარსკვლავი უკვე დაიბადა... „მეტროპოლიტენში“ ბრწყინვალედ შესრულებული კარმენის შემდეგ, მისთვის სპეციალურად დგამენ როსინის ოპერას „იტალიელი ქალი ალჟირში“

რომ რუსთაველის თეატრის შესასვლელთან დაცვის პოლიცია „არასანდო ან საეჭვო“ გარეგნობის მამაკაცებს საგულდაგულოდ ამონმებდა. მათ შორის თქვენი მონა-მორჩილიც მოხვდა. კარში მდგომმა უცანაურად ჩაცმულმა პოლიციელმა გვერდით გამიხმო და რაღაც საიდუმლო და თითქმის გამაფრთხილებელი ხმით მითხრა: – ბიჭო, დანა ხომ არ გიდევეს ჯიბეში?

თუმცა გაოცება მაშინ გაქრა, როცა შევიტყვე, რომ კონცერტს ვანო მერაბიშვილიც უნდა დასწრებოდა. რომელსაც თურმე ძალიან უყვარს ოპერა; ან, უბრალოდ, ანიტა რაჭველიშვილის თაყვანისმცემელია. ამდენად, პოლიციის ფხიზელი და სათანადო მზაობა შინაგან საქმეთა მინისტრის მოსვლამდე ლამის ხილულად იგრძნობოდა. თეატრის ერთ-ერთ ლოჟაში კი თავად ანიტა რაჭველიშვილის იტალიელი მეუღლე იჯდა, რომელიც სპეციალურად სოლო კონცერტისთვის ჩამოვიდა თბილისში.

სალამო ოდნავ უცნაური და მუსიკალურად არათანაბარი გამოვიდა. უცნაური იმიტომ, რომ ევეგენი მიქელაძის სახელობის ორკესტრის დირიჟორმა, ნიკა მემანიშვილმა კონფერანსიეს როლიც შეითავსა და ყოველი საკონცერტო ნომრის შესრულების წინ რაღაც ამბავს გრძლად და მრავალმნიშვნელოვნად ყვებოდა. გარდა ამისა, კონცერტზე მასნეს, ბიზეს, დელიბისა და სენ-სანსის ცნობილ საოპერო არიებთან ერთად, რატომღაც ახალგაზრდა კომპოზიტორის, თამარ სალუქვაძის საშუალო დონის რომანსები და საკონცერტო არია „ავად ვარ შენით“ შესრულდა, რამაც სრულიად შეცვალა კონცერტის კონცეფცია და მასშტაბი.

თამარ სალუქვაძემ თბილისის კონსერვატორია კომპოზიციის განხრით დაამთავრა, მოგვიანებით კი სტაჟირება მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიაში გაიარა. არის კომპოზიტორთა კავშირის წევრი და 2008 წელს ეროვნული კონკურსის „პატრიოტის“ გამარჯვებული სიმღერისათვის „ჩემო საქართველო“... ნიკა



ანიტა რაჭველიშვილი და ნიკა მემანიშვილი რუსთაველის თეატრში გამართულ კონცერტზე. მარტი 2011

ფოტო: შინაგარეობა

მემანიშვილმა განმარტა, რომ მისი მუსიკის შესრულება ანიტა რაჭველიშვილის მოთხოვნა იყო, რომელიც გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად, „მხოლოდ იმ შემთხვევაში გამართავდა სოლო კონცერტს თბილისში, თუ მისი მეგობრის, თამარ სალუქვაძის ნაწარმოებებსაც შეასრულებდა“. ასე რომ, შარლოტას ვენებიან და დრამატულ არიას ჟიულ მასნეს „ვერტერიდან“, ნინ უძღოდა ქართული რომანსი „ო, მადლსა შენსა“ და რუსული – „Гаснут красные крылья заката“.

კონცერტი კი დირიჟორ ნიკა მემანიშვილის პედაგოგის (მისივე თქმით), კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძის „ცეკვა-ფანტაზიის“ შესრულებით დაიწყო, რომელშიც ევგენი მიქელაძის სახელობის ორკესტრს არც ცეკვისადმი განსაკუთრებული ვნება ეტყობოდა და არც გამორჩეული ფანტაზია.

შარლოტას არიას ოპერადან „ვერტერი“ ხარისხიანი ვოკალი „ამაგრებდა“

და არა ექვნარევი ვნება და რთული ფსიქოლოგიური ნიუნსები, რომელიც ახალგაზრდა მომღერლისთვის ჯერ ნაადრევია. დალილას არია სენს-სანსის ყველაზე ვნებიან პერსონაჟს გვიხატავდა, რომლის ტემპერამენტი ახლოა მომღერლის ფსიქოტიპთან და ალბათ, რამდენიმე წელიწადში ამ პარტიასაც ვიხილავთ საოპერო სცენებზე.

ვიდრე ანიტა რაჭველიშვილი ლეო დელიბის ცნობილ „ყვავილების დუეტს“ შეასრულებდა სოპრანო ირინა ბორიოსოვასთან ერთად (ისინი კონსერვატორიაში თანაკურსელები იყვნენ), ორკესტრმა მანუელ დე ფალიას ფინალური საცეკვაო ეპიზოდი დაუკრა საბალეტო სიუიტიდან „სამკუთხა ქუდი“. ცოტა არ იყოს გაუგებარია, რატომ გამოირჩეოდა შინაგანად მხურვალე და ექსპრესიული მუსიკა ასეთი ნელი ტემპითა და უფნებო აკადემიზმით?!

გასაგებია, რომ კონცერტის ფინალი „კარმენს“ დაეთმო. ჯერ შესაავალი და

შემდეგ „სეგიდილია“, რომელიც ასევე შენელებული იყო. ორკესტრის ხმა დროდადრო საერთოდ არ ისმოდა, რაც თეატრის აკუსტიკით უნდა აიხსნას; ხოლო ორად გაყოფილი გუნდის ხმა მარჯვენა და მარცხენა ლოჟებიდან საყვირიდან და ტრომბონებიდან წამოსულ ბგერას უფრო წააგავდა. თუმცა მთავარი მაინც ანიტას ხმაა – ძლიერი, მომწუსხველი და „მწიფე გულბივით გემრიელი“ (არ ვუკარგავ ამ მეტაფორას ჩემს ერთ კოლეგას), რომელიც ნამდვილად გვაგრძნობინებდა, რომ საოპერო ვარსკვლავი უკვე დაიბადა...

ახლახან, „მეტროპოლიტენში“ ბრწყინვალედ შესრულებული კარმენის შემდეგ, ანიტასთვის სპეციალურად დგამენ როსინის ოპერას „იტალიელი ქალი ალჟირში“, რომლის პრემიერა 2012 წელს გაიმართება. და ვიდრე როსინის ურთულეს კანტილენას შეეჭიდება, დოჩანაშვილის ფრაზით დავასრულებ: „მტკივნეულ, კარმენ!“

ნუ დაჯდები ნასვამი კომპიუტერთან



მაღაზია iTunes Store-ში iPhone-ს, iPad-ისა და iPod touch-ისთვის ახალი დამატება გაჩნდა. იგი სპეციალურად იმ მომხმარებლებისთვისაა შექმნილი, რომლებსაც Facebook-სა და Twitter-ზე შეტყობინებების განთავსება ნასვამ მდგომარეობაში უყვართ.

პროგრამის ამოქმედებისთვის პლენშეტის ან სმარტფონის მფლობელმა პროგრამაში ალოკოპოლის დაღვების დაწყების დრო უნდა შეიყვანოს. პროგრამა „Last Night Never Happened“ კი სოციალურ ქსელებში მითითებული დროის შემდეგ გამოქვეყნებულ ყველა პოსტსა და ფოტოს წაშლის.

პროგრამის შემქმნელის დენიელ კონის განცხადებით, დამატება ნამდვილი ხსნაა იმ მომხმარებლებისთვის, რომლებსაც სიმთვრალეში დაუფიქრებელი პოსტების გამოქვეყნება სჩვევიათ: „პროგრამა ადამიანებს უამრავ უხერხულ სიტუაციას აარიდებს“, – აცხადებს იგი.

„Last Night Never Happened“ 1 დოლარი და 90 ცენტრი ღირს.

გლაგურული ჟურნალი Google-ისგან



Google-მა ონლაინ ჟურნალი Think Quarterly შექმნა. 62-გვერდიანი გამოცემა სამ თვეში ერთხელ გამოდის და თანამედროვე ცხოვრების სწრაფი რიტმით გადაღლილი მამაკაცებისთვისაა განკუთვნილი.

ავტორების ძირითადი სამიზნე ევროპული მამაკაცები არიან. ჟურნალის დიზაინი, როგორც ამბობენ, Wired-ისას ჰგავს: მთავარი აქცენტი ინფოგრაფიკასა და დიდ ფოტოებზეა გაკეთებული.

„სამყაროში, სადაც ყველაფერი სწრაფად იცვლება, ყველას უნდა ჰქონდეს დრო შესვენებისა და დაფიქრებისთვის. Think Quarterly

სწორედ ის ადგილია, სადაც შეგიძლიათ განიხილოთ, რა ხდება თქვენს ირგვლივ და რატომ“, – ნათქვამია პროექტის აღწერაში.

MOTOROLA ოპერაციულ სისტემას ქმნის



Motorola Mobility ოპერაციული სისტემა Android-ის ალტერნატივაზე მუშაობს. კომპანიამ სმარტფონების საკუთარი პროგრამული პლატფორმის შესაქმნელად Adobe-სა და Apple-ს ყოფილი თანამშრომლები დაიქირავა. ექსპერტები ამბობენ, რომ Motorola-ს საკუთარი მობილური ოპერაციული სისტემა Android-ზე ნაკლებად დამოკიდებულს გახდის.

წინასწარი ცნობებით, Motorola-მ კომპანია Azingo შეიძინა, რომლის მთავარი საქმიანობაც სწორედ მობილური მონოპოლიზაციისთვის ოპერაციული სისტემების შექმნაა. ამჟამად კომპანიის ბესტსელერი მონოპოლიზაციის უმეტესობა კი Google Android-ის ბაზაზე მუშაობს.

ექსპერტები კიდევ ერთი ახალი მობილური ოპერაციული სისტემის მომავალს სკეპტიკურად უყურებენ. მათი აზრით, ეს ბაზარი უკვე გადანაწილებულია Apple-ს, Google-ს, RIM-სა და Nokia-ს შორის.

დასვი კითხვა და მიიღე პასუხი FACEBOOK-ზე



სოციალური ქსელი ახალი ფუნქციის დასამატებლად ემზადება. „გინდოდა შეგვექმნა ფუნქცია, რომელიც მომხმარებლებს კითხვებზე პასუხების სწრაფად და მარტივად მოძიებაში დაეხმარებოდა. სერ-

ვისი იმგვარადაა აგებული, რომ სოციალურ ქსელში გაერთიანებულ ნებისმიერ ადამიანს პასუხის გაცემა და კითხვის ავტორისთვის დახმარება შეეძლება“, – ნათქვამია Facebook-ის განცხადებაში.

Apple „ჭკვიან“ ტელევიზორს ქმნის

უცხოური მედია წერს, რომ Apple „ჭკვიანი“ ტელევიზორის (Smart TV) შექმნაზე მუშაობს, რომელიც ისეთივე უნივერსალური იქნება, როგორც პლანშეტი iPad.

ახალი, „ჭკვიანი“ მონოპოლიზა ინტერნეტში ჩართული იქნება და ჩვეულებრივ ტელევიზორს, სათამაშო სისტემას, ციფრულ ვიდეომანგიტოფონს, ვიდეოჩატს და



სხვა დამატებით ფუნქციებს გააერთიანებს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ Smart TV-ს დახმარებით 2013 წელს Apple ტელევიზორების ბაზრის 1%-ს დაიკავებს.

პარალელურად, ტელევიზორების ბაზრის ახალი პერსპექტივების განვითარებაზე სხვა მსხვილი კომპანიებიც ფიქრობენ. გასული წლის მისში Google-მა ახალი ფუნქცია Google TV დააანონსა, რომელმაც ტრადიციული სატელევიზიო მანუფაქტურა ინტერნეტ-ძიების და სასურველი კონტენტის ტელევიზორით მიღებასთან უნდა გააერთიანოს. Smart TV-ს დანერგვაზე ფიქრობს Intel და ARM-იც.

YAHOO საძიებო სისტემას ანახლებს

Yahoo ამერიკელი ინტერნეტ-მომხმარებლებისთვის საძიებო სისტემის ახალ ფუნქციას Search Direct-ს უშვებს. Search Direct საძიებო სისტემას საშუალებას მისცემს ავტომატურად მიანოდოს მომხმარებლებს შედეგები იმ დროს, როდესაც ისინი ძიების გრაფაში სიტყვის აკრეფას დაიწყებენ. სხვათა შორის, კომპანია Google-მა ანალოგიური სერვისი Google



Instant გასულ წელს გაუშვა. Yahoo უახლოეს მომავალში რეკლამის დამკვეთებს გრაფიკული და ვიდეორეკლამის ახალ ფორმატებსაც შესთავაზებს.

MySpace-ს აუდიტორია განახევრდა

ერთ დროს ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელის MySpace-ის აუდიტორია თითქმის ორჯერ შემცირდა. კომპანია Comscore-ის მონაცემებით, მხოლოდ 2011 წლის იანვრიდან თებერვლამდე MySpace-ს მომხმარებლების რაოდენობამ 73 მილიონიდან 63 მილიონამდე იკლო. 2010 წლის დასაწყისში კი ქსელის აუდიტორია დაახლოებით 110 მილიონი იყო.



პოპულარობის ასეთი სერიოზული ვარდნა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქსელის ღირებულებაზე. კომპანია News Corp-მა MySpace-ში 2005 წელს 580 მილიონი დოლარი გადაიხადა, ანალიტიკოსების პროგნოზით, კომპანია ამ ფასად სოციალურ ქსელს უკვე ვეღარ გაყიდის.

AMAZON პლანშეტების ბაზარზე?



კომპანია Amazon პლანშეტების ბაზარზე შესვლას და Apple-ს, Samsung-ის, Motorola-სა და სხვა მწარმოებლებისთვის კონკურენციის განწვევას გეგმავს.

ანალიტიკოსები ამბობენ, რომ Amazon ძალიან წარმატებულად ჰყიდის Kindle-ს და პლანშეტების ბაზარზე შესასვლელად ინფრასტრუქტურა, ფაქტობრივად, მზად აქვს. ცოტა ხნის წინ კომპანიამ Android-

-ის პლატფორმისთვის სპეციალური ონლაინ-მაღაზია გახსნა და ამ ოპერაციულ სისტემასთან მუშაობის გამოცდილების მქონე სპეციალისტები აიყვანა.

AmazonAndroid-პლანშეტის მფლობელებისთვისაც ხელმისაწვდომი იქნება დამატებების ონლაინ-მაღაზია, ონლაინ ვიდეოსერვისი, წიგნების მაღაზია და ა.შ.

FACEBOOK და TWITTER სპეციალურად მძღოლებსთვის



მონყობილობა Super Tooth HD-ს და მისი დამატება SuperTooth Handsfree Assistant-ის დახმარებით მძღოლები Facebook-სა და Twitter-ზე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნას, განახლებების შესახებ ინფორმაციის მიღებას, ელექტრონული ფოსტითა და SMS-ით სარგებლობას საჭის მართვის დროს შეძლებენ.

Super Tooth HD ავტომობილის სალონში თავსდება. მას ჯგუფური საუბრების ჩასაწერად ორი მიკროფონი, ორი დინამიკი და 5,4-ვატიანი გამძლეობის აქვს. მონყობილობა მობილურ ტელეფონს Bluetooth-ით უერთდება და თავსებადია ყველა თანამედროვე სმარტფონთან, ასევე ნებისმიერ სხვა ტელეფონთან, რომელსაც Bluetooth-ის მხარდაჭერა აქვს.

გაჯეტის მწარმოებელი ფრანგული კომპანია SuperTooth მონყობილობის გაყიდვას მიმდინარე წლის აპრილიდან დაიწყებს. ამერიკაში იგი 129 დოლარი ეღირება.

რეკლამა FACEBOOK-ზე

Facebook-ის სპეციალისტები მიზნობრივი რეკლამის ახალი სისტემის შექმნაზე მუშაობენ. სისტემა ორიენტირებული იქნება მომხმარებლის ინდივიდუალურ



მოთხოვნებსა და ინტერესებზე. მაგალითად, თუ რომელიმე მომხმარებელი საკუთარ პროფილზე დანერს, რომ ვახშმად პიცის მირთმევა სურს, რამდენიმე წამში მის ეკრანზე პიცერიის რეკლამა გაჩნდება.

GOOGLE კვლავაც ყველაზე მიმზიდველი სამუშაო ადგილია

ახალგაზრდა ამერიკელებისთვის ყველაზე მიმზიდველი სამუშაო ადგილებია Google, Apple და Walt Disney. კომპანია



Universum-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით, უკვე რამდენიმე წელია რეიტინგის პირველ ადგილს Google იკავებს. სიაში მეოთხე ადგილს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, მეხუთეს კი Amazon იკავებს. ათეულში ასევე მოხვდნენ FBI და NASA.

რესპონდენტებს სიაში იმ კომპანიის შეტანაც შეეძლოთ, რომელიც Universum-ის ჩამონათვალში არ იყო. ამ გრაფის აბსოლუტური ლიდერი Facebook გახდა. Universum-ის გამოკითხვაში 10 ათასზე მეტი სტუდენტი მონაწილეობდა.

მომავალა ნინო ნატროშვილმა.

ნანახინაი ქიისტე, სამუხაუბი და ჯაზი



ვანო ხეჩია

აკუტაგავას „ნანკინელმა ქრისტემ“ და კუროსავას სამურაებმა სიყმანველში იაპონური ენის შესწავლა გადამანყვეტინა. თბილისის ერთ-ერთ ცნობილ ინსტიტუტში მეტად მონდომებულმა ჩავაბარე და იეროგლიფების ზღაპრულ სამყაროში ამოვყავი თავი. მეორე თუ მესამე კურსზე აუდიტორიაში იაპონელი კაცი გამოგვეცხადა, ენის შესწავლაში მე დაგეხმარებითო. ტაგაში კაგავა ერქვა, ძალიან კეთილი ადამიანი და როგორც ჭეშმარიტი იაპონელი, საოცრად შრომისმოყვარე გახლდათ. გაცნობა-გასაუბრების შემდეგ, (როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ინგლისურ ენაზე) მოგვაძახა: „ბრანკეტუ... ბრანკეტუ...“. ორი კვირა იმეორებდა ამ მითიურ სიტყვას და დღითიღე უფრო სევდიანი ხდებოდა. კარგა ხანს ვერავინ გაფუგეთ, რას ითხოვდა. იაპონურ ენაში „ლ“ არ არსებობს და მის ნაცვლად ინგლისურ სიტყვებში „რ“-ს ამბობენ ხოლმე, ჰოდა, „ბრანკეტუ“ თურმე ნიშნავდა „ბლანკეტ“-ს. ოთხმოცდაათიანი წლების გაყინულ თბილისში შესცივებოდა და საბანი სად უნდა ეყიდა, ამას ჩაეგდო საგონებელში. სანამ გასაჭირს მივუხვდით, სენსეი კაგავამ ვაკის ნაქირავებ ორო-

თახიანში უკვე გვარიანად გათოშვაც მოასწრო.

უცნაური კაცი გახლდათ, სამშობლოს ნოსტალგია მოაწვებოდა ხოლმე, სახლიდან წამოღებულ ლუი (რუი) არმსტრონგისა თუ ოსკარ პი-



კიკი აკაგი

ტერსონის ჩანაწერებს ამოლაგებდა, რამე ლირიკულს აირჩევდა და ჩვენც გვასმენინებდა. 1983 წელს ტოკიოში პიტერსონის ლაივზე წამყოფი ვარო, ისეთი სიამაყით ამბობდა, იფიქრებ-

დი მთვარეზე პირველად მან დადგა ფეხი და არა ნილ არმსტრონგმაო. ამ მართლაც ზღაპრული კონცერტიდან „Alice in Wonderland“ ჰქონდა ამოჩემებული და თავისი უცნაური ინგლისურით შემადგენლობასაც ჩამოთვლიდა ხოლმე: ოსკარუ პიტერსონუ (Oscar Peterson), ჯო პასუ (Joe Pass), ნირს პედერსენუ (Niels Pedersen), მარტინუ დრუ (Martin Drew). ასე უმკლავდებოდა მონატრებას. მერე სადღაც გაქრა, წლები გავიდა და მისი არსებობა მხოლოდ 11 მარტს გამახსენდა, გასაგები მიზეზების გამო.

დასავლეთი და აღმოსავლეთი ერთად ვერ შეიყრებიანო, ამბობენ ხოლმე. თუმცა, არის ერთი ადგილი, სადაც ეს ორი კულტურა იდეალურად შეეწყო ერთმანეთს. ასეთი ადგილი იაპონიაა, საკომუნიკაციო ენა კი... ჯაზი. ფაქტის უნიკალურობა იმაშია, რომ სწორედ იაპონელებმა შეიყვარეს ეს მუსიკა ყველაზე მეტად. სხვადასხვა გამოკითხვების მიხედვით, დღეს ჯაზს ამომავალი მზის ქვეყანაში პროცენტულად უფრო მეტი უსმენს, ვიდრე მის სამშობლოში. ზოგიერთი ქართველი მსმენელისაგან განსხვავებით, იქ ჯაზის სიყვარულით არავინ ამტკიცებს საკუთარი ინტელექტის უპირატესობებს. შესაბამისად, სნობური პოზების



ტოპიკო აკიოში და არტურ ფიდლერი

დამულამებაშიც არ უკავდებათ კონცერტებზე წელი და ფსევდო-სიამონების საჯაროდ გამოსახატად, არც მოდელირებულ ორგაზმს მიმართავენ.

ყველაფერი 1853 წელს დაიწყო, როდესაც ამერიკული სამხედრო ესკადრა იაპონიის დედაქალაქ ედოს (ახლანდელ ტოკიოს) მიადგა და ძალის გამოყენების მუქარით წერტილი დაუსვა ცნობილ ორსაუკუნოვან

თვითიზოლაციას. ამას მოჰყვა ქვეყნის მოდერნიზაცია და დასავლურმა კულტურამაც ფეხის მოკიდება დაიწყო. ოციან წლებში ცუნამივით „თავს დაატყდათ“ ჯაზიც, რომელიც ახალი ორლენის საროსკიპოებიდან პირდაპირ კობეს და ტოკიოს საკეს არომატიტ გაჟღენთილ ქუჩებში ჩასახლდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, სამუდამოდ.

იაპონელებს ერთი საგულისხმო

■ იოკოჰამას ჯაზ-კაფეში კიმონოში გამონყობილ გოგონას გადაეყარა, რომელიც ფორტეპიანოს პედლებს ძლივს სწვდებოდა, მაგრამ ისე ჯადოქრობდა, მოხიბლულმა ოსკარმა პირველი ალბომი გამოაშვებინა.



**სპეციალური
შეთავაზება**



გამოიწერეთ
ჟურნალი „ლიბერალი“
თითქმის ნახევარ ფასად!

**წლიური ხელმოწერა
მხოლოდ 55 ლარი!**

ისარგებლეთ სპეციალური შეთავაზებით,
გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“
და მიიღეთ თქვენი ჟურნალი
ყოველ ორშაბათს
თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოსაწერად
დაგვიკავშირდით ტელეფონზე:
(899) 48 62 41

ან მოგვანოდეთ თქვენი
საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტით: subscribe@liberali.ge

თვისება აქვთ, ბევრი სხვა ხალხისგან განსხვავებით, უცხო კულტურათა გავლენას არ უშინდებიან, დასავლურ ტრადიციებსა თუ მიღწევებს თამამად ითვისებენ და საკუთარზე ამყნობენ. ჯაზიც ასევე ჰარმონიულად მოარგეს სინტონისტურ სალოცავ ჰიმნებს, ბუდას ლოცვებს, ტანკასა და ჰოკუს, ლირიკულ თუ პეიზაჟურ ფერწერას, ლიტერატურას. სწორედ ასეთ შემოქმედებით „გნიასში“ გამოჩნდა პირველი იაპონელი ჯაზმენი ფუმო ნანრი, რომელმაც ერთ მშვენიერ დღეს ისეთი დიქსილენდი შეუბერა საყვირზე, ლუი არმსტრონგად მონათლეს და „საჩმო“ შეარქვეს (სხვათა შორის „სეხნიები“ ერთმანეთს 1953 წელს შეხვდნენ სცენაზე, ერთი-ორი ახალ ორლენაურიც მიაღუღეს).

გაჯაზება 1941 წლის 7 დეკემბერს დროებით შეწყდა, როდესაც პერლ-ჰარბორი დაიბომბა. ომიანობისას იაპონიის მთავრობამ ჯაზი მტრის მუსიკად და „დეგენერატულ ხელოვნებად“ შერაცხა. თუმცა, „დეგენერატები“ გაჩუმებას არ აპირებდნენ და კონსპირაციულ კლუბებში იმპროვიზაციულ ექსპერიმენტებს ატარებდნენ, რა თქმა უნდა, სიცოცხლის რისკის ფასად. „ჯაზკამიკაძეები“ ასე ემიჯნებოდნენ კაცთა კვლის საყოველთაო სიგიჟეს, როგორც „სვინგერიუგენდები“ ნაცისტურ გერმანიაში. მას მერე რაც „ენოლა გრემი“ ომის ყინი ბარბაროსულად „დააშოშმინა“, იაპონური ჯაზის ოქროს ხანაც დაიწყო.

ჩემი აზრით, იაპონელებმა ყველაზე ექსპრესიული ინსტრუმენტით – ფორტეპიანოთი მოახერხეს ჯაზური თუ კლასიკური მუსიკის ენაზე მეტყველება და დანარჩენ მსოფლიოსთან გასაუბრება. აქ მხოლოდ ორ მუსიკოსს გამოვყოფ, პირადი სიმშაბათის გამო. ერთ-ერთის ამბავი ასეთია: ორმოციანი წლების მიწურულს ოსკარ პიტერსონი იაპონიაში გასტროლებზე იმყოფებოდა, იოკოჰამას ჯაზ-კაფე „ჩიგუსაში“ კიმონოში გამოწყობილ პატარა გოგონას გადაეყარა, რომე-

ლიც ფორტეპიანოს პედლებს ძლივს სწვდებოდა, მაგრამ ისე ჯადოქრობდა, მოხიბლულმა ოსკარმა პირველი ალბომიც გამოაშვებინა და ბოსტონში ბერკლის კოლეჯშიც შეანია სიტყვა. კანადელი არჩევანში არ შემცდარა, იაპონელი მელომანები კომპოზიტორ და პიანისტ ქალბატონს დღესაც „ალმოსავლეთის კარლა ბლეის“ ეძახიან. რადიონამყვანად რომ ვმუშაობდე, ამ ქაქანის ნაცვლად, აქვე ბად ჰაუელის თემას Cleopatra's Dream-ს გავუშვებდი აკიომის შესრულებით, 1990 წლის ალბომიდან „Remembering Bud: Cleopatra's Dream“ (Toshiko Akiyoshi – კლავიში, George Mraz – ბასი, Lewis Nash – დრამი).

მეორე ჩემი რჩეული – კეი აკაგი გახლავთ, რომლის ტალანტი თავად მაილს დევისმა შეამჩნია და 1989-92 წლების საგასტროლო ტურნეებზე გვერდიდან არ მოუცილებია. მისი მოსმენა Youtube-ში უპრობლემოდ შეიძლება, თუმცა, ცოტას თუ გაიჭირვებთ, 1990 წლის 30 ივლისის ჰამბურგის ლაივსაც მოიძიებთ (Miles Davis – საყვირი; Kenny Garrett – საქსი; Joseph „Foley“ McCreary – გიტარა; Kei Akagi – კლავიში; Richard Peterson – ბასი; Ricky Wellman – დრამი; Erin Davis – პერკუსია).

ლუი არმსტრონგს უთქვამს, „ვინც მეკითხება, რა არის ჯაზი, ის ამ მუსიკას ვერასოდეს გაუგებსო“. ასეთივე უაზრობაა, ეძებო პასუხი კითხვაზე, რატომ უყვართ იაპონელებს ჯაზი ასე ძალიან, ჩემი იაპონელი მასწავლებლის არ იყოს. ტაგაში კაგავა მიაგის პრეფექტურიდან გახლდათ, რომელსაც ცუნამი ყველაზე სასტიკად გაუსწორდა. Person Finder-ის იაპონურ ვერსიაზე ძიებისას ასეთი შედეგი მივიღე: No results found for: Tagashi Kagawa. იმედია, სენსეი სადმე სხვა ქვეყანაში ბრძანდება ენის მასწავლებლად, ამ წუთებში რომელიმე აუდიტორიაში სევდიან ჯაზურ თემას უსმენს და განსაცდელში ჩავარდნილი სამშობლო ენატრება.

ბუენოს ბაბუა



გო ახვლედიანი

ნინა კვირას ლონდონში, ემირატების სტადიონზე კარგი ფეხბურთი იყო: ბრაზილიამ ამხანაგურ თამაშში მოუგო შოტლანდიას.

ორივე გოლი ყრმა სანტოსელმა ვარსკვლავმა ნეიმარმა გაიტანა, რომელსაც უკვე უდარაჯებენ ბობოლა ევროპული კლუბები.

სტადიონი ლონდონელმა ბრაზილიელეზმა და სკოტების ქვეყნიდან დაძრულმა ტარტნათა არმიამ თან შეაგსო, თან ვერა, მაგრამ ამინდი კარგი იყო, ბრაზილიის ყურება კი ყოველთვის სასიამოვნოა, თუ ვალტერ დუნგა არ შეუშლის ხელს.

სკოტებმა წააგეს, და მგონი მათ მოგებას არც მოელოდა ვინმე.

თბილისელებს ასსოვთ ჩვენს ქალაქში სკოტების სტუმრობა და იმათი გულშემატკივრების მხიარული ქცევა. არმიას კაბები და ლურჯი მისაღობები აცვია, ბევრს სვამს, მღერის და იცინის.

სკოტი ფანები განთქმულნი არიან თავიანთი წესიერებით და ტოლერანტობით, „ფიფას“ და „უეფას“ ნაირგვარი პრიზებიც დაუმსახურებიათ სამაგალითო ქცევისთვის.

მოკლედ, თამაში ამხანაგური იყო, მაგრამ მინდორზე ბანანი მაინც გადმოვარდა. ვილაცამ ისროლა.

ბანანი კი ერთგვარი რასისტული მინიშნებაც შეიძლება იყოს დღევანდელ საფეხბურთო საქმეში. ჰოდა, ამბავიც ატყდა – ეს ვინ ყოფილხართო, რა ბანანები მოგვაყარეთ, შავი და თეთრი ერთნაირიაო. აბა, ბრიტანეთში სტადიონებზე რასიზმი არ არისო?!

იმისთვის არავის მოუქცევია ყურადღება, რომ ბანანი ტრიბუნების იმ კუთხიდან გადმოვარდა, სადაც უმეტესად ბრაზილიელი გულშემატკივრები ისხდნენ.

რახან ბანანმა რასისტული იერი მიიღო

და რახან ემირატების სტადიონი ლონდონის „არსენალის“ კუთვნილებაა, კლუბმა ორი დღის თავზე გამოაცხადა, ბანანის მსროლელი ნაპოვნია ჩვენი დაცვის კამერების წყალობით და ის გერმანელი ტურისტი გახლავთო.

ოლონდ, ბრაზილიელი ფეხბურთელები მაინც უკმაყოფილონი იყვნენ, სკოტები მაინც რასისტები ეგონათ. განსაკუთრებით კი ორივე გოლის ავტორ ნეიმარს. ასეთი ქცევა აუტანელია, მთელი ტაიმნახევარი მიყვიროდნენ და მისტვენდნენო. და ისევ კანის ფერს დაანვა. ყველას გასაკვირად, „ლივერპულის“ ბრაზილიელმა ლუკასმაც მხარი აუბა თანანაკრებელს, თქვენ ყველა ლაპარაკობთ, რომ თქვენს სტადიონებზე რასიზმი არ არის, ამ დროს რასიზმი სწორედ ევროპაში მინახავსო.

გულსატყენი ნათქვამი იყო და ამ ნათქვამმა აჩვენა ბრაზილიელთა სამწუხარო გაუთვითცნობიერებლობა ბრიტანელ გულშემატკივართა მიდრეკილებებსა და გემოვნებაში.

ნეიმარს კი არ უსტვენდნენ და უყვიროდნენ, არამედ ბუენოს უკეთებდნენ.

ბუენინგი არის მაყურებელთა ერთობილივი შეძახილი „ბუუუუუუ“, როცა მათ რაიმე უარყოფითი გამოხატვა უნდათ. ბუენინგს განსაკუთრებთ მიმართავენ იმ ფეხბურთელების მიმართ, რომელთა ქცევითაც მაყურებლები უკმაყოფილონი არიან, ან ძველი ანგარიში აქვთ მათთან მათივე უგვანო ქცევის გამო.

ჰოდა, ნეიმარი ბუენინგის მსხვერპლი შეიქნა და არა იმიტომ, რომ შავკანიანია, ანდა იმიტომ, რომ გოლები გაუტანა შოტლანდიის ნაკრებს, არამედ იმიტომ, რომ ისიშულანტა და სამარცხვინო კოტრიალს მოჰყვა სკოტ ბრაუნთან შეჯახების შემდეგ.

ჩვეულებრივი ორთაბრძოლა იყო, ნეიმარმა იკოტრიალა და იკოტრიალა. მერე კი წამოდგა და ვითომ აქ არაფერიასო, თამაში გააგრძელა.

ბრიტანეთში მინდორზე ტყუილი დიდი სირცხვილია და გულშემატკივარი ამას ძნელად იფიქრებს. ამას, უბრალოდ, ვერ მიხვდა ამომავალი ბრაზილიელი ვარსკვლავი და ბუენინგი რასიზმად ჩაუთვლა სკოტ გულშემატკივრებს.

რასიზმი კი არაფერ შუაში იყო, შუაში ის იყო, რომ ის თავის ქვეყანაში გაჩვეულია ტყუილად კოტრიალს, და თუ ამის გამო ბურთთან ყველა შეხებისას ბუენინგი დასჯიან, ვერც წარმოუდგენია.

არადა, ამის სწავლა მოუწევს: ამბობენ, „ჩელსის“ კბილები ალესილი აქვს და ნეიმარის ლონდონში გადმოყვანა უნდაო. სანტოსი კი ვითომ უარზეა, მაგრამ... შენ თავი თქვი, თორემ ბუზი ბალდადიდანაც მოვა. ■



შოტლანდია-ბრაზილიის საფეხბურთო მატჩი

ბღღანში

(თბილისის უბნები თვალის ახტი შავებით. ნაწილი III)



კაბა თოლორდავა

თბილისის გარეუბნის ნებისმიერ მიკრორაიონში ხეტიალი ისეთი წინასწარი განწყობით, რომ დედაქალაქის ვერცერთ ასეთ საბჭოთა ტიპის საძინებელ სექტორში საინტერესოს ვერაფერს ნახავ, არაფრის მომცემი დროის ფლანგვაა. თუმცა სასწრაფოდ დავამატებ იმასაც, რომ დროის ფლანგვაა მხოლოდ მათთვის, ვინც სწორედ ა მ წინასწარი განწყობით უყურებს იქაურობას. სიმართლე რომ გითხრათ, მე კარგად მესმის მათი, ვისაც მიკრორაიონების უნიათობა ნაჩქარევი დასკვნების გაკეთებისკენ უბიძგებს, რადგანაც მათი დღევანდელი სხვა არაფერია თუ არა ყოფითი და არქიტექტურული ქ ა ო ს ი. მაგრამ გუშინწინ გლდანში გატარებულმა თითქმის მთელმა დღემ კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ მიკრორაიონებში ხეტიალი შეიძლება ძალიან საინტერესო აღმოჩნდეს, თუ შენი ტვინი „მე ამისგან გავაკეთებ...“ რეჟიმში მუშაობს. ეჭვი მაქვს, რომ გლდანის დამგემარებლების ტვინებიც სწორედ ამ რეჟიმში ფუნქციონირებდნენ თავის დროზე, რადგანაც ის, უბრალოდ, დიდებულად ჩაფიქრებული და აწყობილი მიკრორაიონია. როგორც ჩანს, დამგემარებლებს საშუალება არ მიეცათ, ბოლომდე განეხორციელებინათ ჩანაფიქრი, რის გამოც გლდანი „არგამომცხვარ“ პროექტად დარჩა; ის დრომ და მასთან ერთად მოვარდნილმა ცვლილებებმა „დაასრულეს“.

გლდანი სამ ნაწილადაა გაყოფილი და სამივეს, რამდენადაც ირონიულად არ უნდა აღიქვან ჩემი სიტყვები ვიღაც-ვიღაცებმა, დიდებული პოტენცია აქვს შემდგომი განვითარებისათვის. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ საამისო სახსრები და ნება იქნა. მისი შუა ნაწილი, რომელსაც მე „სამარიაჟოს“ ვუწოდებ, (რადგანაც ის გლდანის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად შე ი ძ ლ ე ბ ა იქცეს), საკმაო სივრცეს იძლევა ახალ-ახალი იდეებისთვის და ყოველი აქ მოხვედრისას მგონია, რომ სხვანაირად გლდანში შემოსვლას აზრი არ აქვს, – აქ მხოლოდ იმაზე უნდა ფიქრობდეს კაცი, თუ რ ა შეიძლება გაკეთდეს მომავალში და არა იმაზე, თუ რ ა ს წარმოადგენს ის დღეს. იმავეს ვიტყვი მიკრორაიონის „საბჭოთასახიან“ საძინებელ მონაკვეთებზეც. მხოლოდ აქ შეიძლება დარწმუნდე იმაში, რომ ფასადების გადაღება არცთუ ურიგო რამ შეიძლება იყოს ასეთი მიკრორაიონებისათვის, სერიოზულად, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ იმ საცხოვრებელ კორპუსებს სხვას ვერაფერს მოუხერხებ, თუ მთელი მიკრორაიონის დანგრევას და ახლის დაგემარებას არ აპირებ. წლების განმავლობაში ადგილობრივების „ინიციატივებ-



მა“, ვგულისხმობ მიშენება-დაშენებებს, ეზოების „გაფარეხებას“ და სხვა მსგავს უკონტროლო ქმედებებს, სრულიად დაუკარგეს სახე ისედაც ადვილად „სახედსაკარგ“ მიკრორაიონს, მაგრამ გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ბოლომდე, უიმედოდ, მაინც ვერ მოუღეს ბოლო მას, რადგანაც რომ მოხდეს საოცრება, ქალაქი გამდიდრდეს და ვინმე ძალიან აზრიან ადამიანს თავში აქაურობის სახეცვლილად განახლების იდეა გაუჩნდეს, ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენი რამის გაკეთებას შეძლებს აქ.

დღეს გლდანის ტერიტორია ნებისმიერი სახის ექსპერიმენტის მიმართ გახსნილი ადგილია. ეს ერთადერთია, რაც მას დარჩენია და დასანანია, რომ გარეუბანში გაშენებული მიკრორაიონის რეპუტაცია და გაქანება საშუალებას არ აძლევს მას, იმაზე უფრო მეტი ტვინი და ფული მიიზიდოს, ვიდრე ამის საშუალება მუნიციპალურ სამსახურებს გააჩნიათ. პრინციპში, ეს ყველა აქაური მიკრორაიონის ტრაგედიაა, – გაიღვიძე-იყიდე-ჭამე-მოიხმარე-კარუსელზე იტრიალე-დაიძინე-გაიღვიძე... მიმართება აქაურებისადმი. ამ მხრივ, გლდანს გაუმართლა, აქ თეატრიცაა და თავის დროზე მგონი დისკოთეკაც იყო, შეიძლება ეხლაცაა, თუმცა ეს აქ არსებითი არაა; არსებითია ის, რომ გლდანს და გლდანელებს (ვარკეთილელებს, თემქელებს, დიდდიღმელებს, ყველა გარეუბანს) იმაზე მეტი ყურადღება ესაჭიროებათ, ვიდრე აქამდე ჰქონდათ და აქაურობისადმი სწორად მიდგომის შემთხვევაში, გლდანი ნამდვილად ლაზათიან რაიონად შეიძლება, იქცეს. შე ი ძ ლ ე ბ ა!

„ვასიუკის ანვები, ძმაო?! – შეიძლება გამიბრაზდნენ. ჰო, გარკვეული თვალსაზრისით „წავიბენდერე“, მაგრამ ჩემზე რომ იყოს, აუცილებლად ვატარებდი გარეუბნებში ექსკურსიებზე სკოლის მოსწავლეებს. ვატარებდი და ავუხსნიდი, თუ რა გაკეთდა, კეთდება და რა შეიძლება, გაკეთდეს ასეთ ადგილებში.



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი
გორი, ქარელი, საშუსრი
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 105.5

FM 103.0

FM 104.5

FM 101.0

FM 101.9



WWW.LIBERALI.GE

